ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed and refereed scientific journal

12, 2018

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ხ. ბერიშვილი; მ. გვიჩია; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Беришвили Х., Гвичия М., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; KH. BERISHVILI; M. GVICHIA; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა
და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

თბილისი - 2018

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ვახტანგ ანთია - ეკონომიკაზე ორიენტირებული განათლება
და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების
მართვის პრიორიტეტები ---------- 6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ვლადიმერ ბასარია - მონოპოლიზმი
და საქართველოს ეკონომიკა ---------- 18
ანი კალანდია - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების
გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ---------- 27
ზურაბ კირკიტაძე - მიმღებ ქვეყნებში უპი-ის
დადებითი ეფექტების მიღება ---------- 36
ნინო სამჭკუაშვილი - კრიპტოვალუტა
და ახალი ციფრული ეკონომიკა... ---------- 43

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ჯაბა ჯიქია , გიორგი ცაავა - საბანკო სისტემაში
შიდა აუდიტის როლი ინფორმაციული
ტექნოლოგიების განვითარების პროექტში ---------- 51
მზევინარ ნოზაძე, არჩილ უნდილაშვილი - ციფრული
ვალუტა - ბიტკოინი: უპირატესობები და ნაკლოვანებები ---------- 58
უჩა ჩიტიძე, თორნიკე თევდორაძე - კრიპტოვალუტა,
ბლოკჩეინი და საქართველოში არსებული
მდგომარეობა, გამოწვევები ---------- 64

დარგობრივი ეკონომიკა

პაატა კოღუაშვილი, დავით მამუკელაშვილი -
აგროკოპერატიული პოლიტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი---- 72
მარიამ კვირიკაშვილი, რუსუდან ქუთათელაძე -
სამედიცინო მენეჯმენტი: სპეციფიკა და მიდგომები ---------- 83
ნინო კუტიბაშვილი - უძრავი ქონების
სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენების სპეციფიკა ---------- 89

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

დავით ნიჟარაძე - ადამიანური რესურსების
მართვის მულტიკულტურული კონტექსტი ---------- 101
ეკა ჯაფარიძე, ციალა ლომაია - შრომითი საქმიანობის
მოტივირება და სტიმულირება პერსონალის მართვაში ---------- 110
ელენე ჩარკვიანი, ლელა კოჭლამაზაშვილი - სამედიცინო
სერვისის ხარისხის მენეჯმენტი, როგორც კვლევის ობიექტი ----- 116
თამარ დუდაური - კომუნიკაციის როლი მენეჯმენტის
სისტემაში და მათი მართვის აქტუალური პრობლემები---------- 124
მერაბ ონიანი - პერსონალის მართვის მეთოდები ბიზნესში------- 131

მსოფლიო ეკონომიკა

მაია გიორგაძე, ნათია ფერაძე - ტრანსნაციონალური
კორპორაციები განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე---------- 138
ლიკა ილურიძე, ალექსანდრე შახნაზაროვი -
რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობები აზიასთან:
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ინდოეთი ---------- 145
მარიამ თოფჩიშვილი, ნინო კალაძე - იაპონიის საგარეო
პოლიტიკური კურსის გავლენა ქვეყნის
ეკონომიკურ განვითარებაზე - 1945 - 1990 წლებში ---------- 153

რეცენზია

რევაზ შენგელია, გიორგი შუბლაძე - ახალი პარადიგმები
ეკონომიკური თეორიისათვის გიორგი მალაშხიას წიგნის -
„მცირე ეკონომოლოგია. ეკონომიკური თეორიის
ახალი პარადიგმები“ გარშემო---------- 162
რევაზ შენგელია - სასარგებლო სახელმძღვანელო---------- 170

ჟურნალის წლიური შინაარსი ---------- 174
სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 184

CONTENTS

ECONOMIC REFORMS:
ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Vakhtang Antia - Economy - oriented Education and the Management Priorities of the State Higher Education Institutions ------ 6

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Vladimer Basaria - Monopoly and Georgian Economy ---------- 18
Ani Kalandia - The Impact of Foreign Direct Investments (FDI) on the country's economic growth ---------- 27
Zurab Kirkitadze - Positive Effects of FDI in Host Countries ---------- 36
Nino Samchkuashvili - Cryptocurrency and New Digital Economy -- 43

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Jaba Jiqia, Giorgi Caava - Internal Audit Role in the Development of Information Technologies in the Bank System -------- 51
Mzevinar Nozadze, **Archil Undilashvili** - Digital Currency - Bitcoin: Advantages and Disadvantages ---------- 58
Ucha Chitidze, Tornike Tevdoradze - Cryptocurrency, Blockchain and Georgia - The Current Situation and Challenges------- 64

SECTORAL ECONOMY

Paata Koguashvili, Davit Mamukelashvli - Some Important Issues of Agricultural Cooperatives Policy ---------- 72
Mariam Kvirikashvili, **Rusudan Kutateladze** - Medical Management: Specifics and Approaches ---------- 83
Nino Kutibashvili - The Specifics of Utilizing Real Estate as Collateral For a Loan ---------- 89

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

David Nizharadze - A Multicultural Context of Human Resource Management ----------101
Eka Japaridze, Tsiala Lomaia - Stimulation and Motivation of Labor Activities in the Personnel Management ----110

Elene Charkviani,Lela Kochlamazashvili - Quality Management of Medical Service as a Research Object ----------116
Tamar Dudauri - The Role of Communication in the Management System and the Actual Problems of Their Management ----------124
Merab Oniani - Personnel Management Methods in Business -------131

WORLD ECONOMY

Maia Giorgadze, Natia Peradze - Transnational Corporations in the Emerging Markets of Developing Countries----------138
Lika Iluridze, Aleksandre Shakhnazarovi - Russia's Economic Relations with Asia: the People's Republic of China and India ---------145
Mariam Topchishvili, Nino Kaladze - The Impact of Japanese Foreign Policy on the Economic Development of the Country - from 1945 to 1990----------153

SCIENTIFIC REVIEWS

Revaz Shengelia, Giorgi Shubladze - The New Paradigms for Economics –About Giorgi Malashkhia's Book – "Little Economology. The New Paradigms for Economic Theory" ----------162
Revaz Shengelia – Useful Textbook ----------170

2018 Year's Journals Content----------174
The Publication Requirements ----------184

ეკონომიკაზე ორიენტირებული განათლება და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მართვის პრიორიტეტები

ვახტანგ ანთია
ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენციის ზოგადი კანონზომიერებების მოქმედების თავისებურებების, კონკურენციის ფორმებისა და ინტენსივობის, მისი მამოძრავებელი ძალების და კონკურენტული პოზიციების შეფასება-შესწავლის პროცესს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევები ხშირ შემთხვევებში ცალმხრივი, სოციუმის განვითარების საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი, ზედაპირული და არასისტემურია. არსებული წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით აუცილებელია:

- გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტული უპირატესობის განმაპირობებელი ინოვაციური მენეჯმენტის მექანიზმების შემუშავება;
- საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში არსებულ ბიზნეს-გარემოზე, გლობალური კონკურენტული გარემოს ზემოქმედების ხარისხის და ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა;
- ბოლონიის პროცესთან მიერთების შემდეგ, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მენეჯმენტის ახალი გამოწვევების და ამ სფეროში კონკურენტულ გარემოზე მოქმედი ახალი ფაქტორების იდენტიფიცირება-ანალიზი;.

- განვითარებულ ეკონომიკებში კონკურენტული გარემოს დამკვიდრების პრაქტიკის, ტრადიციის, აპრობირებული მიდგომების, გამოცდილების განვითარებად ქვეყნებში გადმოღება-დამკვიდრების პროცესში, მიმღები ქვეყნის ეროვნული სოციალ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო სისტემების ევოლუციის ეტაპის თავისებურებების გათვალისწინება. ტრანზიციულ საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენტული გარემოს ფორმირებასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილებები, ამ ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობების, სოციუმის ეთნომეტრიული და სოციო-კულტურული მახასიათებლების რელევანტური უნდა იყოს.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიურობა, ეფექტიანობა, დაინტერესებული პირები, სამეწარმეო სულისკვეთება, ინტერდისციპლინარული კვლევები.

ძირითადი ტექსტი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქართული საგანმანათლებლო ბაზრის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მისი მაქსიმალური მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, შეუძლებელია ტრანსფორმირებადი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, საგანმანათლებლო სისტემების მდგრადი განვითარების განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი თვისებრივი, სისტემაწარმომქნელი მდგენელის-კონკურენციისა და კონკურენტული გარემოს ფორმირების კანონზომიერებებისა და პრობლემების ანალიზის გარეშე.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენციის ზოგადი კანონზომიერებების მოქმედების თავისებურებების, კონკურენციის ფორმებისა და ინტენსივობის, მისი მამოძრავებელი ძალების და კონკურენტული პოზიციების შეფასება-შესწავლის პროცესს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევები ხშირ შემთხვევებში ცალმხრივი, სოციუმის განვითარების საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი, ზედაპირული და არასისტემურია. არსებული წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით აუცილებელია:

- გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტული უპირატესობის განმაპირობებელი ინოვაციური მენეჯმენტის მექანიზმების შემუშავება;

- საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში არსებულ ბიზნეს-გარემოზე, გლობალური კონკურენტული გარემოს ზემოქმედების ხარისხის და ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა;

- ბოლონიის პროცესთან მიერთების შემდეგ, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მენეჯმენტის ახალი გამოწვევების და ამ სფეროში კონკურენტულ გარემოზე მოქმედი ახალი ფაქტორების იდენტიფიცირება-ანალიზი;

- განვითარებულ ეკონომიკებში კონკურენტული გარემოს დამკვიდრების პრაქტიკის, ტრადიციის, აპრობირებული მიდგომების, გამოცდილების განვითარებად ქვეყნებში გადმოღება-დამკვიდრების პროცესში, მიმღები ქვეყნის ეროვნული სოციალ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო სისტემების ევოლუციის ეტაპის თავისებურებების გათვალისწინება. ტრანზიციულ საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენტული გარემოს ფორმირებასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილებები, ამ ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობების, სოციუმის ეთნომეტრიული და სოციო-კულტურული მახასიათებლების რელევანტური უნდა იყოს.

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, დეტალურადაა გასაანალიზებელი პოტენციური მომხმარებლების მიერ არჩევანის გაკეთების ეტაპზე სასწავლო დაწესებულებისთვის უპირატესობის მინიჭების უმთავრესი ინდიკატორები, სტრატეგიების მატრიცა და კონკურენტუნარიანობის დონის განმსაზღვრელი ტრენდები. მაჩვენებელთა ამ სისტემაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს საქმიანი ორგანიზაციების განვითარების სტრატეგიული გეგმების გენერირება. ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიასა და ინოვაციური მენეჯმენტის სტრატეგიას შორის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფა, მათი სინერგია არის ის საკვანძო ფაქტორი, რომელიც განაპირობებს უმაღლესი სკოლის

კონკურენტუნარიანობას და ეფექტიანობას.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული აქცენტები უნდა გაკეთდეს უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის, **ინკლუზიურობის, თანაბარი შესაძლებლობების გარემოს** ფორმირების პრობლემებზე. შეზღუდული რესურსების პირობებში სიკეთეებისა და სარგებლის დისტრიბუციისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ეფექტიანობისა და სამართლიანობის პრინციპების ორგანული თავსებადობის უზრუნველყოფა. ეს ორი პრინციპი უერთმანეთოდ, იზოლირებულად ვერ იქნება ქმედითი.

ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე გამძაფრებული კონკურენციის პირობებში, სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე მდგარი ამოცანების პრაქტიკის კონკრეტულ ენაზე ამეტყველება, პირდაპირ და უშუალოდ არის დამოკიდებული საუნივერსიტეტო პრიორიტეტების იდენტიფიცირება-გენერირების **პროცესის კვალიფიციურ, კომპეტენტურ, გამჭვირვალე და კეთილსინდისიერ მენეჯმენტზე.**

საბიუჯეტო პროცესის ოპერირებისას(უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტის პროექტის, როგორც ფორმირების ასევე მისი რეალიზაციის ეტაპებზე) უნდა გავითვალისწინოთ ორი საკვანძო **მომენტი-ეფექტიანობა და ინკლუზიურობა.** საუნივერსიტეტო ბიუჯეტირების პროცესის გამართული მენეჯმენტი შესაძლებელია ამ ორი უმნიშვნელოვანესი მდგენელის სინერგიით. მართვის არქიტექტონიკით დეტერმინირებული ფუნქციების წარმატებული იმპლემენტაციისთვის აუცილებელია ამ პროცესებში მთავარი აქტორების- სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და მეცნიერ-მკვლევარების, ადმინისტრაციის უშუალო ჩართულობა.

საუნივერსიტეტო ბიუჯეტების სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი, პრიორიტეტების განსაზღვრა უნდა დაეფუძნოს ისეთ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გაწერილი მიზნების (პრიორიტეტების) **კონკრეტულობას, გაზომვადობას, რეალისტურობას, დროში განსაზღვრულობას. ანალოგიური დამოკიდებულება ქმნის შესაძლებლობას, სტრატეგიული** მი-

ზანდასახულობები იდენტიფიცირებული იქნას არა ზოგად-აბსტრაქტულ, არამედ კონკრეტულ ფორმატში. აუცილებელია გამოვიყენოთ შიგა და გარე გარემოს სკანირების ერთ- ერთი აპრობირებული მეთოდი **- SWOT ანალიზი.** სკურპულოზურად უნდა იქნას შესწავლილი აკადემიური დაწესებულების, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის, მწარმოებლური ფაქტორების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. გამოკვლეული უნდა იქნას და დადგინდეს არსებულ მდგომარეობასა და მოლოდინს (სასურველ მდგომარეობას) შორის არსებული ცდომილების (აცდენის) მასშტაბები, კონკრეტული პარამეტრები, გამომწვევი მიზეზები **(GAP ანალიზი).**

აუცილებელია საუნივერსიტეტო მენეჯმენტში დამკვიდრდეს მდგრად ორგანიზაციულ სტრუქტურებში აპრობირებული გამჭვირვალე, Stake Holder-ების ინფორმირებულ ჩართულობაზე დაფუძნებული პასუხისმგებლობების გადანაწილების პრინციპი, უნივერსიტეტის საბიუჯეტო ხარჯების მიზნობრიობის და გამჭვირვალობის უზრუნველმყოფი ტექნოლოგიები. ამ პროცესებისთვის საუნივერსიტეტო საზოგადოების მხრიდან თვალყურის მიდევნება დაეხმარება სტაფს იმის დადგენაში, თუ რამდენად ეფექტიანადაა განსაზღვრული უნივერსიტეტის საბიუჯეტო პრიორიტეტები, რამდენად ემსახურება ბიუჯეტი სასწავლო დაწესებულების უშუალოდ მისიიდან და მიზნიდან გამომდინარე ამოცანების რეალიზაციას. თვალსაჩინოს გახდის რამდენადაა უზრუნველყოფილი მისი ორგანიზაციული სტრუქტურების მდგრადობა, მათი გამართული, ეფექტიანი ფუნქციონირება, რესურსების ხარჯეფექტური გამოყენება.

შეუძლებელია დაინტერესებული მხარეების სრულფასოვანი ინფორმირებულობის გარეშე მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციული სტრუქტურის მდგრადობას. ამ გარემოების გათვალისწინება აუცილებელია ნებისმიერი სისტემის მართვის პროცესში. მენეჯმენტის ამ სისტემაწარმომქმნელი პრინციპის იგნორირება განაპირობებს დესტრუქციულ პროცესებს.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი არ უნდა იყოს მორგებული ცალ-

კეული პრივილეგირებული, ვიწრო ინტერეს-ჯგუფების პირად საჭიროებებს და **არ უნდა იქცეს მათი ჰედონისტური მისწრაფებების რეალიზაციის ინსტრუმენტად.** საუნივერსიტეტო რესურსები უნდა მოხმარდეს სასწავლო პროცესის და სამეცნიერო კვლევების ხარისხის თვისებრივ გაუმჯობესებასა და განახლებას, ამ პროცესში სტუდენტობის სრულფასოვან ჩართვას. უნივერსიტეტის ფინანსების განკარგვის მექანიზმი უნდა დაეფუძნოს თანაბარი ხელმისაწვდომობის, კონკურნციისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს. სტუდენტური პროექტების დაფინანსება უნდა განხორციელდეს კონკურსების საფუძველზე, სპეციალიზებული საბჭოს მიერ, რომელშიც აუცილებლად იქნებიან წარმოდგენილი სტუდენტებიც.

ერთ-ერთ პრორიტეტად უნდა იქცეს საუნივერსიტეტო მეცნიერების (კვლევების) კომერციალიზაცია და მათი გამოყენებითი ასპექტების გაძლიერება. ამ მიზნით საჭიროა კონტაქტების გააქტიურება ბიზნეს-სექტორთან, სამთავრობო სტრუქტურებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. აუცილებელია კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება დარგის წამყვანი მეცნიერების, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლების და სტუდენტების ჩართულობით.

სახელმწიფო უნივერსიტეტეტების მოდერნიზაციის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს ენების სწავლების კომპონენტის გაღრმავება-გაძლიერება. ქართულ-ჩინური ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და ჩვენი ქვეყნის გლობალურ პროექტში-აბრეშუმის გზის ახალი ეკონომიკური სარტყელი, ინტეგრირების პერსპექტივის გათვალისწინებით, იზრდება ჩინური ენის დაუფლების აუცილებლობა(lingva franka). სწავლების პროცესისადმი ე. წ. **ბი და მულტილინგვური მიდგომები** უნდა იქცეს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად.

განსაკუთრებით ნიჭიერი, მაღალი აკადემიური შედეგების მქონე სოციალურად დაუცველი კონტიგენტის სწავლების საფასურის ნაწილობრივი ან სრული დაფინანსების გამჭვირვალე, სამართლიანი მექანიზმების დანერგვა უნდა გახდეს საუნივე-

რსიტეტო ბიუჯეტირების ერთ-ერთი პრიორიტეტი. აუცილებელია სწავლის საფასურის განსაზღვრის **საბაზრო და სოციალურად ორიენტირებული, სოციალურად პასუხისმგებლიანი კრიტერიუმების ორგანული, დაბალანსებული მორიგება-შეხამება.**

ტენუარის ინსტიტუტზე და გარე რეფერირების მექანიზმზე გადასვლა შეუძლებელია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის და მეცნიერ- მკვლევარების კვლავწარმოებაზე ზრუნვის გარეშე. უნივერსიტეტის ბიუჯეტმა სრულად უნდა დააფინანსოს გამორჩეულად მაღალი აკადემიური მოტივაციისა და კვლევითი აქტივობის მქონე სტუდენტების სწავლა დოქტორანტურის საფეხურზე. იმ პირობით, რომ უნივერსიტეტის დაფინანსებით მომზადებული პერსონალი, პროცესის წარმატებით დასრულებისა და დოქტორის ხარისხის მინიჭებიდან 5 წლის განმავლობაში დარჩება ადგილზე და მოემსახურება უმაღლესი სასწავლებლის ინტერესებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს და სახელმწიფო უნივერსიტეტების კოლაბორაციით შესაძლებელია, როგორც ამ მიმართულებით სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნების, ასევე უნივერსიტეტის მიზნების თანხვედრა და ამ ტიპის პროექტებზე გაწეული ერთობლივი ხარჯების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება. ამგვარი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სტუდენტებში **სამეწარმეო უნარ--ჩვევების ჩამოყალიბებას, ანტრეპრენიორული სულისკვეთების ფორმირებას.** კოლაბორაცია დაეხმარება სტუდენტებს მოახდინონ ბიზნეს-იდეების, სამეწარმეო ინიციატივების გენერირება და იმპლემენტაცია. აუცილებელია სახელმწიფო უნივერსიტეტების საქართველოს მთავრობის ინოვაციური სტარტაპების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამაში, სპეციალური პროექტების ფორმატში ინკორპორირება.

მიზანშეწონილია დაიწყოს აქტიური მოლაპარაკებები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, რომ მოხდეს უნივერსიტეტების ინტეგრირება სამთა-

ვრობო პროგრამაში -აწარმოე საქართველოში და მას ცალკე კომპონენტად დაემატოს **პროექტი- "აწარმოე უნივერსიტეტთან ერთად"** (უნივერსიტეტის საკუთარი ფინანსური, მატერიალური, ადამიანური რესურსების ჩართვით,თანამონაწილეობით).

ამ ტიპის პროექტების რეალიზაცია გარდაუვალი აუცილებლობით მოითხოვს ინტერდისციპლინარულ ჩართულობას ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის, მეცნიერ- მკვლევარების, სტუდენტების კომპეტენციების და უნარების, ენერგიის კოოპერაციას. პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული მარკეტინგული სტრატეგიითა და კომპლექსით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად მათ აუცილებლად დასჭირდებათ სოციოლოგიის და ფსიქოლოგიის მიმართულებების ადამიანური რესურსების ჩართვა.

საუნივერსიტეტო ბიუჯეტების შევსების მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება ვაქციოთ მეწარმეების, ეკონომიკის და ბიზნესის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ფსიქოლოგიის და მედიცინის მიმართულებების **ინტერდისციპლინარული თანამშრომლობა ნეირომარკეტინგული, ბიჰევიორისტული ინტეგრირებული ეკონომიკური კვლევების მიმართულებით.** ბიზნესის და აკადემიური სექტორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა და ამ ტიპის კვლევებში სტუდენტების ჩართულობა უზრუნველყოფს ისეთი ამოცანების იმპლემენტაციას, როგორიცაა:

1. ეკონომიკური აქტივობის მთავარი აქტორების- მეწარმის, დაქირავებული მუშაკის, მომხმარებლის ქცევის განმსაზღვრელი დეტერმინანტების იდენტიფიცირებას, მოტივების სისტემის დადგენას, რაც მათი ჰარმონიზაცია-სინერგიის, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უმთავრესი წინაპირობაა

2. ჩვენი ბიზნეს-ოპერატორების მიერ ახალი ბაზრების მოძიების, არსებულზე უფრო მყარად დამკვიდრების მიზნით განსახორციელებელი სწორი მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბებას. ფუნქციონალური მაგნიტურ-რეზონანსული სკანირების, „ სომატური მარკერების" მეთოდის, მომხმარებელთან

ურთიერთობაში სენსორული ბრენდინგის ტექნოლოგიების გამოყენება დაეხმარება მეწარმეებს სისტემურად გააცნობიერონ მყიდველის სამომხმარებლო აქტივობის მენტალური დეტერმინანტები.

უმაღლესი განათლების ეკონომიკაზე ორიენტირების თვალსაზრისით, დიდი რეზერვებია ფსიქოლოგიის, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის, ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებების და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების რესურსების კოლაბორაციაში. ამ მიმართულებების კოორდინირებული აქტივობა შესაძლებელს გახდის გააქტიურდეს სამეწარმეო აქტივობასთან დაკავშირებული ისეთი მულტიდისციპლინარული კვლევები, როგორიცაა:

1. ემოციური ინტელექტი, ლიდერობა და მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირების ინოვაციური მეთოდები
2. ადამიანური რესურსებისა და ადამიანური ურთიერთობების ეფექტიანი მართვა საქმიან ორგანიზაციებში
3. მენტალურ-ისტორიული ცნობიერების გამოვლინებები სამეწარმეო ურთიერთობების სუბიექტების ფსიქიკაში(ქართულის ქეისები) და საბაზრო ცნობიერების ფორმირების პრობლემები პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის ეპოქის საქართველოში
4. ორგანიზაციული ქცევის შესაძლებლობებისა და დაქირავებული მუშაკების ქცევაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი გლობალიზაციის გამოწვევების კონტექსტში
5. სამეწარმეო ურთიერთობების აქტორების ქცევის პატერნების თავისებურებების დადგენა, კულტურების შეფასების გ.ჰოფსტედის და გლობალური ლიდერობისა და ორგანიზაციული ქცევის ეფექტურობის სისტემის (GLOBE) ინდიკატორების მიხედვით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე

ამ ტიპის კვლევითი აქტივობები ხელს შეუწყობს ქართული პოსტსაბჭოთა, მულტიკულტურული სამეწარმეო გარემოს თავისებურებების იდენტიფიცირებას და მათი გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერებას, ქართული საქმიანი ორგანიზაციების დამკვიდრებას საერთაშორისო ბაზრებზე, ანტრეპ-

რენიორული სულისკვეთებისა და ორგანიზაციული კულტურის ქართული მოდელის ფორმირებას.

საგრძნობლადაა გაზრდილი მოთხოვნა სახელმწიფო და კერძო სექტორების მხრიდან, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური პროცესების აღქმისა და დამოკიდებულებების განსაზღვრის მიზნით განსახორციელებელ სოციოლოგიურ კვლევებზე. ამ მიმართულებით არ არის გამოყენებული საუნივერსიტეტო აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის შესაძლებლობები, კერძოდ ქართული სოციოლოგიური სკოლის დიდი ტრადიციები. უნდა შეიქმნას სპეციალური ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც იმუშავებენ ამ ტიპის დაკვეთებზე. გაოცებას იწვევს ცალკეული სამთავრობო სტრუქტურების პოზიცია, რომლებიც სოლიდურ თანხებს ხარჯავენ ამ სახის კვლევებზე და რატომღაც არ იყენებენ სახელმწიფო უნივერსიტეტების (რომლებიც მათი პატრონაჟით ფუნქციონირებენ) რესურსებს. კვლევებს უკვეთავენ ისეთ ორგანიზაციებს, რომელთა რეპუტაციაც ზოგჯერ საეჭვოა. მთავრობასთან სათანადო კოლაბორაციით შეიძლება გაჩნდეს სახელმწიფო უნივერსიტეტების სახელმწიფო დაფინანსების ერთ-ერთი ალტერნატიული წყარო, რითაც დამატებით სარგებელს მიიღებს ორივე მხარე.

ცენტრალიზებულად მართვადი, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო, თავისუფალი არჩევანის და პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, სახელმწიფომ უნდა გაატაროს და უზრუნველყოს კეთილსინდისიერი კონკურენციის ხელშემწყობი პოლიტიკა. ებრძოლოს ნებისმიერ სფეროში და განსაკუთრებით უმაღლესი განათლების სისტემაში, კონკურენციის არეალის შეზღუდვას, ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერ გამოვლინებას, რასაც ადგილი აქვს უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის ახლი სტანდარტების იმპლემენტაციის პროცესში.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირებას აბრკოლებენ უმაღლესი სასწავლებლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ავტორი-

ზაცია-აკრედიტაციის საბჭოს ფუნქციონირების მექანიზმები, დაკომპლექტების არსებული წესები.

ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების პერსონალური შემადგენლობის ზედაპირული ანალიზიც კი ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ ინტერესების შეუთავსებლობასთან, არამედ ინტერესთა აშკარა ანტაგონიზმთან, ლუსტრირებულ კონფლიქტთან. საბჭოების რიგითი ექსპერტები და წევრები არიან კონკურენტი უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი პირადი ინტერესები, რომელიც არათუ არ მოდის უნისონში ამ საბჭოების ბენეფიციარი, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მომლოდინე უმაღლესი სასწავლებლების ინტერესებთან, არამედ პირდაპირ კონფლიქტშია მათთან.

ამასთან ერთად ადგილი აქვს მეორე აბსურდულ გარემოებას. პროგრამული აკრედიტაციის საბჭოზე, რომელზეც კენჭი ეყრება ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამის ავკარგიანობის საკითხს, შედეგი დგება საბჭოს წევრი უმრავლესობის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელთაგან პროგრამით გათვალისწინებული დარგის სპეციალისტები არიან აბსოლუტურ უმცირესობაში. შეუძლებელია, რომ არასპეციალისტმა, შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე საბჭოს წევრებმა გამოიტანონ კვალიფიციური, მიუკერძოებელი, კონკურენტული საბაზრო პრინციპების ადეკვატური ვერდიქტი საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში. აუცილებელია სასწრაფოდ შეიცვალოს ეს მიდგომა. უნდა შეიქმნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტებული სპეციალიზებული დარგობრივი(მიმართულებების მიხედვით) აკრედიტაციის საბჭოები, რომლის წევრებსაც არანაირი ბმა არ ექნებათ საქართველოში მოქმედ არც ერთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან. ამ საკითხში ჩვენ და ჩვენი კოლეგები ვავლენთ გაუგებარ და აუხსნელ პასიურობას, რაც ნეგატიურად მოქმედებს და ამუხრუჭებს უმაღლესი განათლების ბაზრაზე კონკურენტული გარემოს დამკვიდრების სასიცოცხლოდ აუცილებელ პროცესს.

ECONOMY-ORIENTED EDUCATION AND THE MANAGEMENT PRIORITIES OF THE STATE HIGHER EDUCATION INSTITUTIONS

Vakhtang Antia, Ph.D in Economics
Professor at the David Agmashenebeli
University of Georgia

RESUME

For the purposes of successful functioning of the state higher education institutions it is indispensable to evaluate and analyze the peculiarities of the patterns of competition in the higher education system, the forms and intensity of competition, its driving forces and competitive positions. The goals of the research to be carried out for identifying the problems in this field are:

• Analysis of the concept, the role and the theoretical and methodological grounds of the competition in the higher education management system;

• Defining the innovative management mechanisms ensuring the competitive advantage of higher education institutions in the conditions of globalization;

• Identification and analysis of the challenges in Georgian higher education management system, and new factors, affecting the competitive environment following the signing of the Bologna Accord.

Key words: inclusion, efficiency, stakeholders, entrepreneurial spirit, multidisciplinary research.

მონოპოლიზმი და საქართველოს ეკონომიკა

ვლადიმერ ბასარია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

მიუხედავად სხვადასხვა შეფასებისა და ე.წ. რეიტინგებისა, დღეს ყველასათვის ნათელია, რომ საქართველოს ეკონომიკა მთლიანობაში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება: საკმარისია აღინიშნოს, რომ მთლიანი შინა პროდუქტის წარმოება ჯერ კიდევ (საუკუნის მეოთხედი კი გავიდა) 1990 წლის შესაბამის მაჩვენებელზე ნაკლებია.

საკვანძო სიტყვები: მონოპოლიზმი, სტაგფლაცია, კონკურენციის შეზღუდვა, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, კონკურენციის სააგენტო.

ძირითადი ტექსტი

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას ჩვეულებრივ ციკლური ხასიათი აქვს, რომელშიც ასეთი განვითარების ფაზები (ზენიტი, ვარდნა, ფსკერი, აღმავლობა) რიგითობით ცვლის ერთმანეთს. ჩვენი ეკონომიკის ფუნქციონირების ფაზებად დაყოფა სწორი არ იქნებოდა, ვინაიდან მისი საერთო განვითარების ტემპები და ამ განვითარების პირობებში უმუშევრობის, ინფლაციის, ინვესტიციების, მოსახლეობის კეთილდღეობის დონისა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთკავშირი ვერ ჯდება ციკლური განვითარების თეორიის ტრადიციულ ახსნა-შეფასებაში. ამასთან, ეკონომიკური თეორია გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იცნობს ეკონომიკის ხანგრძლივ პერიოდში არასახარბიელო ფუნქციონირების

ხასიათს, რომელსაც სტაგფლაცია ეწოდა. „სტაგფლაცია არის ეკონომიკის განვითარების დაცემისა და უმუშევრობის ზრდის პერიოდი, რომელსაც თან ახლავს ინფლაციის დაჩქარება“ [1. გვ.469]. მიჩნეულია, რომ სტაგფლაციას იწვევს ორი ძირითადი ფაქტორი: მონოპოლიური ტენდენციები და ხელისუფლების მიერ ეკონომიკის არარაციონალური, ინფლაციური რეგულაცია.

მონოპოლიური ტენდენციები, ბაზარზე ძალაუფლების მქონე მონოპოლიები ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც მთლიანად ქართულ ეკონომიკაში, ისე თითქმის ყველა მის დარგში. და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს საბაზრო ეკონომიკა აღმოცენდა იმ დაძალებით წარმართვადი სახალხო მეურნეობიდან, სადაც თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობები, სრულყოფილი კონკურენცია საერთოდ არ არსებობდა, სადაც სამეურნეო სუბიექტებს შორის შექმნილი დოვლათით ვაჭრობა კი არ მიმდინარეობდა, არამედ მათი დირექტიული განაწილება ხდებოდა (ე.წ. „მომარაგება“). შესაბამისად, ყველა სამეურნეო სუბიექტი ან მონოპოლიურ ძალაუფლებას ფლობდა (სისტემის უბრალო ჭანჭიკიც კი მონოპოლისტად გრძნობდა თავს და სათანადოდ იქცეოდა - მონოპოლიური მენტალიტეტი მოდებული ჰქონდა პრაქტიკულად მთელ საზოგადოებას), ან ამ მონოპოლიზმის მსხვერპლი იყო. ამას დაემატა ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ წლებში სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანწილად უგუნურად პრივატიზების შედეგად მმართველ წრეებთან დაახლოებული მცირერიცხოვანი ჯგუფის (მ.შ. კრიმინალთა) ხელში ქვეყნის კაპიტალური რესურსების (შესაბამისად, ეკონომიკური ძალაუფლების) თავმოყრა და ქვეყანაში განვითრებული უმძიმესი პოლიტიკური მოვლენები.

ამ პირობებში ეკონომიკის სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა ყოფილიყო თანმიმდევრული მკაცრი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება, სრულყოფილი კონკურენციის ფართოდ დამკვიდრება იმ საზოგადოებაში, რომელიც ათეული წლების განმავლობაში სამეურ-

ნეო საქმიანობას ყოვლისმომცველ მონოპოლიურ პირობებში ახორციელებდა.

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მთელ განვლილ პერიოდში საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით გაუბედავ, არათანმიმდევრულ და ფაქტობრივად უშედეგო პოლიტიკას ეწეოდა; მეტიც, ნაციონალური მოძრაობის ძალაუფლების პერიოდში ანტიმონოპოლიური სამსახური საერთოდ გაუქმდა.

ასე რომ დამოუკიდებელ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის საწყისმა მდგომარეობამ (მკვეთრად მონოპოლიზებული დაძალებით წარმართვადი ეკონომიკური სისტემა) და განვლილ პერიოდში ქვეყანაში სერიოზული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის არარსებობამ განაპირობა ის, რომ ჩვენთან ჩამოყალიბებულ საბაზრო ეკონომიკას მისი მაღალშედეგიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ სრულყოფილ კონკურენციას ზღუდავს (ხელ-ფეხს უკრავს და ბოჭავს), და მის საერთო ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს მონოპოლიური ტენდენციები. მდგომარეობა მოითხოვს საქართველოს ეკონომიკის მძიმე მდგომარეობაში ფუნქციონირების ამ უმნიშვნელოვანესი მიზეზის საწინააღმდეგო თანმიმდევრულ და სწრაფ ქმედობას.

აქ მიზანშეწონილია ერთი რემარკის გაკეთება. საქმე ისაა, რომ მონოპოლიური ტენდენციების ზიანობის მოსაზრების და მათი განეიტრალებისათვის სახელისუფლებო ღონისძიებების გატარების აუცილებლობის წინააღმდეგია ბევრი ცნობილი მეცნიერი, მათ შორის საქართველოშიც; მათი აზრით, საბაზრო მექანიზმები ამ პრობლემას ეკონომიკის თვითრეგულირების საწყისებზე ფუნქციონირებით უკეთესად გადაწყვეტენ, ვიდრე გარედან მოქმედი ყველაზე ბრძენი მმართველი. ამ მოსაზრების საპირწონედ ერთ ფაქტს მოვიყვან: ეკონომიკის მართვაში რომ ამერიკის შეერთებული შტატები გამორჩეულად ლიბერალური მიდგომებით ხელმძღვანელობენ, ეს, ალბათ, საკამათო არაა. ამავე დროს, სწორედ აშშ-მა მიიღეს ჯერ კიდევ 1890 წელს შერმანის ე.წ. ანტიტრესტული კანონი, შემდეგ კი, 1914 წელს, ამ მიმართულებით მთავრობის უფლებამოსილების გაზრდის „ქლეიტონის აქტი“ შემოიღეს (ეს ორივე კანონი დღესაც მოქმედებს);

ხოლო აშშ-ის უზენაესი სასამართლოს შეფასებით, სწორედ ეს ნორმატიული აქტებია „ამომწურავი ქარტია ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, რომლის მიზანია თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის, როგორც ვაჭრობის ერთადერთი წესის, დაცვა“ [N2, გვ.117].

დავუბრუნდეთ საქართველოს ეკონომიკას. მართალია, ჯერ კიდევ 2014 წლის აპრილში მთავრობამ შექმნა კონკურენციის სააგენტო, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება თვისუფალი კონკურენციის დაცვა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებაა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი (უფრო ზუსტად, საერთოდ არაფერი) შეცვლილა: თუ ამ სამსახურის მიერ პირველ წელს გაწეული საქმიანობის 6 გვერდზე „დატევას“ მუშაობის დაწყებით ავხსნით, რით გავამართლოთ ის ფაქტი, რომ მომდევნო წელს ამ უწყებამ ერთადერთ ფაქტზე მიიღო სანქციის დაწესების გადაწყვეტილება? და ყველაფერი ეს ხდება საქართველოს ეკონომიკის ბაზრებისა და დარგების მონოპოლიზაციის თაობაზე ხელისუფლების უმაღლეს დონეზე გაკეთებული განცხადებების ფონზე (საბანკო, სააფთიაქო, ენერგომატარებლების და ეკონომიკის სხვა სფეროებში მონოპოლიური ტენდენციების დამანგრეველი შედეგების შესახებ).

ზოგ შემთხვევაში კანონმდებლობის გაუმართაობის (ზედმეტი ლიბერალურობის) და მისი მოთხოვნების რეალიზაციის შედეგებზეც შეიძლება, ალბათ, საუბარი. მაგალითად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

• კომპანია დომინანტად მიიჩნევა, თუ მას შესაბამის ბაზარზე უკავია ბრუნვის 40%-ზე მეტი. გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში ეს ზღვარი უფრო დაბალია (აღსანიშნავია, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებამდე ეს ზღვარი ჩვენთან 33%-ს შეადგენდა);

• არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტისა დომინანტებად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, თუ მათი ერთობლივი წილი ბაზარზე 50%-ს აღემატება (ამასთან თითოეულის წილი 15%-ზე მეტია);

• ითვლება, რომ 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური სუბიექტი დომინირებს ბაზარზე მხოლოდ იმ შემ-

თხვევაში, თუ მათი ერთობლივი წილი 80%-ს აღემატება (აქაც თითოეულის საბაზრო წილი 15%-ზე მეტია; ეს ზღვარიც სხვა ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან შედარებით, მაღალია).

როგორია ზოგიერთი მსხვილი კომპანიის წილობრივი მონაწილეობა ბაზრებზე?

მთლიანად საფინანსო ბაზარზე საბანკო სექტორის წილი მეტად მაღალია (93%), რაც ცალსახად ნიშნავს, რომ, ფულადი სახსრების განთავსებისა და ამგვარად შემოსავლის მიღების თვალსაზრისით, ბანკები აბსოლუტურად დომინირებენ დანარჩენ საფინანსო ინსტიტუტებზე (სადაზღვევო კომპანიები, საფონდო ბირჟა, სხვა შემნახველი ორგანიზაციები).

თვით საბანკო სივრცეს რომ პრაქტიკულად „თიბისი ბანკისა“ და „საქართველოს ბანკის“ დუოპოლია განაგებს, ეს, ვფიქრობ, სტატისტიკური მონაცემების მოყვანის გარეშე ისედაც ბევრისთვისაა ცნობილი; არაა სიახლე არც ის, რომ მობილური კომუნიკაციების ბაზრის ვეებერთელა წილს ორი კომპანია - “მაგთი“ და „ჯეოსელი“ აკონტროლებს, ხოლო ფარმაცევტული ბაზრის თითქმის ნახევარი „ავერსის“ და „პსპ“-ს განკარგულებაშია; ყველა დაინტერებულმა პირმა იცის, რომ „სოკარი“, „ლუკოილი“, „ვისოლი“ და „გალფი“ შეხმატკბილებულად განსაზღვრავენ ფასებს ნავთობპროდუქტების ბაზარზე, ხოლო ინტერნეტის ბაზარი პრაქტიკულად მთლიანად აქვს ხელში ჩაგდებული „სილკნეტს“ და „კავკასუს ონლაინს“...

სწორედ ეკონომიკაში არსებული მონოპოლიზმი და მონოპოლიური ტენდენციები, მათ წინააღმდეგ ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა და ზოგიერთი სხვა მიზეზი განაპირობებს დიდწილად იმას, რომ:

- ✓ ჩვენთან თითქმის ორჯერ უფრო ძვირია საბანკო მომსახურების პროდუქტი, ვიდრე ევროპაში (მაგალითისათვის: იპოთეკური კრედიტის წლიური საშუალო საპროცენტო განაკვეთი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შეადგენს 4,5%-ს, აღმოსავლეთ ევროპაში 7-8%, საქართველოში ლარში აღებული კრედიტი დაახლოებით 13% ღირს);

✓ ჩვენი ბანკები საკომისიოს იღებენ ანგარიშის გახსნისათვის ან დახურვისათვის (!), თითქოს ეს (და ბევრი სხვა მისთ.) ოპერაცია ბანკის პირდაპირი საქმიანობა არ იყოს და რაღაც დამატებითი ხარჯების განევას მოითხოვდეს;

✓ ასევე იქცევიან საკომუნიკაციო მომსახურების მონოპოლისტი ოპერატორები, რომლებიც სტაციონარული ტელეფონის გათიშვის შემდეგ ყოველთვიურად ახდევინებენ აბონენტებს ე.წ. „გამორთვის საფასურს“ !(?);

✓ ნავთობზე მსოფლიო ბაზარზე ფასის დაცემაზე ქართული ბაზარი ძალზე გვიან რეაგირებს ან მას საერთოდ „ვერ ამჩნევს“, მაშინ როცა მსოფლიო ბაზარზე ფასის გაძვირებას ლამის წინ უსწრებს ჩვენი ბაზრის რეაგირება. იგივე შეიძლება ითქვას ხორბალზეც;

✓ მთელ რიგ მედიკამენტებზე ჩვენთან ფასები 2-3-ჯერ აღემატება ევროპულ ფასებს, ხდება პირველ რიგში ძვირი მედიკამენტების შემოტანა, მაშინ როცა შედარებით იაფი დახლიდან ქრება;

✓ ექსპერტების გათვლებით, ჩვენთან გაუმართლებლად მაღალია ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის და სხვა ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქტის ფასი. სამწუხაროა, რომ ამ კატეგორიის პროდუქტებზე ფასების მომატების აუცილებლობას მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლები ხან ინვესტიციების სიჭარბით „ასაბუთებენ“, ხან კიდევ იმით „ხსნიან“, რომ მონოპოლისტი ფასის მეტად მომატებას მოითხოვდა, ჩვენ კი ნაკლებზე დავითანხმეთო !(?);

✓ ქართულ საფინანსო ბაზარზე არ გამოჩნდა, ან ფეხი ვერ მოიკიდა მსხვილმა უცხოურმა ბანკმა (ბაზარი გაურკვეველი მიზეზებით დატოვა ბრიტანულმა HSBC-იმ, რომელიც თავის დროზე კლიენტების დაბალი საპროცენტო განაკვეთებით მოზიდვას შეეცადა);

✓ საქართველოს სამშენებლო სექტორში (სადაც მაღალია სახელმწიფოს წილი) გამოცხადებულ ტენდერებში ხშირად იმარჯვებენ კომპანიები, რომლებსაც არა აქვთ სათანადო გამოცდილება.

დასკვნა

გამოდის, რომ სხვადასხვა ბაზრებზე მოქმედი და კანონის მოთხოვნებს აცდენილი მსხვილი კომპანიების ქცევა, მათ შორის ბუნებრივი მონოპოლიების ფასობრივი პოლიტიკა, ეკონომიკის განვითარებაზე მონოპოლიზმის პერმანენტული ნეგატიური ზეწოლა (მისი სტაგფლაციაში მოქცევა), უამრავი სიგნალი ამის თაობაზე პრესასა თუ ტელევიზიაში და მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გვკარნახობს, რომ ქვეყანაში აუცილებელია ანტიმონოპოლიური პოლიტიკის არამარტო მნიშვნელოვანი გააქტიურება, არამედ თვისებრივად ახალი მიდგომების შემუშავება.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს მიერ მთლიანი ეკონომიკის მართვაში, ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში უმნიშვნელოვანესი მიმართულება საფინანსო-საგადასახადო ბერკეტების გამოყენებაა. უკიდურესად მაღალი მონოპოლიზმისაგან ეკონომიკის განკურვნაში კი ეს ბერკეტები, სამწუხაროდ, ნაკლებეფექტიანია; მეტიც, ზღვარგადასული მონოპოლიზმი უპერსპექტივოს და უსარგებლოს ხდის კარგად გააზრებულ - გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასაც კი. დღევანდელ პირობებში წარმატებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკა მოითხოვს უმაღლეს პროფესიულ დონეზე შექმნილ საკანონმდებლო ბაზას, ხისტი ადმინისტრაციული ზომების გატარებას და შესაბამის მაღალპროფესიულ, მაღალზნეობრივ და შეუპავარ კადრებს. გასაგებია, რომ ამ ურთულესი ამოცანის გადაჭრა დიდ ძალისხმევას და სერიოზულ დანახარჯებს უკავშირდება, მაგრამ ის აუცილებლადაა გადასაწყვეტი. სხვაგვარად, თუ ამის რეალიზაციის ნდობა არ გამოვიჩინეთ და მეურნეობრიობას დროულად არ ჩამომოვაშორეთ მისი განვითარების მამუხრუჭებელი მონოპოლიური გამოვლინებები, ქვეყნის ეკონომიკის სტაგფლაცია უკურნებელ სენად გადაიქცევა.

ლიტერატურა

1. ვლადიმერ ბასარია, რევაზ ბასარია. ეკონომიკის პრინციპები. „საქართველოს აკადემიური გამომცემლობა“, თბილისი, 2017.
2. გრიგოლ თოდუა, რევაზ გოგოხია, როინ ქუტიძე. ეკონომიკის პრინციპები - მიკროეკონომიკა. გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2008.
3. Менкью Н.Г. Принципы экономикс. 2-ое изд. – СПб; «Питер», 2003.

REFERENCES:

1. Vladimir Basaria, Revaz Basaria. Principles of Economics. “Georgian Academic Publishing House”, Tbilisi, 2017.
2. Grigol Todua, Revaz Gogokhia, Roin Kutidze. Principles of Economics – Microeconomics. Publishing House “European University”, Tbilisi, 2008.
3. Mankiw N.G. Principles of economics. 2nd ed. - SPb; “Piter”, 2003.

MONOPOLY AND GEORGIAN ECONOMY

Vladimer Basaria
Academic Doctor of Economics
Sokhumi State University

RESUME

Georgia’s economy is still in a difficult stagflation situation. Stagflation causes two main factors: monopoly trends in economics and the government’s unrealistic and inflationary regulation. Monopolies with power are widely represented in the Georgian economy as well, as almost in all its branches. In April 2014 the government created the Competition Agency, the main direction of which is to maintain the fair competition and to pursue antitrust policy, but nothing has

changed: the share of the banking sector in the financial market is still quite high (93%); the banking space is practiced by the duopoly of TBC Bank and Bank of Georgia; the mobile communications market is controlled by two companies – "Magti" and "Geocell", while almost half of the pharmaceutical market is in "Aversi" and "PSP"'s hands; all interested people know that "Socar", "Lukoil", "Wissol" and "Gulf" determine prices on the oil products market; the internet market is virtually complete with "Silknet" and "Caucasus Online"…

Monopoly and monopolistic trends in economics, the absence of effective state policy against them, and some other reasons are largely due to the fact that: almost two times more expensive bank products than in Europe; our banks take the commission for opening or closing the account (!), as if this (and much more) operation is not the direct activity of the Bank and requires some additional expenditure; the Georgian market reacts too late to falling prices on the world market, or it does not "see" at all, while the price increases ahead of time; the same can be said about wheat; for prices on a list of medicines 2-3 times higher than the European prices, it is primarily the introduction of expensive medicines, while the relatively low cost is lost; according to experts estimates, the price of electricity, natural gas, water and other natural monopolies is unjustifiably high - It is unfortunate that the representatives of the regulatory commission are "substantiating" the cost of these products as the cause of investment surplus, sometimes "explaining" that the monopolist demanded to increase the price, but we agreed on less(!); the bigger foreign bank did not appear on the Georgian financial market (the market left for unknown reasons British HSBC, which tried to attract customers at low interest rates).

In the country it is necessary not only to activate the anti-monopoly policy, but also to develop new approaches - otherwise, the stagflation of the economy of the country will become invulnerable.

Key words: Monopoly, competition, restriction, antimonopoly politics, competition agency.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

ანი კალანდია
ქუთაისის უნივერსიტეტის
დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია საკითხები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლისა და გავლენის შესახებ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ასევე ინვესტორების მიზნები და შედეგები, რომელსაც უცხოური კაპიტალდაბანდება იძლევა როგორც კაპიტალის ექსპორტიორი ქვეყნის, ასევე მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის.

განსაზღვრულია ის ძირითადი მიზეზები, რაც უცხოელ ინვესტორს საკუთარი ფინანსური რესურსების სხვა ქვეყნის ეკონომიკაში დაბანდებას უბიძგებს. განხილულია ეკონომიკური ზრდის მოდელების და სხვადასხვა კვლევების მიერ გამოვლენილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი ეფექტი მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო საქმიანობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო გარემო, უცხოელი ინვესტორი, ეკონომიკური ზრდა.

ძირითადი ტექსტი

არაერთი ქვეყნის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ უცხოური კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის გარანტიაა მხოლოდ საინვესტიციო ნაკადების სწორი მართვის საფუძველზე.

უცხოელი ინვესტორი ფინანსური რესურსის დაბანდებას ახდენს სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომლებიც, თავის მხრივ, ადგილობრივი ინვესტორის ნდობითაც ხასიათდებიან. აქედან გამომდინარე, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ, როდესაც საუბარია საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი შემოსვლა ქვეყანა-

ში მოხდება მხოლოდ ადგილობრივი კაპიტალის რეალურად ამოქმედების პირობებში.

ქვეყნის ზოგადი პოლიტიკა მნიშვნელოვნად მოქმედებს ინვესტორის გადაწყვეტილებაზე. ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში ყურადღების გამახვილება ხდება ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობაზე. ბუნებრივია, ინვესტორი ეძებს სტაბილურ გარემოს, რადგან ქვეყნაში არსებული არამდგრადი მდგომარეობა ინვესატორის მიერ დაგეგმილი საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს.

ყველა ქვეყანა ყოველთვის ვერ ახერხებს მოიზიდოს ინვესტიციების სწორი მოდელი. ამასთანავე, არცერთი ინვესტორი აბანდებს კაპიტალს მიმღები ქვეყნის ადგილობრივი პირობების შესწავლის გარეშე. იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ კავშირი უცხოელ ინვესტორსა და მიმღები ქვეყნის ადგილობრივ პირობებს შორის, აუცილებელია ვიცოდეთ ინვესტორის მასტიმულირებელი ფაქტორები: საჭიროა ინფორმაციის კვლევა რეგიონში მათი საქმიანობის შესახებ, შედეგი, რასაც ისინი მოელიან ინვესტირებისას და მათზე ზემოქმედების ფაქტორები.

განსხავებულია ინვესტორების მოტივაციები, თუ რა ფაქტორი მოქმედებს მათ გადაწყვეტილებაზე კონკრეტულ შემთხვევებში. მაგალითად:

ბაზარზე ორიენტირებული ინვესტიციებისათვის მთავარი ეკონომიკური ფაქტორი არის ბაზრის ზომა, განვითარების ტემპი და ქვეყნის რეგიონული ინტეგრაცია. ნაწილისთვის საინტერესოა დაბალანაზღაურებადი მუშახელი, ზოგისთვის ნედლეულსა და ბუნებრივ რესურსზე ხელმისაწვდომობა.

ეფექტიანობაზე ორიენტირებული ინვესტიციისთვის მთავარი ეკონომიკური ფაქტორი არის საზოგადოების განვითარების დონე და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხარისხი. რაც უფრო მაღალ განვითარებულია მოსახლეობის ცხოვრების დონე, მით უფრო ნაკლები დანახარჯების გაწევა უწევს ინვესტორს ტექნოლოგიური პროგრესის მისაღწევად, მაშინ როცა დაბალგანვითარებული ქვეყნებისთვის დიდი რაოდენობით ფინანსებია

გამოსაყოფი ტექნოლოგიების გასავითარებად. ამიტომაც, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია იზრუნოს საზოგადოების განვითარების მაღალი დონის მიღწევა-შენარჩუნებაზე.

არასაკმარისი შიდა დანაზოგი ვერ აფინანსებს ადგილობრივ საინვესტიციო მოთხოვნას, რაც უარყოფითად აისახება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციებზე, ასეთ დროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყოველთვის განიხილება სტაბილური და გრძელვადიანი ინვესტიციების წყაროდ.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და უცხოური ინვესტიციების მიმდინარე სწრაფი ნაკადები იძლევა სტიმულს დარგების დონეზე გავარკვიოთ კავშირი ეკონომიკურ ზრდასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის. აღნიშნული კავშირი სხვადასხვა სამეცნიერეო წყაროს მიხედვით განსხვავებულია. ემპირიული კვლევების დიდი ნაწილი ადასტურებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით გავლენას წარმოების ზრდაზე, თუმცა ნაწილი მის არაპროდუქტიულობაზეც მიგვანიშნებს.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისთვის ეფექტი ყოველთვის დადებითია, განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში კი შედეგი ორაზროვანია.

ზრდის ნეოკლასიკური მოდელის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის ინვესტიციების ოდენობას და მწარმოებლურობას მიმღებ ქვეყანაში. მაგრამ, ამავდროულად ამ ტიპის ინვესტიციებს მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შეუძლია გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე გრძელვადიან პერიოდში მისთვის დამახასიათებელი ფიზიკური კაპიტალის შემცირებადი შემოსავლის ბუნებიდან გამომდინარე.

ზრდის ეგზოგენური მოდელის მიხედვით (გარე ძალების ზემოქმედების შემთხვევაში), პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს მოქმედების დონე გააჩნია მხოლოდ მდგრად მდგომარეობაში და არ ახდენს ზემოქმედებას ზრდის ტემპზე, გარდა ახალ, მდგრად მდგომარეპობაში გადასვლის პროცესისა.

ეს მოდელი ამტკიცებს, რომ ეკონომიკური ზრდის ტრადიციული ფაქტორების შრომის და კაპიტალის გამოყენებით

იწარმოება პროდუქტი და შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას ახდენს სამუშაო ძალის და კაპიტალის მეშვეობით შემდეგნაირად: აძლეირებს კაპიტალს, საგრძნობლად აუმჯობესებს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონეს და ახორციელებს ახალი ტექნოლოგიების გადაცემას, გააჩნია სრული ფაქტორული მწარმოებლურობის ზრდის პოტენციალი.

ინდუსტრიალიზაციის მეთოდის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასევე დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. უცხოური ინვესტიციები ზრდის დასაქმებას და მნიშვნელოვანია ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის. მაღალი პროდუქტიულობის გამო ხშრად ასეთი ტიპის დასაქმება უფრო მსხვილ ხელფასებსა და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს. ასევე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმღები ქვეყნისთვის ტექნოლოგიური „ნოუ-ჰაუს“ და პროგრესული მენეჯმენტის იდეალურ კომბინაციას იძლევა, რაც გლობალურ ბაზარზე ქვეყნის წინსვლის წინაპირობაა.

ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორების მიერ წარმოდგენილი განსხვავებული შეხედულებები არსებობს თუ “როგორ” და “რა მოცულობით” ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზეგავლენას ეკონომიკურ ზრდაზე განვითარებად ქვეყნებში. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვს პირდაპირი გავლენა ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკის ზრდაზე. ეს ხდება კაპიტალის დაგროვებით, „ნოუჰაუსა“ და ტექნოლოგიის ტრანსფერით . მსოფლიოს გარშემო მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების და განვითარების გამო, ბევრ ქვეყანას აკლია ინვესტიციები, რომელიც წაახალისებდა ადგილობრივ და რეგიონულ განვითარებას. ცენტრალური დაგეგმვიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა ძალიან ბევრი ქვეყნისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი ფინანსური პოტენციალი გახადა სასურველ და საჭირო შესაძლებლობად ახალი ფინანსური რესურსის შესაქმნელად. ეს ხორციელდება იმ მასტიმულირებელი შეღავათებით, რომლებიც მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესაქმენლადაა აუცილებელი.

ზოგადად, ქვეყნიდან კაპიტალი გადის მაშინ, როცა ის ჭარ-

ბად აქვს ბაზარს და რომლის გამოც შედარებით დაბალია ფინანსური სარგებელი. ამიტომაც, კაპიტალდაბანდება ხდება იქ, სადაც მასზე მეტი მოთხოვნაა და შესაბამისად, სავარაუდო მოგებაც მაღალი. ანუ კაპიტალდაბადება მიემართება იქითკენ, სადაც ინვესტორისთვის სასურველი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციო-კულტურილი პირობებია.

ამჟამად მსოფლიოში შეიმჩნევა ინვესტიციის მიმღებსა და ინვესტიციების შემომტანს შორის ურთერთანამშრომლობის ტენდენცია, რაც ბუნებრივიცაა, ორივეს ინტერესები და ურთიერთსარგბლიანობა თანხვედრაშია.

საზღვარგარეთიდან შემოსული კაპიტალი, გარდა იმისა, რომ ეკონომიკური ზრდის მოწინავე ფაქტორია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მოცულობაზე, უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელებაზე, საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ინტეგრაციაზე, მიმღები ქვეყანა იძენს ახალ მოწინავე მენეჯერულ პრაქტიკას, ახდენს ორგანიზაციის სისტემატიზაციას, იზრდება სავალუტო შემოსავლები, ხდება სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება, ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება, რაც ზრდის კვალიფიციურ ადამიანურ რესურსს.

რაც უფრო განვითარებულია ეკონომიკა, მით უფრო მაღალია მოცემული საზოგადოების ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანური კაპიტალის წილი. ფინანსებია გამოსაყოფი გამოცდილი და უნარიანი კადრის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, იქნება ეს პროფესიული განათლება, ტრეინინგები, სემინარები და ა.შ.. მთავრობის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს უწყვეტი განათლების სისტემის შესაქმნელად.

მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესში ჩართულობისთვის აუცილებელია ფინანსდებოდეს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები.

ღირებულია ის ცოდნა და გამოცდლება, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას უცხოელი პარტნიორებისგან გადაეცემა, როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური სემინარ-ტრეინინგების და პროგრამების მეშვეობით. სემინარ-ტრეინინგები უზრუნვე-

ლყოფენ წარმოების პროცესების, მენეჯერული უნარ-ჩვევებისა და ახალი ტექნოლოგიების შესწავლასა და გამოცდილების მიღებას. ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა მაღალი კონკურენციის პირობებში შესძლოს ინვესტიციების დიდი რაოდენობით მოზიდვა, ადგილობრივი ბიზნესის მაქსიმალურად წახალისება და ეროვნული ეკონომიკის ზრდა. საქართველოს ეკონომიკის გადარჩენის გზა მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებში როდია, მომავალში განსაკუთრებული როლი შიდა ინვესტიციების მოზიდვას მიენიჭება, რომლის მნიშვნელობა კიდევ და კიდევ უფრო გაიზრდება.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვანია ქვეყანამ უზრუნველყოს უცხოური ინვესტიციებისადმი გახსნილობა და მიმზიდველი გარემო. ამასთან ერთად, ქვეყანა მუდმივად უნდა ცდილობდეს საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე გასვლას და ქვეყნის ფინანსური რისკების შემცირებას. ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი მეტწილად ინვესტირებული თანხების სიდიდეებზეა დამოკიდებული, ამიტომაცაა საჭირო ქვეყანამ აქცენტირება მოახდინოს ინვესტიციების ნაკადების მოზიდვისკენ.

კონკურენციაზე საუბრისას აუცილებელია გავმჯინოთ ერთმანეთისგან კომპანიებსა და ქვეყნებს შორის კონკურენცია. კონკურენციის კონცეფციის განმარტების თანახმად ქვეყნებს შორის ეროვნულ დონეზე - ქვეყნის სავაჭრო ბალანსი - მისი უნარი გაყიდოს მეტი საზღვარგარეთ, ვიდრე ყიდულობს- ზომავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები ბაზრის სერიოზული მოთამაშეები არიან და დიდწილად სწორედ ისინი გამოირჩევიან მაღალი საწარმოო აქტივობით. აღსანიშნავია ასევე ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიების წილი მთლიან ექსპორტში, რომელიც მის ნახევარს შეადგენს და მიგვანიშნებს, რომ ქართული ექსპორტი დიდწილად უცხოური ინვესტიციების ხარჯზე ვითარდება.

ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებს შორის ტექნოლოგიე-

ბის ხარისხში განსხვავება თუ მაღალია, ადგილობრივი კომპანიები მათ მიერ წარმოებული პროდუქციის საგრძნობლად დაბალი ხარისხიდან გამომდინარე ნელ-ნელა კარგავენ საკუთარ წილს შიდა ბაზარზე და გამოთავისუფლებულ ადგილს უცხოური კომპანიები იკავებენ. ამ გზით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის შიდა კონკურენციას. თუმცა აღნიშნული ეფექტი დადებითია მიმღები ქვეყნისთვის, თუკი ტექნოლოგიური განსხვავება შიდა და უცხოურ კომპანიებს შორის არის ძალიან მაღალი და კონკურენცია ორივე მონაწილეს უბიძგებს დაწიონ ფასები და აწიონ ხარისხი.

დასკვნა

სახელმწიფომ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გამოიყენოს და მის კონკურენტებზე უკეთესი საინვესტიციო გარემო შესთავაზოს ინვესტორებს, მაგ: მოქნილი საგადასახადო განაკვეთები კონკრეტული დარგების მიხედვით. გასათვალისწინებელია - დანახარჯების გადანაწილების სარგებლიანობის პრობლემა. საერთაშორისო კომპანიები შეიძლება ფლობდნენ მონოპოლიურ ძალაუფლებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნების კონკრეტულ დარგებში საწარმოო მარაგებზე და პარალელურად მოქმედებდნენ საგადასახადო შეღავათის პირობებში. ასეთ სიტუაციაში კი იჩაგრებიან ადგილობრივი კომპანიები და იძულებით ტოვებენ ბაზარს.

სამეცნიერო კვლევები ცხადყოფს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და წარმოების ზრდის მაჩვენებლებს შორის დადებით კავშირს, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დარგი, რომელშიც ხორციელდება უცხოური ინვესტიციები ამ დარგის პროდუქტიულობის გარანტია. გასათვალისწინებელია, რომ თუ ჩვენ უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შემოწმება გვსურს, უნდა გავითვალისწინოთ დროის ფაქტორი. სხვადასხვა დარგში გაწეული ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე ეკონომიკის ზრდაზე ასახვას დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ ჰპოვებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისი წინაპი-

რობის არსებობისას პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ცალსახად დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ვერ იქნება სრულფასოვანი და თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს, თუ მიმღებ ქვეყანაში არ იქნება შესაფერისი ფუნდამენტური წინაპირობები, მათ შორის: დახვეწილი კერძო და საჯარო ინფრასტრუქტურა, სათანადო ადამიანური კაპიტალი, დახვეწილი სამართლებრივი ბაზა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფარჯიანი შ., „ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის სტატისტიკური კვლევა“ , თბ., 2016.

2. მექვაბიშვილი ე., „ ეკონომიკური ზრდისა და გლობალიზაციის ზემოქმედება ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე საქართველოში“, ჟურნალი „ბანკი“, 2000, №2, გვ., (3-7), 3-76.

3. ჭარაია ვ., „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე)“., თბ., 2015

4. OECD Publications, “Foreign Direct Investment for Development maximizing benefits, minimizing costs”. France, 2002 https://www.oecd.org/investment/investmentfordevelopment/1959815.pdf

5. The_Role_of_Foreign_Direct_Investment_in_the_Economy/ Kowalewski O., Weresa A., Warsaw, 2008 https://www.researchgate.net/publication/23646511_The_Role_of_Foreign_Direct_Investment_in_the_Economy

REFERENCES:

1. Parjiani, Sh., ““Statistical Survey of Foreign Direct Investments Influence on Economic Growth” , Tbilisi, 2016.

2. Mekvabishvili E., “Economic Growth and Globalization Impact on Fiscal Credit Policy in Georgia “ , Journal “Bank”, 2000, No. 2, pp., (3-7), 3-76.

3. Charaia V., "The role and importance of foreign direct investments for the economic growth of the country (on the example of Georgia)", Tb., 2015

4. OECD Publications, "Foreign Direct Investment for Development maximizing benefits, minimizing costs". France, 2002

https://www.oecd.org/investment/investmentfordevelopment/1959815.pdf

5. The_Role_of_Foreign_Direct_Investment_in_the_Economy/ Kowalewski O., Weresa A., Warsaw, 2008

https://www.researchgate.net/publication/23646511_The_Role_of_Foreign_Direct_Investment_in_the_Economy

THE IMPACT OF FOREIGN DIRECT INVESTMENTS (FDI) ON THE COUNTRY'S ECONOMIC GROWTH

Ani Kalandia
PHD Student of Kutaisi University

RESUME

This article discusses the issues of foreign investment, its influence on economic development, motivations of investors, the results that foreign capital will give to the economy of the exporting country as well as to the economy of the recipient country. The goal is to determine the main reasons, which encourages foreign investors to invest their capital in other economies. Moroever, there are considered the economic growth models and other researches, which proved the positive effect of direct foreign investments on the economic growth of the recipient country.

Key words: Investment Activities, Foreign Direct Investments, Investment Environment, Foreign Investor, Economic growth.

მიმღებ ქვეყნებში უპი-ის დადებითი ეფექტების მიღება

ზურაბ კირკიტაძე
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებზე დადებითი ეფექტების განხილვის დროს ყურადღება გამახვილებულია ამ ქვეყნების მახასაითებლებზე. კვლევის პროცესიდან ჩანს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში უპი-ის დადებითი ეფექტები მართლაც დამოკიდებულია ამ ქვეყნის მახასიათებლებზე, მაგალითად ის, რომ ადამიან-კაპიტალის მაღალი დონე მართლაც განაპირობებს უპი-ის დადებით ეფექტებს მიმღებ ქვეყნებში. გამოვავლინეთ ის, რომ უპი-ის დადებითი ეფექტები დამოკიდებულია მიმღებ ქვეყნებში არსებულ არა მხოლოდ ერთ ფაქტორზე.

საკვანძო სიტყვები: სტატისტიკური მასალა, მიმღები ქვეყანა, მახასიათებლები, დადებითი ეფექტები

შესავალი

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებითი ეფექტები მიმღები ქვეყნის მახასიათებლებზეცაა დამოკიდებული. შესაბამისად, მიმღებმა ქვეყნებმა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით გატარებულ პოლიტიკასთან ერთად დადებითი შედეგების მისაღებად უნდა გაატარონ ინსტიტუციური რეფორმები ქვეყანაში, რაც ინვესტიციების დადებითი ეფექტების ზრდას შეუწყობს ხელს, ვინაიდან ორ ქვეყანაში ერთი და იმავე მოცულობით უპი-ის დაბანდებისას შესაძლოა ამ ინვესტიციების დადებითი ეფექტები სხვადასხვა იყოს, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მიმღებ ქვეყნებში უპი-ის დადებითი ეფექტების მიღებისათვის არსებულ შესაბამის ფაქტორებზე.

ძირითადი ტექსტი

2009 წლის უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თან-

ახმად 2009 წელს უპი-მა იქონია ყველაზე დიდი დადებითი ეფექტი უნგრეთზე. მსოფლიოს 188 ქვეყანას შორის უნგრეთი იმყოფებოდა 26-ე ადგილზე განათლების ინდექსის თანახმად, რაც ნაწილობრივ ადასტურებს იმას, რომ უპი არის განსაკუთრებით სასარგებლო მაღალი განათლების მქონე მუშახელის მქონე განვითარებადი ქვეყნებისათვის. მაგალითად, კენია იმყოფებოდა უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის მიხედვით თითქმის ბოლო ადგილზე, ხოლო განათლების ინდექსით 188 ქვეყანას შორის 136-ე ადგილზე. ეკონომიკური გარემოს ხარისხის შეფასებაში ერთ-ერთ როლს თამაშობს საშუალო ხელფასის დონე. ეკონომიკური გარემოს ხარისხი არ უწყობს ხელს უპი-ის დადებით ეფექტებს ეკონომიკურ ზრდაზე. ეს დასტურდება იმით, რომ შეერთებული შტატები იმყოფებოდა მე-5 ადგილზე ხელფასის სიდიდის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნებს შორის და ამ ქვეყნის მშპ-ში უცხოური ფირმების წილი 2009 წელს დაბალი იყო. თუმცა უფრო ზუსტი დასკვნების გასაკეთებლად, საჭიროა განხილულ იქნას თუ უცხოური ფირმები რა როლს თამაშობდნენ ადგილობრივი ფირმების მიერ პროდუქციის წარმოებაში, რაც, თავის მხრივ, ქმნის მშპ-ს. უნგრეთმა, რომელიც ეკონომიკის გახსნილობის მიხედვით იმყოფებოდა მეცხრე ადგილზე, მიიღო ყველაზე დიდი დადებითი ეფექტი და კენიამ, რომელიც იმყოფებოდა გახსნილობის მიხედვით 158-ე ადგილზე მსოფლიოს ქვეყნებს შორის, მიიღო ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დადებითი ეფექტი უპი-სგან. ყველაფერი ადასტურებს ასევე ბალასუბრამანიამის მოსაზრებას, კერძოდ კი იმას, რომ უპი-სგან დადებითი ეფექტების მიღება მიმღები ქვეყნის გახსნილობის დონეზეა დამოკიდებული. განვითარებად ქვეყნებში უპი-ის დადებითი ეფექტები დამოკიდებულია ამ ქვეყნების ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე. მსოფლიოში საუკეთესო ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნები არიან: ჰონ-კონგი და სინგაპური, რომლებმაც 2009 წელს უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად დაიკავეს მე-5 და მე-13 ადგილები. თუმცა იაპონია, რომელიც მიიჩნევა ასევე საუკეთესო ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყანად ამ ინდექსის თანახმად იმყოფებოდა 73-ე ადგილზე. ასეთ სხვაობას აქვს შემდეგი ახსნა: ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ უპი-ის

დადებითის ეფექტების მიღება ორივე კარგი ინფრასტრუქტურისა და კარგი ინსტიტუციური ჩარჩოს (რაშიც მოიაზრება პოლიტიკური სტაბილურობა) პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად სინგაპურსა და იაპონიას შორის ასეთი დიდი სხვაობა უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად შესაძლოა აიხსნა იმითაც, რომ პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსის თანახმად 2009 წელს სინგაპური იმყოფებოდა 18-ე ადგილზე, ხოლო იაპონია-26-ე ადგილზე. თუმცა ამ დასკვნის გამყარებისათვის უკთესი იქნებოდა თუ ამ ქვეყნების ამ პოზიციებს შორის უფრო დიდი სხვაობა იქნებოდა. მაგალითად, 2009 წელს კენია პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსის თანახმად იმყოფებოდა 175-ე ადგილზე მსოფლიოს 195 ქვეყანას შორის და 2009 წელს უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად მას ჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დადებითი ეფექტი. კენიასა და უნგრეთს შორის დიდი სხვაობა უპი-ის დადებითი ეფექტების მიხედვით ჩვენ მიერ აიხსნება იმით, რომ უკეთესი ფინანსური სისტემა განაპირობებს უპი-ის ეფექტიანობის ზრდას (უპისგან დადებითი სარგებლიანობის მიღებას). რომ შევადაროთ ამ ქვეყნების ფინანსური სისტემები (გაცემული კრედიტი როგორც პროცენტი მშპ-სი), ეს მაჩვენებელი დაფიქსირდა უნგრეთში 66.05%, ხოლო კენიაში-23.45%. ალჟირში, რომელმაც უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად მიიღო ასევე ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დადებითი ეფექტი უპი-სგან, ეს მაჩვენებლი დაფიქსირდა 15.21%. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს იმას, რომ უპი-სგან დადებითი ეფექტების მიღება მიმღები ქვეყნის ფინანსური განვითარების დონეზეა დამოკიდებული. ბორენშტეინის, დე გრეგორიოსა და ლის (1998) თანახმად უპი-ის დადებითი ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, დამოკიდებულია ადამიან-კაპიტალის რაოდენობაზე. ადამიან-კაპიტალის რაოდენობა შესაძლოა ჩავანცვლოთ მოსახლეობის რიცხოვნობით. უპი-მ ყველაზე დაბალი დადებითი ეფექტი იქონია შემდეგ ქვეყნებზე: ბერმუდი, ბაჰამის კუნძულები, პარაგვაი, საუდის არაბეთი და ალჟირი. მსოფლიოს 241 ქვეყანას შორის მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით პოზიციები ამ ქვეყნებში შემდეგნაირად გამოიყურება: ბერმუდი-206, ბაჰამის კუნძულები-177, პარაგვაი-104, საუდის არაბეთი

- 40-ე და ალჟირი-32 ადგილი. შესაბამისად დასტურდება ის, რომ უპი-ის დადებითი შედეგი მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია ამ ქვეყნის ადამიან-კაპიტალზე. მაგალითად 2009 წელს ბერმუდზე უპი-მა იქონია ყველაზე დაბალი დადებითი ეფექტი და მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლით ეს ქვეყანა იმყოფებოდა 206 ადგილზე. შემდეგი ყველაზე დაბალი დადებითი ეფექტი 2009 წელს უპი-მა იქონია ბაჰამის კუნძულებზე, რომელიც მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლით იმყოფებოდა 177-ე ადგილზე. თუმცა საუდის არაბეთი, რომელიც მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით იმყოფებოდა 40-ე ადგილზე, უპი-მა აქაც იქონია ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დადებითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ 25-64 წლის ასაკის მოსახლეობა, რომელსაც ჰქონდა უმაღლესი განათლება წარმოადგენდა მთლიანი მოსახლეობის 22%-ს, ანუ ადამიანთა მცირე რიცხვს ამ ასაკის ჯგუფში ჰქონდა უმაღლესი განათლება. ომრანისა და ბოლბოლის (2003) თანახმად, რაც უფრო მეტია კვლევისა და განვითარების ღონისძიებები ქვეყანაში, მით უფრო მაღალია უპი-ის დადებითი ეფექტი მწარმოებლურობაზე ამ ქვეყანაში. მაგალითად, 2009 წელს უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად უნგრეთი, ჩეხეთი და ჰონგ-კონგი უპი-ის დადებითი ეფექტების მიხედვით იმყოფებოდნენ 1, 3 და 5 ადგილზე შესაბამისად, სადაც, რაც უფრო მეტი ფული იხარჯებოდა კვლევასა და განვითარებაზე, მით მეტი იყო უპი-ის დადებითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე. უპი-ის დადებითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. მაკროეკონომიკური სტაბილურობაში მოიაზრება შემდეგი: სტაბილური ინფლაცია, მაღალი დასაქმება, სტაბილური დონე მშპ-ის ზრდისა, მიმდინარე ანგარიშის პროფიციტი ან დაბალი დონე მიმდინარე ანგარიშის დეფიციტისა და დაბალი ფისკალური დეფიციტი. არსებობს მოსაზრება, რომ მდიდარი ქვეყნები უფრო მეტ სარგებლიანობას იღებენ უპისგან ვიდრე ღარიბი ქვეყნები, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ თუ ვიმსჯელებთ ინფლაციით და დასაქმების დონით, ღარიბ ქვეყნებში არსებობს მაღალი მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რაც ადასტურებს იმას, რომ უპი-

ის დადებითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია მიმ-ღები ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. ასევე უფრო დაბალი დადებითი ეფექტი განვითარებად ქვეყნებზე შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ უკანასკნელებს აქვთ დაბალი დონე ადამიან-კაპიტალისა. უპი-ის დადებითი ეფექტი მიმღებ ქვეყანაზე დამოკ-იდებულია აქ ადამიანთა ჯანმრთელობის დონეზე, რაც ხნის იმას, თუ რატომ არის განვითარებად ქვეყნებში უფრო დაბალი დადებ-ითი ეფექტი უპისგან, ვინაიდან ამ ქვეყნებში მოსახლეობის ჯანმ-რთელობის დონე უფრო დაბალ დონეზეა. ასევე განვითარებადი ქვეყნები მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის მიხედვით დაბალ დონეზე იმყოფებიან, რაც შეიძლება იყოს ახსნა იმისა თუ რატომ აქვს განვითარებად ქვეყნებზე უპი-ის უფრო დაბალი ეფექტები ვიდრე განვითარებულ ქვეყნებზე. (უპი-ის დადებითი ეფექტი და-მოკიდებულია მიმღები ქვეყნის შემოსავლის დონეზე.) ინდოეთი არის განვითარებადი ქვეყანა და იგი 2009 წელს უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად იმყოფებოდა 61-ე ადგილზე 79 ქვეყანას შორის, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ ქვეყანაში არის მაღალი ფისკალური დეფიციტ- მაკროეკონომიკური არასტა-ბილურობის ერთ-ერთი ნიშანი. ის, რომ განვითარებულ ქვეყნებზე უპი-ის უფრო დიდი დადებითი ეფექტი აქვს, ვიდრე განვითარებად ქვეყნებზე დასტურდება იმით, რომ განვითარებული ქვეყნები ხა-სიათდება სავაჭრო პროფიციტით, ხოლო განვითარებადი ქვეყნები კი სავაჭრო დეფიციტით, სავაჭრო პროფიციტი კი არის ერთ-ერთი ნიშანი მაკროეკონომიკური სტაბილურობისა, რაც განაპირობებს უპის დადებით ეფექტებს მიმღებ ქვეყნებზე. განვითარებად ქვეყნებში ჩვეულებრივ ფიქსირდება ბევრად უფრო დაბალი მშპ, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში და გამომდინარე იქედან, რომ უპი-ის დადებითი ეფექტები დამოკიდებულია მიმღებ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაშინ ეს შეიძლება იყოს ახსნა იმისა, თუ რატომ აქვს უპი-ის უფრო მეტი დადებითი ეფექტე-ბი განვითარებულ ქვეყნებზე, ვიდრე განვითარებად ქვეყნებზე.

მიმღები ქვეყნის უნარი, რომ გამოიყენოს უპი ისე, რომ ამ უკა-ნასკნელმა მოუტანოს მას დადებითი ეფექტები დამოკიდებულია ამ ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე რამდენია მშპ. ამ მოსაზ-

რების დასადასტურებლად მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტები: 2009 წელს უნკტადის უპი-ის კონტრიბუციის ინდექსის თანახმად უპი-ს ჰქონდა ყველაზე დიდი დადებითი ეფექტი შემდეგ ქვეყნებზე: უნგრეთი, ბელგია, ჩეხეთი, რუმინეთი, პოლონეთი და მალაიზია. ამ ქვეყნებს შორის მინიმალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე დაფიქსირდა რუმინეთში 12200 დოლარის ეკვივალენტური, ხოლო საქართველოში ამავე წელს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე ფიქსირდება 4700 დოლარი. ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ უპი-მ ნაკლები დადებითი ეფექტი იქონია საქართველოზე. ყველაფერი აღნიშნული ადასტურებს იმას, რომ მიმღებ ქვეყანაში უპი-ის ეფექტიანად განთავსება დამოკიდებულია ამ ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე მშპ მოცულობაზე. გახსნილობა ვაჭრობისადმი არის მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ქვეყანამ მიიღოს დადებითი ეფექტები ეკონომიკურ ზრდაზე უპი-სგან. მაგალითად უპი-მა დადებითი როლი ითამაშა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში 2009-2011 წლებში, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ საქართველო ღია ეკონომიკად მიიჩნევა.

დასკვნა:

უპი-ის მოზიდვასთან დაკავშირებული პოლიტიკა ზოგჯერ შესაძლოა უშედეგო აღმოჩნდეს, რაც განპირობებულია იმით, რომ უპი-ის დადებითი ეფექტი ყოველთვის არ მიიღება მიმღები ქვეყნის მიერ, რაც დასტურდება იმით, რომ ერთი და იმავე ზომის უპი-მ ორ ქვეყანაზე შესაძლოა სხვადასხვა გავლენა იქონიოს. შესაბამისად მიმღებ ქვეყნებში უნდა გატარდეს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც უპი-ის დადებითი ეფექტების მაქსიმიზაციას შეუწყობს ხელს.

REFERENCES

1. Ensayos Revista de Economía–Volumen XXX, No. 1, mayo 2011, pp. 41-70; Foreign Direct Investment, Host Country Factors and Economic Growth; Edna Maeyen Solomon; page 4

2. On effects of Foreign Direct Investment on Economic Growth; Xin-

glong Xie & Hongqi Wang; School of Business Administration, Xi'an University of Technology, P.R. China, 710048; page 1

3. how does FDI affect host country development? using industry case studies to make reliable generalizations; Theodore H. Moran; page 23.

4.The Effects of Foreign Direct Investment on the Host Country Economic Growth - Theory and Empirical Evidence; Rui Moura, Rosa Forte; page 14

5. Review article UDC: 330.35:339.727.22(4-67 EU) doi: 10.18045/zbefri.2016.1.187

The relation between economic growth and foreign direct investment during the economic crisis in the European Union*; *Mihaela Simionescu*1; page 3

6. Motivations for foreign direct investment and their impact on Georgia's economy, David Sikharulidze; journal economics and business; #6, 2012; pages 66-67.

POSITIVE EFFECTS OF FDI IN HOST COUNTRIES

Zurab Kirkitadze
PHD student of TSU

RESUME

In this article during discussion of effects of FDI on host countries we focus on the characteristics of the host countries. During the research process on the case of some countries we became sure that the positive effects of FDI on recipient countries is in reality dependent on the characteristics of host countries. For example we have proved that positive effect of FDI is conditional on human capital of recipient country. Furthermore, we have also found out that positive effect of FDI on recipient country depends not only on one factor that exists in the host country.

Key words: statistical data, host country, characteristics, positive effects, FDI.

კრიპტოვალუტა და ახალი ციფრული ეკონომიკა

ნინო სამჭკუაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო იმყოფება ციფრული ეკონომიკის განვითარების საწყის სტადიაზე. ამჟამად მიმდინარეობს რეალურ ეკონომიკასა და ციფრულ ეკონომიკას შორის პარალელურების აღქმა. ბოლო წლებში კრიპტოვალუტა მთელი მსოფლიოს მასშტაბით სარგებლობს დიდი პოპულარობით. დღეს იგი უკვე გლობალური მოვლენაა, იმის მიუხედავად, რომ ბოლო ერთი წელია განიცდის კურსის ძლიერ რყევას.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტა, ციფრული ტექნოლოგიები, ბიტკოინი, მაინინგი.

შესავალი

მსოფლიო განუწყვეტლივ იცვლება და ბოლო წლებში ხშირად გვესმის ეკონომიკის განვითარებაში მოწინავე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სულ უფრო მზარდი როლის შესახებ. უახლესი ტექნოლოგიები იძლევიან საწარმოო და ბიზნეს-პროცესების ეფექტიანობის გაზრდის საშუალებას. მუშაობის ტრადიციული მიდგომები და მეთოდები იცვლება ადამიანის საქმიანობის სულ ახალ დარგებში და სფეროებში უახლესი ტექნოლოგიების შეღწევის კვალდაკვალ.

1995 წელს ბიზნესი და კონსალტინგის სფეროში კანადელმა სპეციალისტმა დონ ტეპსკოტმა (Don Tapscott) შემოიტანა ახალი ტერმინი „ციფრული ეკონომიკა“ (digital economy), რომელიც მოწოდებული იყო დაეხასიათებინა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციები [1].

ამჟამად, მთელი ახალი გლობალური ეკონომიკა წარმოადგენს ციფრულს, იგი სპეციალურად არის პროექტირებული ციფ-

რული სფეროსათვის, მაგრამ არა აქვს ეფექტიანი ციფრული მართვის მეთოდების საშუალებები. ფინანსური კრიზისისა და ქაოსის შემთხვევებში, როდესაც ხდება ნაციონალური ვალუტების გაუფასურება, ხოლო ეკონომიკები განიცდიან სტაგნაციას გლობალური ვალუტის შემოტანამ შესაძლოა გადაეწყვიტოს მრავალი პრობლემა.

Accenture и Oxford Economics Source-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად ციფრული ტექნოლოგიების გლობალური ზრდა 2020 წლისათვის გამოიწვევს მსოფლიო ეკონომიკის 1,36 ტრილიონი აშშ დოლარით გაზრდას. ეს ალბათ იქნება გლობალური მშპ-ის (სხვადასხვა მონაცემებით იგი შეადგენს 70-დან 87 ტრილიონ დოლარს) მხოლოდ მცირე ნაწილი. მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს ზრდისათვის მნიშვნელოვანი არეალი. ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში თუ, როგორ მართონ განსაზღვრული ღირებულებები რეალურ ეკონომიკასა და საქონელს, როგორიცაა მაგალითად ოქრო, და ახლად გამოჩენილ კრიპტოვალუტას, კერძოდ ბიტკოინს შორის.[2]

„ვირტუალურმა ვალუტამ, განსაკუთრებით ბიტკოინმა (Bitcoin) დაიპყრო ზოგიერთების წარმოსახვა, ჩაუნერგა შიში სხვებს და ეშმაკმა დალახვროს საბოლოოდ დააბნია ბევრი ჩვენთაგანი“ - განაცხადა აშშ-ის სენატორმა ტომას კარპერმა (Thomas Carper).[3]

ძირითადი ტექსტი

კლასიკური გაგებით კრიპტოვალუტა არავითარ ფულს არ წარმოადგენს, მაგრამ ამის მიუხედავად გააჩნია საბაზრო ღირებულება, რომელიც განისაზღვრება საანგარიშო ერთეულების მოთხოვნა - მიწოდებით და შიდა ღირებულებით, მისი საშუალებით შესაძლებელია საქონლისა და მომსახურების შეძენა. ამრიგად, ფულის 4 ძირითადი ფუნქციიდან, იგი ასრულებს ორს - გადახდისა და ბრუნვის ფუნქციას. ამასთან კრიპტოვალუტაზე გაწეულ მომსახურებაზე არ ხდება პროცენტის დარიცხვა და კრედიტის აღებაც არ ხორციელდება, რაც გაცილებით ზღუდავს მისი გამოყენების არეალს თანამედროვე რეალურ საე-

დიაგრამა 1. ბიტკოინის კურსი დინამიკაში დოლართან მიმართებაში (მაქსიმუმი და მინიმუმი თვეების მიხედვით) 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით (ათას დოლარებში).



დიაგრამა შედგენილია ერთ-ერთი მსხვილი ბირჟის Bitfinex-ის მონაცემებზე დაყრდნობით. https://coinnet.ru/grafik-kursa-bitkoina/

რთაშორისო ვაჭრობაში და კაპიტალის ბაზარზე. investing.com. - ის მიმდინარე სიის თანახმად ამა წლის 24 ოქტომბრისათვის მსოფლიოში დაფიქსირებული იყო 2451 კრიპტოვალუტა [4]. მაგრამ ყველაფერი დაიწყო სულ რამდენიმე წლის უკან ერთი კრიპტოვალუტის ბიტრკოინის გამოჩენით, რომელიც ამჟამადაც ინარჩუნებს წამყვან პოზიციას გლობალურ ციფრულ ეკონომიკაში.

მსოფლიო კრიპტოვალუტის ბაზარზე კურსის კატასტროფული ვარდნის მომენტიდან გავიდა უკვე 9 თვე. ამ ხნის განმავლობაში ციფრულმა აქტივებმა ვერ შეძლეს აღედგინათ თავისი დეკემბერ - იანვრის მაქსიმუმი (იხ. დიაგრამა 1). ამ პერიოდში ბიტკოინის ყოველი აწევა სრულდებოდა მისი კურსის დაბრუნებით 6 ათასი დოლარის ფარგლებში. ექსპერტების აზრით ციფ-

რულმა მონეტამ მიაღწია თავის სამართლიან ფასს და ელოდება ახალ იმპულსს განვითარებისათვის.

ვაჭრობის შედეგად ოთხშაბათ 24 ოქტომბერს, პოპულარული კლიპტოვალუტა ბიტკოინი შემცირდა 0,39%-ით და დაფიქსირდა 6485.33 დოლარის დონეზე, ხოლო ეფირიუმი (Ethereum) შემცირდა 1,10%-ით და დაფიქსირდა 202,64 დოლარის დონეზე, Bitcoin Cash კი შემცირდა 0,92%-ით და დაფიქსირდა 441.85 დოლარის დონეზე. კრიპტოვალუტის ბაზრის საერთო კაპიტალიზაციამ 2018 წლის 24 ოქტომბრისათვის შეადგინა 209 მილიარდი დოლარი. ამასთან მისი დიდი ნაწილი 53.3% ინვესტირებულია ბიტკოინში, მაშინ როდესაც 2018 წლის 7 იანვარს კრიპტოვალუტის ბაზრის საერთო კაპიტალიზაცია იყო 830 მილიარდი დოლარი.[5]

ბლოკჩეინზე კრიპტოვალუტასა და საგადამხდელო სისტემებს გააჩნიათ ოთხი უარყოფითი თვისება, რომლებსაც შეუძლიათ გადახაზონ მათი მომავალი პერსპექტივები:

1. ეს არის აუცილებლობა ბრუნვის ყოველი მონაწილისათვის, რომ მათ სახლში ჰქონდეთ მონაცემთა გიგანტური მასივები ჩატარებული ყველა ტრანზაქციის შესახებ, რომლებსაც ახორციელებენ სისტემის მონაწილეები. ვინაიდან მონაცემების გადაცემა გარე სერვერებზე და ინფორმაციის ცენტრებზე გამოიწვევს დეცენტრალიზაციის დასასრულს.

2. ბლოკჩეინი არის არაეფექტური ტექნოლოგია მასიური ფინანსური ტრანზაქციებისათვის. ვინაიდან ნებისმიერ ტრანზაქციაზე ინფორმაცია უნდა ჩაიწეროს ბლოკებში ყველა მომხმარებლის კომპიუტერზე, ქსელის გამტარუნარიანობა შეესაბამება ერთეული კვანძის შესაძლებლობებს, ე.ი. მილიონი მომხმარებლის კომპიუტერიდან ერთ-ერთის სიჩქარეს, ისე, როგორც ნათქვამია აღმოსავლურ გამონათქვამში: "ქარავანი მოძრაობს ყველაზე ნელი აქლემის სიჩქარით". საზოგადოდ თვლიან, რომ ბიტკოინის ბლოკჩეინს შეუძლია დაამუშაოს ოთხიდან შვიდამდე ტრანზაქცია წამში. შედარებისათვის საგადასახადო Visa სისტემა ამუშავებს 65 ათას ტრანზაქციას წამში, ხოლო MasterCard – 40 ათასს.

3. ბიტკოინი გახსნილი სისტემაა, რომელშიც არ არის ანონიმურობა. ყველა გარიგება, წარსულიც და მომავალიც, კონტრაგენტების მოცულობები აბსოლუტურად ყველა არის საჯარო, სურვილის მიხედვით მისი იდენტიფიცირება შეუძლია, როგორც სახელმწიფო ორგანოებს, ასევე კონკურენტებს და კრიმინალურ სტრუქტურებს.

4. და ბოლოს, ეს არის ენერგო დანახარჯები და ეკოლოგია. ბიტკოინებში განხორციელებულ ერთ ტრანზაქციაზე აუცილებელია 174 კ.ვტ/სთ ელექტროენერგია. ხოლო ბიტკოინის მაინინგზე იხარჯება წელიწადში 16 ტ.ვტ./სთ ელექტროენერგია, რაც შეესაბამება ერთი საშუალო ქვეყნის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მსოფლიოში გამომუშავებული ელექტროენერგიის 70% წარმოადგენს საწვავის გამოყენებით მიღებულ რესურს და იმას, რომ 1კვტ/სთ-ის გამომუშავებისას ატმოსფეროში გამოიყოფა საშუალოდ 1,2კგ ნახშირორჟანგი, მაშინ 1ტვტ/სთ-ის გამომუშავებისას გამოიყოფა 13 მილიონი ტონა ნახშირორჟანგი პლიუს 1,5 მილიონი ტონა გოგირდისა და აზოტის ოქსიდები. ასეთია მაინერების წვლილი ჩვენი პლანეტის ეკოლოგიაში, განსაკუთრებით გლობალური დათბობის პირობებში.

ყოველივე ამის მიუხედავად, მსოფლიოში მნიშვნელოვნად იზრდება ინტერესი კრიპტოვალუტის მიმართ, მისი მრავალი დადებითი თვისების გამო. ჩვენი აზრით, მსოფლიოს მომავალი ციფრული ეკონომიკაა, ეს იქნება კრიპტოვალუტისა თუ ელექტრონული ფულის სახით ამას მომავალი გვიჩვენებს.

კვლევების თანახმად და Mckinsey-ის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, სახელწოდებით: „Blockchain Technology the Insurance Sector“, ბლოკჩეინ ტექნოლოგიას, რომელიც დგას ბიტკოინის უკან, გააჩნია პოტენციალი იმისა, რომ შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში შეამციროს მსოფლიოში ფინანსურ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები 80-110 მილიარდი დოლარით.[6]

თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე წელია ბიტკოინის ირგვლივ განვითარდა დიდი და ფართომას-

შტაბიანი ფინანსური ეკოსისტემა და ეკონომიკა ათეული მილიონი ბიტკოინით, რომლებიც ყოველდღიურად იცვლიან მფლობელებს ელექტრონული ტრანზაქციების საშუალებით.

ეს მხოლოდ დასაწყისია, მსოფლიო ეკონომიკას ელოდება უფრო ფართომასშტაბიანი ტრანსფორმაცია ვინაიდან საზოგადოების ყოფა და ფინანსები გახდება მთლიანად ციფრული. ამჟამად პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ გამოვიყენოთ კრიპტოვალუტა მდგრადი ღირებულებისა და სტაბილური აქტივების შესაქმნელად.

თანამედროვე საზოგადოება ცხოვრობს ციფრულ სამყაროში და როგორც კი მის ყოფასა და ეკონომიკაში ყველაფერი გადავა ციფრულ ფორმაში, ოქროსთან ერთად აუცილებელი გახდება ციფრული ფულის არსებობაც. ამრიგად, კრიპტოვალუტა და ოქრო მიეკუთვნებიან ფულისა და ფინანსების ისტორიაში ევოლუციურ სისტემებს.

დასკვნა

იმის მიხედვით თუ მსოფლიო ციფრული ეკონომიკის მიმართულებით როგორ ვითარდება, რომელიც მთლიანად იქნება მართული ხელოვნური ინტელექტისა და ბლოკჩეინის მიერ, ასევე ფინანსური ციფრული ტექნოლოგიური სისტემებით, სულ უფრო გამძაფრდება ახალი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა, როგორიც არის მაგალითად, კრიპტოვალუტის ადგილი ეკონომიკაში.

არ არის არავითარი ეჭვი იმაში, რომ მთავარი კრიპტოვალუტა ბიტკოინი, რომელსაც მოსდევს ეფირიუმი, წარმოადგენენ ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო ფინანსურ და ფულად ექსპერიმენტს. ისინი ასახავენ ციფრულ ეკონომიკას და ალგორითმის ძიების რეალობას. ამის მიუხედავად, ბიტკოინი დღესდღეობით ისევ რჩება გლობალური სავაჭრო სივრცის მცირე ნაწილად და მისი ღირებულება საკმაოდ დაბალია, არსებული აჟიოტაჟისა და აუდიტორიის მოცვის მიუხედავად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Don Tapscott. The Digital Economy: Promise and Peril in the Age of Networked Intelligence. https://pdfs.semanticscholar.org/a832/0ab8d4a6c0a1d0578c6e01288b03cb00de4a.pdf

2. Mauro Macchi, Bruno Berthon, Matthew Robinson. Digital Density Index. https://d2rpq8wtqka5kg.cloudfront.net/294858/open20150323064200.pdf?Expires=1540381669&Signature=JBodrfh5kVNDnMFjXczPSGFel08YeQQ~~cAz3Y1YxIDYpDbnzukeBrQenH3ZzZBAyxc9f6VYu-AaCIUuRiC6XYGMgYHLJaIhnWPdKkuo-s2E1xu0FJsDJkH-hkzS1BegP9UAIt9Wm0Caiu4UrmzUDgOTVwDztM~9KhEDs4aoBcQBY2Db4zZmhGrtQn0QEE9vrXwUOvLnYSgauxF-89hyjRnahEGEJl9MWQDrHXLtYlGA9Dlf5NJlsV7r0MdRhg8jT3h-FyvlKnQyG5T2G0917dx3iFyOZMLbMEB-E120BE5-YnrulKx-eF63xE9VJ-JfjxOQ3UCxVYXYHiarVuDPjV~LNg__&Key-Pair-Id=APKAJVGCNMR6FQV6VYIA

3. What is Cryptocurrency: Everything You Must Need To Know!13.10.2018. https://blockgeeks.com/guides/what-is-crypto-currency/

4. All Crypto currencies. https://www.investing.com/crypto/currencies

5. CoinMarketCap.Top 100 Cryptocurrencies by Market Capitalization. https://coinmarketcap.com/

6. Mckinsey & Company. Blockchain Technology the Insurance Sector. 2017. https://www.the-digital-insurer.com/wp-content/uploads/2017/06/916-McKinsey_FACI_Blockchain_in_Insurance.pdf

CRYPTOCURRENCY AND NEW DIGITAL ECONOMY

Nino Samchkuashvili.
Doctor of Economics,
Associate Professor of Georgian
National University

RESUME

Nowadays in global economy, the development of digital economy is at the initial stage. At present there is a perception of parallel between the real economy and digital economy. In recent years, cryptography has been popular worldwide. Today, it is already a global phenomenon, despite the fact that the course has been undergoing severe fluctuations for the past one year.

Key Words: Digital economy, blockchain, cryptocurrency, digital technologies, bitcoin, mining.

საბანკო სისტემაში შიდა აუდიტის როლი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების პროექტში

ჯაბა ჯიქია
სტუ დოქტორანტი
გიორგი ცაავა
ემდ, სტუ პროფესორი
(სამეცნიერო ხელმძღვანელი)

რეზიუმე

ბანკის აუდიტის მიზანია ინფორმაციისა და რესურსების ერთიანი ანალიზის საფუძველზე, ხელი შეუწყოს ნაკლები რესურსების გამოყენებით, დასახული სტატეგიული მიზნების ეფექტიან და კოორდინირებულ განხორციელებას.

ბანკისთვის პრიორიტეტული მიზანია კვალიფიციური IT აუდიტორის მოძიება. ინფორმაციულ ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში, შიდა აუდიტის თანამშრომელი მუდმივ განვითარებას და ახალ სტანდარტების გაცნობას საჭიროებს.

გარემოს ანალიზისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების იდენტიფიცირების შემდეგ, შიდა აუდიტის საქმიანობა ხელს შეუწყობს ბანკში ანგარიშვალდებულების ზრდას, ასევე, საშუალებას მისცემს მუდმივი მონიტორინგის გზით მოახდინოს არსებული რისკების განეიტრალება და შესაძლო საფრთხეების პრევენცია.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, ბანკი, აუდიტორი, ინფორმაციული ტექნოლოგა, საერთაშორისო სტანდარტი,COBIT,ISO 27K

ძირითადი ტექსტი

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად,

საბანკო უწყებების და სერვისების დიდი ნაწილი, მათი მიზნების ეფექტურად შესასრულებლად, დამოკიდებული გახდა ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. აღნიშნულ სისტემებში ინფორმაციის შენახვის, დამუშავებისა და უსაფრთხოების საკითხები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი უწყებათა ფინანსური მონაცემების სიზუსტესა და დაცულობაზე. სწორედ აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით ბანკი ვალდებულია შეიმუშავოს IT აუდიტის განვითარების სტრატეგიული გეგმა რომელიც იქნება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შემუშავებული.

IT აუდიტი უნდა მოიცავდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაში დანერგილი სისტემის უსაფრთხეობისა და ეფექტიანობის შემოწმებას. შიდა აუდიტის სამსახური საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის ჩატარებით მიზნად ისახავს ბანკში არსებული სისტემური და ტექნოლოგიური რისკების იდენტიფიცირებას და მათზე შესაბამის რეაგირებას. IT აუდიტით მიღწეული შედეგები ხელს შეუწყობს საბანკო სერვისების გაუმჯობესებას, მათი უსაფრთხოებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდას.

აუდიტი მიზნად ისახავს ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტების შედეგების გაზრდას. IT აუდიტის მეშვეობით შესაძლებელია შეფასდეს საბანკო საინფორმაციო სისტემები, მათი გავლენა ორგანიზაციის ფინანსური მონაცემების სწორი ასახვა და ტრანზაქციების სისრულე. სწორად დაგეგმილი აუდიტი შესაძლებელს გახდის, შეფასდეს უწყების IT სისტემის უსაფრთხოების დონის შესაბამისობა შიდა პოლიტიკებთან და კანონმდებლობასთან. საინფორმაციო–ტექნოლოგიების აუდიტი უზრუნველყოფს სისტემების ეფექტურ, პროდუქტიულ და ეკონომიურ მუშაობას.

აუდიტის მიზანია ინფორმაციისა და რესურსების ერთიანი ანალიზისსაფუძველზე, ხელი შეუწყოს ნაკლები რესურსების გამოყენებით, დასახული სტატეგიული მიზნების ეფექტიან და კოორდინირებულ განხორციელებას.

შიდა აუდიტის სამსახური საინფორმაციო ტექნოლოგიე-

ბის აუდიტის განვითარების ფარგლებში, გეგმავს აუდიტის შესაბამისი მეთოდოლოგიური ბაზის მომზადებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, შიდა აუდიტი ვალდებულია შეიმუშაოს IT აუდიტის სახელმძღვანელო, რომელიც დაეფუძნება ISSAI–ს საერთაშორისო სტანდარტებს და სხვა IT აუდიტის პრაქტიკულ გამოცდილებას. აღნიშნული მეთოდოლოგია არის შიდა აუდიტის სახელმძღვანელო და მეთოდოლოგია, საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის ჩატარების პროცესში.

ბანკისთვის პრიორიტეტულ მიზანია კვალიფიციური IT აუდიტორის მოძიება. ინფორმაციულ ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში, შიდა აუდიტის თანამშრომელი მუდმივ განვითარებას და ახალ სტანდარტების გაცნობას საჭიროებს. IT აუდიტორი სასურველია იყოს სერტიფიცირებული აუდიტორი რამოდენიმე სტანდარტის კუთხით. კერძოდ;

• **ISACA's Certification:** ISACA's (საინფორმაციო სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაცია) მსოფლიოში აღიარებული IT აუდიტის სერტიფიკატების მოპოვება, რომლებიც ითვლება IT აუდიტის სფეროს ერთ–ერთ უმაღლეს სასერტიფიკატო პროგრამად.

• **Certified Information Systems Security Professional (CISSP):** ინფორმაციული უსაფრთხოების პროფესიული სერტიფიკატი, იგი წარმოადგენს ინფორამაციული აქტივების უსაფრთხოებისა და მართვის საკითხებში აუდიტორთა კომპეტენციის განმსაზღვრელ ერთ–ერთ მნიშვნელოვან სერტიფიკატს.

• **Microsoft Certified Systems Engineer (MCSE):** Microsoft'–ის სასერტიფიკატო კურსი, რომელიც მიზნად ისახავს სპეციალისტებისათვის მონაცემთა ბაზებისა და სერვერული მოწყობილობების მართვის საკითხებში კვალიფიკაციის ამაღლებას.

• **CISCO Career Certification:** Cisco–ს ქსელური აკადემიის სასერტიფიკატო კურსები, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე კომპიუტერული ქსელების სფეროში სერტიფიცირების ერთ–ერთ ყველაზე პოპულარულ და აღიარებულ პროგრამას.

• **COBIT:** ითვლება IT აუდიტის სფეროს ერთ–ერთ უმაღლეს

სასერტიფიკატო პროგრამად.

• **ISO 27K:** ინფორამაციული აქტივების უსაფრთხოებისა და მართვის საკითხებში კონტროლების ჩამოყალიბების ერთ–ერთ მნიშვნელოვანი პროგრამა.

IT აუდიტის ჩასატარებლად ბანკი ვალდებულია ელექტრონული სისტემა დანერგოს და განავითაროს ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რაც გულისხმობს პროგრამული ლიცენზიების და მათი დანერგვისათვის საჭირო სერვისების შეძენას.

ბანკმა უნდა მოიპოვოს COBIT–ისა და CAATs–ის აუდიტორული პროგრამების ლიცენზირებული ვერსიები, ასევე IT აუცილებელია აუდიტისათვის საჭირო პროგრამული ბაზის შექმნა. თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ინტეგრაცია ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს ელექტრონულ სისტემებში თაღლითობისა და არასწორი მართვის საკითხების დროულ იდენტიფიცირებას.

ბანკი ასევე ვალდებულია აუდიტორებისათვის შექმნას მატერიალურ–ტექნიკური ინფრასტრუქტურა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს აუდიტის ობიექტებიდან აღებული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და შენახვისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების არსებობა ორგანიზაციაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას, როგორც მონაცემთა მოძრაობისა და შენახვის უსაფრთხოება, ასევე, მათი ანალიზისა და დამუშავების პროცესის სისწრაფე.

ბანკის გეგმის თანახმად IT აუდიტის ორგანიზაციული შესაძლებლობები ეტაპობრივად უნდა განავითაროს. თავდაპირველად შიდა აუდიტი ატარებს ნაკლებად კომპლექსური საინფორმაციო სისტემების აუდიტს, რასაც შემდგომში მოყვება რთული და ურთიერთდამოკიდებული სერვისებისა და სხვადასხვა სისტემების აუდიტი როგორიც არის მაგალითად BCP და ISMS პროექტები.

პირველ ეტაპზე, შიდა აუდიტი ატარებს მონაცემთა ბაზების საპილოტე აუდიტს ერთობლივად გარე აუდიტის წარმომადგენლებთან ერთად. აუდიტი მოიცავს ბანკში დაცული იმ შიდა და საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზების აუდიტს, რომელ-

საც გავლენა აქვს სერვისების ეფექტიან მუშაობაზე.

აუდიტის ფარგლებში მიღებული გამოცდილება ხელს შეუწყობს შიდა აუდიტს, ჩაატაროს უფრო კომპლექსური IT სისტემების აუდიტი.

მეორე ეტაპზე, IT აუდიტით მიღწეული შედეგების განვითარებას გეგმავს საშუალო სირთულის მქონე სერვისების აუდიტით. აღნიშნული მიმართულებით ჩატარდება არა მხოლოდ მონაცემთა ბაზების აუდიტი, არამედ ელექტრონული სერვისების კომპლექსური აუდიტი, რომელიც მოიცავს მათი უსაფრთხოების, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ანალიზს.

გარემოს ანალიზისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების იდენტიფიცირების შემდეგ, შიდა აუდიტი საქმიანობა ხელს შეუწყობს ბანკში ანგარიშვალდებულების ზრდას, ასევე, საშუალებას მისცემს მუდმივი მონიტორინგის გზით მოახდინოს არსებული რისკების განეიტრალება და შესაძლო საფრთხეების პრევენცია.

საბანკო ფინანსების მართვის სფეროში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალოების უზრუნველსაყოფად, შიდა აუდიტის სამსახურის ერთ–ერთი მიზანია ბანკის სტრუქტურებში IT ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის პროცესის მხარდაჭერა. ამ მიმართულებით შიდა აუდიტის სამსახურის ამოცანაა ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ახალი სერვისების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის შესახებ, გამართულ კონსულტაციებში მონაწილეობა და გარე აუდიტთან თანამშრომლობით დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება.

შიდა აუდიტის მიზანია ელექტრონული სისტემების განვითარების მხარდაჭერასთან ერთად წვლილი შევიტანოთ ბანკის შესაძლებლობების განვითარებაში. ამ მიმართულებით IT აუდიტი ვალდებულია ხელი შეუწყოს მსოფლიო ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვას ბანკის შიგნით. ინფორმაციული ტექნოლოგიების ელექტრონული სისტემების (აუდიტის ბარათი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა, დროის მართვისა და აღრიცხვის სისტემა და სხვა) შემდგომი განვითარება და ახალი აპლიკაციების შემუშავება არის პრიო-

რიტეტული IT აუდიტისათვის. მსგავსი პროირიტეტების არსებობა შეუწყობს მარეგულირებელი ორგანოების ადამიანური და დროითი რესურსების ეფექტიან მართვას, ასევე, მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის პროცესის გაუმჯობესებას და შიდა საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოების გაზრდას.

დასკვნა

IT აუდიტის მეშვეობით შესაძლებელია, შეფასდეს საბანკო საინფორმაციო სისტემები, მათი გავლენა ორგანიზაციის ფინანსური მონაცემების სწორი ასახვა და ტრანზაქციების სისრულე. სწორად დაგეგმილი აუდიტი შესაძლებელს გახდის, შეფასდეს უწყების IT სისტემის უსაფრთხოების დონის შესაბამისობა შიდა პოლიტიკასთან და კანონმდებლობასთან. საინფორმაციო–ტექნოლოგიების აუდიტი უზრუნველყოფს სისტემების ეფექტურ, პროდუქტიულ და ეკონომიურ მუშაობას. გარემოს ანალიზისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების იდენტიფიცირების შემდეგ, შიდა აუდიტის საქმიანობა ხელს შეუწყობს ბანკში ანგარიშვალდებულების ზრდას, ასევე, საშუალებას მისცემს მუდმივი მონიტორინგის გზით მოახდენოს არსებული რისკების განეიტრალება და შესაძლო საფრთხეების პრევენცია. აუდიტი მიზნად ისახავს ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტების შედეგების გაზრდას.

ლიტერატურა

1.ასათიანი ვლ., ცაავა გ.-კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია,მეთოდოლოგია და პრაქტიკა).თბილისი, გამომცემლობა "დანი". 2014. 500 გვ

2. Moeller, R., COSO – Enterprise Risk Management, Wiley publishing. 2011.

3. COBIT 5 (Control Objectives for Information and Related Technology 5) 2016

4. COBIT® 4.1: Framework, Control Objectives, Management Guidelines, Maturity Models 2011

5. ISO/IEC 27001 Information security management

REFERENCES:

1. Asatiani vl., Caava g.-Financial analysis of commercial banks (Theory,methodology and practice).Tbilisi, "dani". 2014.
2. Moeller, R., COSO – Enterprise Risk Management, Wiley publishing. 2011.
3. COBIT 5 (Control Objectives for Information and Related Technology 5) 2016
4. COBIT® 4.1: Framework, Control Objectives, Management Guidelines, Maturity Models.
5. ISO/IEC 27001 Information security management.

INTERNAL AUDIT ROLE IN THE DEVELOPMENT OF INFORMATION TECHNOLOGIES IN THE BANK SYSTEM

Jaba Jiqia, PhD Student of GTU,
Giorgi Caava, Professor of GTU

RESUME

The audit aims to provide effective and coordinated implementation of strategic objectives, using less resources, based on uniform analysis of information and resources.

The priority goal of the Bank is to find a qualified IT auditor. In the rapid development of information technologies, the Internal Audit employee needs a permanent development and acquiring knowledge in new standards.

After the identification of environmental analysis and information technology risks, the internal audit activities will contribute to the increase of the accountability in the bank and it will enable to neutralize the existing risks and prevent the possible risks.

Key words: Internal audit, bank, auditor, information technology, international standards, COBIT, ISO 27K.

ციფრული ვალუტა-ბიტკოინი: უპირატესობები და ნაკლოვანებები

მზევინარ ნოზაძე
სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის ასოც. პროფესორი
არჩილ უნდილაშვილი
სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ბიტკოინი (ინგლ. Bitcoin, bit - „ბიტი“ და coin - „მონეტა“) — ელექტრონული ვალუტა, კერძოდ, მსოფლიო მასშტაბის კრიპტოვალუტა და ელექტრონული გადახდის საშუალებაა. ამასთანავე, ის არის პირველი დეცენტრალიზებული ციფრული ვალუტა, რომლის მიმოქცევასა და რეგულირებაზე არ ზრუნავს ცენტრალური ბანკი. სისტემა დაფუძნებულია P2P პრინციპზე, რაც გულისხმობს ორ კომპიუტერულ სისტემას შორის ინფორმაციის გაცვლას ან ერთი კომპიუტერის მიერ მეორეზე ინფორმაციის მიწოდებას პირდაპირ, ყოველგვარი მესამე მხარის მონაწილეობის გარეშე.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ვალუტა; ბიტკოინი; ბლოქჩეინი; კრიპტოვალუტა; გადახდები; დეცენტრალიზებული ვალუტა; უპირატესობები; ნაკლოვანებები.

ძირითადი ტექსტი

თანამდეროვე ეტაპზე, ციფრული ტექნოლოგიების და გლობალური ეკონომიკური პროცესების განვითარების კვალობაზე მეტ აქტუალობას იძენს ციფრული ვალუტები. ციფრული ვალუტა წარმოადგენს მსოფლიო სავალუტო სისტემის ევოლუციის თანამედროვე ეტაპს. არსებობს მისი რამდენიმე სახეობა: ბიტკოინი, ეთერიუმი, რიპლი, ლაითკოინი და სხ. თუმცა, მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებული და წარმატებული - ბიტკოინია. ციფრული ვალუტის - ბიტკოინი შექმნის პერიოდად მიჩნეულია

2008 წელი. ბიტკოინის შესახებ საჭირო ინფორმაცია ინახება ელექტრონულ საფულეში.ის გამოიყენება ბიტკოინების შესანახად და ტრანზაქციებისთვის. მისი ბუნებიდან გამომდინარე, ის განუყოფელია ბლოკჩეინ სისტემისგან. ტრანზაქციები მოწმდება ციფრული ქსელების შესაბამის სისტემებში და ინახება საჯაროდ დამოუკიდებელ მონაცემთა ბაზაში, რომელსაც ეწოდება ბლოკჩეინი. „ტექნოლოგია, დაფუძნებული ბიტკოინზე და სხვა ვირტუალურ ვალუტებზე, Blockchain-ეს გადაშლილი წიგნია, სადაც შეიძლება ეფექტურად და სიზუსტით შესრულდეს ტრანზაქცია ორივე მხარეს შორის. წიგნი ასევე შეიცავს პროგრამებს, ტრანზაქციების ავტომატურ რეჟიმში განსახორციელებლად“.[1]

ბიტკოინი შეიძლება გადაიცვალოს სხვადასხვა ვალუტაზე, პროდუქტსა და მომსახურებაზე. ბიტკოინის გამოყენება შესაძლებელია ინვესტიციების კუთხითაც. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარებლების რიცხვი, რომელიც კრიპტოვალუტის საფულეს იყენებს, მათი უმრავლესობა კი ბიტკოინის მომხმარებელია.

ბიტკოინით, ისევე როგორც, სხვა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ვალუტით, შესაძლებელია საქონელსა და მომსახურებაზე გადახდა, თუმცა, ჩვეულებრივი ვალუტებისგან განსხვავებით, ბიტკოინი დეცენტრალიზებით გამოირჩევა. ბიტკოინის ქსელის გაკონტროლება არც ერთ საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტს არ შეუძლია. აღნიშნული მახასიათებელი ბიტკოინის მომხმარებლებს მნიშვნელოვნად უმარტივებს ტრანზაქციების განხორციელების პროცესს, რადგან მას ბანკებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელს ხდის.

ბიტკოინი იწარმოება/იქმნება ციფრულად, ადამიანების მიერ, წარმოების პროცესს მაინინგი ეწოდება და იგი გულისხმობს რთული მათემატიკური ალგორითმების ამოხსნას კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, რომელიც სპეციალურ ქსელშია გაშვებული. ქსელი ვირტუალური ვალუტით შესრულებული ტრანზაქციების პროცესინგისთვის გამოიყენება და იგი

1 Iansiti, Marco. “The Truth About Blockchain“, Harvard Business Review, Harvard University, January 2017.

ყველასთვის ხელმისაწვდომია. "მთელ მსოფლიოში ფინანსური მომსახურების ბაზარი წარმოადგენს საბაზრო კაპიტალიზაციის ინდუსტრიაში ყველაზე მსხვილ სექტორს. თუ Blockchain-ის ტექნოლოგია შეძლებს ამ ბაზრის მცირე ნაწილის და სხვა სექტორების ერთგვაროვანი ტრანზაქციების ჩანაცვლებას, მაშინ მისი პოტენციელი საკმაოდ მაღალეფექტიანი იქნება".[1]

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან და ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად, გაჩნდა ციფრული ვალუტები, რომელთა მეშვეობითაც ვირტუალურ საზოგადოებაში საქონლისა და მომსახურების გაცვლაა შესაძლებელი.

მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურად მატულობს ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც ჩვეულებრივ ვალუტასთან ერთად, გადახდის საშუალებად ბიტკოინსაც იღებენ.საქართველოში ბიტკოინსაფულის შექმნის შესაძლებლობა გააჩნია emoney.ge-ს. eMoney დაარსდა 2007 წელს. eMoney Georgia-ს ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორია ლიბერთი ბანკი, ამიტომ, eMoney-ს მრავალი პროდუქტი ინტეგრირებულია აღნიშნულ ბანკთან. საქართველოში ბიტკოინ ტრანზაქციების ეფექტურ პროცესინგს ახორციელებს კომპანია BitFury-ი, წამყვანი კომპანია ბიტკოინის Blockchain ინფრასტრუქტურის (დატა ცენტრები, სერვერები, ჩიპები) მიმწოდებლებს შორის, რომელიც უზრუნველყოფს ბიტკოინ ტრანზაქციების ეფექტურ პროცესინგს. 2014 წლის ივლისში კომპანიამ საქართველოში განათავსა კრიპტოვალუტა ბიტკოინის იმ დროისთვის მსოფლიოში უმსხვილესი საპროცესინგო ცენტრი. კომპანიის ხელმძღვანელების განცხადებით ქვეყანაში შემოსვლის შესახებ გადაწყვეტილება განპირობებული იყო მიმზიდველი ბიზნეს გარემოთი და ხელსაყრელი საინვეტიციო კლიმატით. შედეგად, საქართველო ძალზედ საინტერესო და მიმზიდველი გახდა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე საერთაშორისო მოთამაშეებისთვის. ჩვენი აზრით, ციფრულ ვალუტა - ბიტკოინს, რომელიც ბოლო პერი-

1 Marr, Bernard. "How Blockchain Technology Could Change The World". Forbes. May 27, 2016.

ოდში საკმაოდ პოპულარულია მთელ მსოფლიოში, აქვს როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები.

ბიტკოინის უპირატესობებია:

➢ ანონიმურობა: რადგან ბიტკოინების ქსელი დეცენტრალიზებულია, გადახდები ანონიმურად ხორციელდება;

➢ ხელმისაწვდომობა: ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, გახსნას ბიტკოინსაფულე, აწარმოოს გადარიცხვები და ა.შ.

➢ ფულის ალტერნატივა: მსოფლიოს ბევრ ობიქტზე როგორც ინტერნეტში, ისე რეალურ სამყაროში, ბიტკოინი გამოიყენება როგორც რეალური ფულის ალტერნატივა.

➢ საგადასახადო შეღავათები: ბიტკოინით გადახდისას არ წარმოებს გადასახადებით დაბეგვრა, რადგან ასეთი სახის გადახდები ვერ კონტროლდება სახელმწიფოს მიერ.

➢ საიმედოობა: პრაქტიკულად, შეუძლებელია ბიტკოინების და მათთან დაკავშირებული გადახდების გაყალბება.

ბიტკოინის ნაკლოვანებებია:

➢ ღირებულების ძლიერი ცვალებადობა: კურსის ხშირი ცვალებადობის გამო ბევრი უარს ამბობს მის შეძენაზე.

➢ დიდი რისკი: ბიტკოინი არაფრით არის გამყარებული. ბაზარზე მის კურსზე მოქმედი ძირითადი ფაქტორი - მასზე მოთხოვნაა. თუ მასზე მოთხოვნა დაეცემა, მისი კურსიც დაეცემა.

➢ უსაფრთხოება: არ გააჩნია სათანადო დაცვა დაკარგვისგან და მოპარვისგან. ასევე, საშიშია ვირუსები, რომლებიც სპეციალურად ბიტკოინსაფულის მოპარვისთვისაა შექმნილი.

„ეროვნული ბანკი, თავის მხრივ, მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ვირტუალურ ვალუტებს ახასიათებს ფასების დიდი მერყეობა, ამდენად, ფასების არასტაბილურობის გამო, მათი მომხმარებლები პოტენციური ფინანსური ზარალის წინაშე შეიძლება დადგნენ".[1] საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადებით, ვირტუალური ვალუტა საქართველოში არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას და მასთან დაკავშირებული საქმიანობა არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

---

1 ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება (bitcoin-ის მაგალითზე). საქართველოს ეროვნული ბანკი. ეკონომიკა და საბანკო საქმე.

დასკვნა

ვირტუალური ვალუტებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი ციფრული საფულეების საშუალებით ხდება, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაშია შექმნილი და მათი სამართლებრივი სტატუსი უმეტესად ბუნდოვანია. აქედან გამომდინარე, მომხმარებლები, რომლებიც ციფრულ ვალუტებს, კერძოდ, ბიტკოინს იყენებენ სხვადასხვა ოპერაციების შესასრულებლად, შესაძლოა აღმოჩნდნენ როგორც სამართლებრივი, ასევე ფინანსური რისკების წინაშე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიტკოინის უპირატესობების და ნაკლოვანებების მიუხედავად, დროსთან ერთად მცირდება სკეპტიციზმი, იზრდება ქვეყნების რიცხვი, რომლებიც ბიტკოინს გადახდების და ანგარიშსწორების ალტერნატიულ საშუალებად აღიარებენ. ამასთან, იზრდება კომპანიების რიცხვიც, რომლებიც მომხმარებლებს ბიტკოინით გადახდის საშუალებას აძლევენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება (bitcoin-ის მაგალითზე). საქართველოს ეროვნული ბანკი. ეკონომიკა და საბანკო საქმე;

2. Iansiti, Marco. “The Truth About Blockchain“, Harvard Business Review, Harvard University, January 2017.

3. Marr, Bernard. “How Blockchain Technology Could Change The World“. Forbes. May 27, 2016.

REFERENCES:

1.Virtual / cryptographic currency and its peculiarities. Virtual currency adjustment (On the example of Bitcoin). National Bank of Georgia Economy and banking

2. Iansiti, Marco. “The Truth About Blockchain“, Harvard Business Review, Harvard University, January 2017.

3. Marr, Bernard. “How Blockchain Technology Could Change The World“. Forbes. May 27, 2016.

DIGITAL CURRENCY - BITCOIN: ADVANTAGES AND DISADVANTAGES

Mzevinar Nozadze, Associate Professor,
the Faculty of Business Technologies at GTU,
Archil Undilashvili,PhD Student ,
the faculty of Business Technologies at GTU

RESUME

Nowadays with the development of digital technologies and global economic processes, digital currencies gain more relevance. The digital currency represents a modern stage of evolution of the world monetary system. Out of all the digital currencies today, **Bitcoin** is the most dominant one. Bitcoin can be exchanged into different currencies, products and service. Bitcoin can also be used in terms of investments. Lately the number of cryptocurrency wallet users has been increased significantly and the majority of them use Bitcoin. The digital currency Bitcoin which has become quite popular lately in the whole world, has both the advantages and disadvantages. However, despite the advantages and disadvantages of Bitcoin, skepticism reduces as time flows and the number of countries which acknowledge Bitcoin as an alternative means of payment and settlement, rises.

Key words: Digital currency; Bitcoin; Blocchain; Crypto Currency; Payments; Decentralized currency; Advantages; Disadvantages.

კრიპტოვალუტა, ბლოკჩეინი და საქართველოში არსებული მდგომარეობა, გამოწვევები

უჩა ჩიტიძე, თორნიკე თევდორაძე
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

ბლოკჩეინი უნივერსალური ვერიფიკაციის ინსტრუმენტია. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მისი სანდოობისა და პოპულარობის ზრდა გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს ისეთი ადამიანი ან ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია, ზეგავლენა იქონიოს მასში მოცემულ ინფორმაციაზე და ნებისმიერი ტრანზაქცია დასტურდება მსოფლიოს მასშტაბით ქსელში ჩართული მილიონობით კომპიუტერის მიერ. ბლოკჩეინის შესაძლებლობები და პოტენციალი იმდენად დიდია, რომ 10-15 წლის შემდეგ, სავსებით შესაძლებელია, ის ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ისეთივე განუყოფელ ნაწილად იქცეს, როგორც დღეს ინტერნეტია. ბევრ მკვლევარს მიაჩნია ,რომ ბლოკჩეინი ტექნოლოგიურ დარგში სულ ბოლოს ნათქვამი სიტყვასავითაა. ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია არის თვისებრივი. გამოყენებული იქნება ქეისის შესწავლა, მეორადი წყაროების ანალიზი. ინფორმაციის შეგროვებისას გამოყენებულია მეორადი წყაროები: ინტერნეტში არსებული ნაშრომები ,სტატიები, ოფიციალური განცხადებები.საკვლევი კითხვაა: რა არის ბლოკჩეინი და რა ცვლილებებს მოიტანს იგი მომავალში?

საკვანძო სიტყვები: ბლოკჩეინი, ტრანზაქციები, ბიტკოინი, მაინერი, ინტერნეტი, კრიპტო ვალუტა.

ძირითადი ტექსტი

ეკონომისტები ხალხის ქცევას საუკუნეების განმავლობაში იკვლევდნენ. ისინი დღესაც სწავლობენ თუ როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებებს, როგორ ვიქცევით ინდივიდუალურად და ჯგუფის შემადგენლობაში, როგორ ვცვლით ღირებულებებს. მათი ინტერესის სფეროს განეკუთვნება ისეთი ინსტიტუ-

ციებიც, რომლებიც ხელს უწყობენ ვაჭრობას, ასეთებია სამართლებრივი სისტემები, კორპორაციები, ბაზრები, მაგრამ გამოჩნდა ახალი ტექნოლოგიური მექანიზმი, რომელიც ფუნდამენტალურად ცვლის ჩვენ მიერ ღირებულების გაცვლის წესს და მას ბლოკჩეინი (blockchain) ჰქვია.ეს საკმაოდ თამამი განცხადებაა. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკჩეინი შედარებით ახალი ტექნოლოგიაა, მრავალი მეცნიერი თვლის, რომ ის კაცობრიობის ისტორიის ჩვეულებრივი გაგრძელებაა. ბლოკჩეინი დეცენტრალიზებული მონაცემთა ბაზაა, რომელიც ინახავს აქტივებისა და თანაბარუფლებიან მხარეთა შორის ტრანზაქციების რეესტრს. ის არსებითად არის საჯარო რეესტრი, იმის შესახებ, თუ ვინ რას ფლობს და ვინ რა ტრანზაქციას ახორციელებს. ეს ტრანზაქციები დაცულია კრიპტოგრაფიით. დროთა განმავლობაში მათი ისტორია იკვრება მონაცემთა ბლოკებად, რომლებიც დაცული და ერთმანეთთან დაკავშირებულია კრიპტოგრაფიულად. ბლოკჩეინი არ არის პროგრამა და არც კომპანია. მისი საუკეთესო ანალოგი ვიკიპედიაა. ჩვენ ვიკიპედიაში ყველაფრის ნახვა შეგვიძლია. ის მუდმივად ახლდება და იცვლება. ასევე შეგვიძლია ამ ცვლილებების დანახვაც. ვიკიპედია არის ღია პლატფორმა, რომელიც ინახავს სიტყვებს და სურათებს, ასევე მათ ცვლილებებს დროის მიხედვით. ჩვენ შეგვიძლია ბლოკჩეინი წარმოვიდგინოთ როგორც ღია ინფრასტრუქტურა, რომელიც ინახავს აქტივის ფლობის, მოძრაობის ისტორიას.

ბლოკჩეინი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ მომხმარებლის მიერ კონტროლირებადი მობილური იდენტიფიკატორი. როდესაც 100 დოლარს ვგზავნით, ძალიან მნიშვნელოვანია,რომ ეს ფული ჩვენთან აღარ დარჩეს მეორადი გამოყენებისთვისამ პრობლემას კრიპტოგრაფები ორმაგი ხარჯვის პრობლემას უწოდებენ. დღეს ჩვენ მთლიანად ვართ დამოკიდებული დიდ შუამავლებზე. ისეთებზე, როგორებიცაა ბანკები, მთავრობა, საკრედიტო ბარათების კომპანიები და ა.შ. ეს ყველაფერი საჭიროა, რათა ჩვენ ეკონომიკაში ნდობის ფაქტორი გავაჩინოთ. ზემოთ ჩამოთვლილი შუამავლები ყველა ბიზნესს თუ ეკონომიკურ ტრანზაქციას ყველა შესაძლო მეთოდით უზრუნველყო-

ფენ-იქნება ეს აუტენტიფიკაცია, ადამიანების იდენტიფიკაცია თუ ჩანაწერთა შენახვა. ერთი შეხედვით ისინი ამ საქმეს თავს კარგად ართმევენ. მაგრამ ასევე მკაცრად ცენტრალიზებულნი არიან. ეს გარკვეულწილად კი მათი სუსტი მხარეა.

ბლოკჩეინმა ინფორმაციის ინტერნეტის გვერდით ღირებულებითი ინტერნეტის ცნება შემოიტანა. იგი არის ერთი დიდი უზარმაზარი რეესტრი, რომელსაც მილიონობით კომპიუტერი ამუშავებს, ყველასათვისაა ხელმისაწვდომი და სადაც დაწყებული ფულითა და დამთავრებული მუსიკით ყველა სახის აქტივი შეიძლება შევინახოთ,გავცვალოთ და ვმართოთ. ეს ყველაფერი კი დიდი შუამავლების გარეშე შეიძლება განხორციელდეს. 2008 წელს ფინანსური ინდუსტრია დაინგრა-უდიდესი ფინანსური ფირმის - „ლიმან ბრადერსის" ნგრევა ათწლეულების მანძილზე ყველაზე მძიმე რეცესიის დასაწყისს უკავშირდებოდა. შეშინებულმა ინვესტორებმა აქციები გაყიდეს, ბანკებმა სესხების გაცემა შეაჩერეს, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა და მილიონობით ადამიანმა სამუშაო ადგილი, სახლი და დანაზოგი დაკარგა. სწორედ ამას მოყვა ის, რომ 2009 წლის ბოლოს სატოში ნაკამოტომ ციფრული ფულის პროტოკოლი ჩამოაყალიბა, რომელიც ეფუძნებოდა კრიპტოვალუტა ბიტკოინს. მან ორმაგი დახარჯვის პრობლემაც წარმატებით გადაჭრა. გამოსავალი იყო ბლოკჩეინი — ჩანაწერების ავტომატური სისტემა, რომელსაც არ ჰყავდა კონკრეტული მეთვალყურე და შუამავალს ფუნქციას აკარგვინებდა. როდესაც ბლოკჩეინში ტრანზაქცია ხდება, ეს ცნობა ეგზავნება მილიონობით კომპიუტერს. ყოველ 10 წუთში ერთხელ ამ 10 წუთში მომხდარი ტრანზაქციებისგან ბლოკი იქმნება. ამ დროს ადამიანების გარკვეული ჯგუფი, ეგრედწოდებული ბიტკოინის მაინერები(მაღაროელები) ყველაზე რთულ პრობლემას წყვეტენ. პირველი მაინერი, რომელიც მიაგნებს ყველა საჭირო ინფორმაციას, რათა დაადასტუროს რომ ამ ბლოკში ყველა ტრანზაქცია სიმართლეს შეესაბამება, ბიტკოინით, ციფრული ფულით საჩუქრდება. ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ბიტკოინი ერთგვარი ვალუტაა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ბიტკოინი - ეს არის 100 მილიონი ტოკენი. ტო-

კენი ერთგვარი ცარიელი სერთიფიკატია, რომელზეც ციფრულად ნებისმიერი ტიპის მატერიალური ფასეულობის, აქტივის დატანა და შემდგომ ბლოკჩეინზე განთავსება შეიძლება. როგორც კი ის ხვდება ბლოკჩეინზე, მისი შეცვლა აღარავის შეუძლია, თვით განმათავსებელსაც კი. ამ ინფორმაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ მის განმათავსებელს სპეციალური კოდით. ამგვარად ეს ტექნოლოგია საშუალებას იძლევა შეინახოთ ინფორმაცია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ძალიან უსაფრთხოდ. ბლოკჩეინი დაცულია 600 პეტაჰაში კომპიუტერული სიმძლავრით. აღნიშნული სიმძლავრე, რომელიც უზრუნველყოფს ბიტკოინ ბლოკჩეინის უსაფრთხოებას, 3000-ჯერ მეტია, ვიდრე მსოფლიოს ტოპ 500 სუპერმძლავრი კომპიუტერის სიმძლავრე. ასეთი დაცულობის წყალობით ბლოკჩინის გატეხვა მისი არსებობის დღიდან ვერცერთმა ჰაკერმა ვერ შეძლო. ამასთანავე, განსხვავებით არსებული მონაცემთა ბაზებისაგან და ცენტრალიზებული რეესტრებისაგან, ამ სისტემას არ გააჩნია სუსტი წერტილი, რომლის გაჩერება მთელი სისტემის პარალიზებას გამოიწვევს. მნიშვნელოვანია ვახსენოთ, რომ კრიპტო ვალუტა ფიზიკურად არ არსებობს. იგი არც საცავში, არც ვინმეს ყულაბასა თუ სეიფშია განთავსებული. ისინი ინახება ელექტრონულ საფულეში, რომელსაც შეგვიძლია, სიმარტივისათვის, ვუწოდოთ საბანკო ანგარიში. თუმცა, ნაცვლად ერთი ცენტრალიზებული ორგანიზაციისა, ამ ანგარიშების ბალანსის სისწორეს უზრუნველყოფს ყველა ბლოკჩეინის ქსელში ჩართული კომპიუტერი. კრიპტოვალუტის (მათ შორის ბიტკოინის) ღირებულება გამომდინარეობს უბრალოდ მილიონობით ადამიანის შეთანხმებისგან. გამოდის, რომ ბლოკჩეინი უბრალოდ ერთი დიდი დავთარია, რომლის ზუსტი ასლი ინახება ქსელში ჩართულ ყველა კომპიუტერში და ყოველი ტრანზაქციის დასადასტურებლად საჭიროა, რომ შემოწმდეს ყოველი ასლის იდენტურობა ერთმანეთთან. მაინინგი კი, მარტივად თუ შევხედავთ, არის შეჯიბრი, თუ ვინ მოასწრებს უახლესი ჩანაწერის გაკეთებას ისე, რომ ყველა დანარჩენი დაეთანხმოს მას ლეგიტიმურობაში. ამისათვის ყველაზე „სწრაფი“ საჩუქრდება გარკვეული რაოდენობის სავალუტო ერთეულით.

კრიპტო ვალუტის ფასი,რომელთაგან ყველაზე პოპულარული ბიტკოინი, ლაიტკოინი და ეთერიუმია, სულ უფრო და უფრო იზრდება.

საქართველოში ბლოკჩეინის ისტორია 2013 წლიდან დაიწყო, როდესაც რემი ურუმაშვილი **bitfury Group**-ის თანადამფუძნებელსა და აღმასრულებელ დირექტორს, ვალერი ვავილოვს შეხვდა იდეით, შეექმნათ საქართველოში ბლოკჩეინის ბაზა, რისი საბოლოო მიზანიც კრიპტოვალუტით, ბიტკოინით განხორციელებული ტრანზაქციების აღრიცხვა და შედეგად, ახალი ბიტკოინების მოპოვება, ანუ "მაინინგი" უნდა ყოფილიყო. დღეს **Bitfury**-ს საქართველოში ორი დატაცენტრი აქვს – 20 მეგავატი სიმძლავრის გორში და 40 მეგავატი სიმძლავრის – გლდანში. Bitfury-ისთვის საქართველოს გარემო ხელსაყრელია ენერგორესურსების სიიაფიდან გამომდინარე, **Bitfury**-ს ბიტკოინის საპროცესინგო ცენტრი ისლანდიაშიც აქვს. ისლანდიის დატაცენტრი გორის დატაცენტრს სიდიდით ორჯერ ჩამოუვარდება.

2016 წლის 24 აპრილს საქართველო ჰონდურასის შემდეგ პირველი ქვეყანა გახდა, სადაც ქონების ბლოკჩეინ-სისტემით რეგისტრაციის საპილოტე პროექტი დაიწყო პირველი საპილოტე პროგრამის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ Bitfur-თან გააფორმა მემორანდუმი, რომელიც მთავრობას საშუალებას მისცემს, უძრავი ქონების აღრიცხვის მიზნით პირველი საცდელი ეტაპი დაიწყოს. საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა გააკეთა განაცხადი, რომ მას შეუძლია წარმატებით განახორციელოს საჯარო სეტქორში ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დანერგვა. შესაბამისად, გლობალურად ბლოკჩეინ ტექნოლოგიით დაინტერესებულ პირთა ამ პროექტისკენ მიპყრობილი მზერა არა მხოლოდ დიდი წარმატება, არამედ ასევე გარკვეული ტიპის გამოწვევაცაა. თუ საქართველოში აღნიშნული პროექტი საჯარო სექტორს აძლევს შესაძლებლობას, გახდეს უფრო სანდო და ეფექტიანი, ამავდროულად, ის დაკავშირებული იქნება ისეთ საკითხებთან, რომელთა გადაჭრისთვისაც აუცილებელია წინასწარ მომზადებული შესაბამისი გარემო და სტრატეგია. საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა, საჯარო

სექტორში ბლოკჩეინის ენთუზიასტთათვის დაადგინოს მოქმედების სტანდარტი.

საქართველო უკვე ამ პოტენციალის უშუალო რეალიზაციის ეტაპზეა გადასული. საქართველოს მიერ არჩეული უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცესში ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენების მოდელი არის უნიკალური. შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს ღია და ნებადართულ ბლოკჩეინ მოდელთა ჰიბრიდულ ვერსიას. კერძოდ, საჯარო რეესტრი უძრავი ქონების შესახებ უტყუარი ინფორმაციის შემცველი თითოეული დოკუმენტის (ამონაწერის) ნამდვილობას ადასტურებს ელექტრონული ხელმოწერით.

დასკვნა

საქართველოს მიერ ბლოკჩეინ ტექნოლოგიის საჯარო სექტორში გამოყენებისა და სმარტ კონტრაქტების დანერგვის ინიციატივა დიდი შესაძლებლობების მომტანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ამავდროულად, ამ ინოვაციური ტექნოლოგიის შემოტანა მოითხოვს არსებულ სამართლებრივ სისტემაში ახალი ცნებებისა და სტანდარტების ინტეგრაციას, ასევე განსხვავებული სახის რისკ-ფაქტორების შეფასებას. თუ ბლოკჩეინის გამოყენების მიზანს ამჟამად არსებული ცენტრალიზებული მოდელის მქონე მონაცემთა აღრიცხვის, განკარგვისა და კონტროლის პროცესების გაუმჯობესება წარმოადგენს, მისი წარმატება და ეფექტიანობა დიდწილად სწორედ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოხდება ამ ინოვაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავება. ეს ტექნოლოგია გლობალური მასშტაბით ჯერ კიდევ შეცნობის სტადიაზეა, შესაბამისად საქართველოს აქვს შესაძლებლობა, შექმნას წარმატებული პრეცედენტი და ამით სხვებისთვისაც დაადგინოს მოქმედების სტანდარტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Republic Of Georgia To Pilot Land Titling On Blockchain, ინტერნეტი:https://www.forbes.com ;ბოლო ნახვა ,14.07.2018

2. Crosby,M.2015. BlockChain Technology Beyond Bitcoin

ინტერნეტი. http://scet.berkeley.edu/wp-content/uploads/BlockchainPaper.pdf ;ბოლო ნახვა,10.07.2018

3. Pisa, Michael and Matt Juden.2017. Blockchain and Economic Development: Hype vs. Reality

https://www.cgdev.org/sites/default/files/blockchain-and-economic-development-hype-vs-reality_0.pdf ;ინტერნეტი.ბოლო ნახვა, 05.07.2018

4. Abadi, Joseph and Markus Brunnermeier.2018. Blockchain Economics.

ინტერნეტი.https://scholar.princeton.edu/sites/default/files/markus/files/blockchain_paper_v2c.pdf,;ბოლო ნახვა 09.07.2018.

5. Tapscott , Don and Alex Tapscott.2017. Realizing the Potential of Blockchain.

ინტერნეტი. http://www3.weforum.org/docs/WEF_Realizing_Potential_Blockchain.pdf; ბოლო ნახვა,14.07.2018

6. Suikkanen, Henrik.2017. Economic and Institutional Implications of Blockchain

ინტერნეტი. ht tp s:/ /a altodoc.aalto.fi/bitstream/handle/12345678 9/ 287 18 /master_Suikkanen_Henrik_2017.pdf?sequence=1&isAllowed=y; ბოლო ნახვა 14.07.2018.

CRYPTOCURRENCY, BLOCKCHAIN AND GEORGIA - THE CURRENT SITUATION AND CHALLENGES

Ucha Chitidze, Tornike Tevdoradze
TSU students

RESUME

Blockchain is a universal verification tool, which has the great future. Its credibility and popularity is due to the fact that there is no such person or organization that can affect the information on it and any transaction is verified by millions of computers across the globe. The Blockchain's capabilities and potential are so great that after 10-15 years, it is possible that it becomes the integral part of our everyday life as it is the internet today. Many researchers believe that Blockchein is the last word said in the technology field. In this study the research methodology is qualitative. The case study, analysis of secondary sources will be utilized there. The secondary sources of information are used: articles on the Internet, articles, official statements.The main question is: what is blockchain technology and what changes will it bring in the future?

Key words: Blockchain, transactions, bitcoin, miner, internet, Cryptocurrency.

აგროკოპერატიული პოლიტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი

პაატა კოღუაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ პროფესორი
დავით მამუკელაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

აგრარული სფეროს სახელმწიფო რეგულირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე. მათ შორის უმთავრესია ზემოქმედების სასოფლო-სამეურნეო სუბიექტის სწორად განსაზღვრა. ეს აუცილებელია მწარმოებელთა წრის დასადგენად, ვისზეც უნდა გავრცელდეს სახელმწიფო დახმარება. დასახელებული მიდგომა უზრუნველყოფს ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზნობრივ მიმართვას დააუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებას. აგრარულ სექტორში ასეთი ფორმით სახელმწიფო რეგულირების განხორციელება მნიშვნელოვნად აფართოებს სუბსიდიებისა თუ კრედიტების პოტენციურ მიმღებთა წრეს. სახელმწიფო რეგულირების სისტემაში ახალი ელემენტების დანერგვა იძლევა ინსტიტუციონალური საფუძვლების შექმნის შესაძლებლობას. იგი ქმნის ეკონომიკურ პირობებს იმ წინააღმდეგობათა გადალახვისათვის, რაც აფერხებს აგრარული სექტორის ტრანსფორმაციას მრავალფეროვანი საფინანსო ურთიერთიერთობების გაფართოებულ სისტემებზე.

საკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი, არასისტემური მიდგომა, ბანკები, გადამმუშავებელი სექტორი, კოოპერატივი, მიგრაცია, სარისკო კაპიტალი, სუბსიდირება.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

ქვეყნის ეკონომიკის აგრარული სფეროს განვითარება დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის სიმყარეზე. განცალკევებული, ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას მიუჩვეველი, სხვადასხვა ხასიათის მრავალ შიდა თუ გარე პრობლემებთან დაპირისპირებული სოფლის მოსახლეობა უმეტეს შემთხვევაში ვერ ახორციელებს წარმატებით საკუთარ სამეურნეო საქმიანობას. საშუალო და მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების უმრავლესობა ფუნქციონირებს არასტაბილურად და არ შესწევს კრედიტების აღების უნარი საინვესტიციო თუ ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებისათვის. ხშირ შემთხვევაში, ისინი უძლურნი არიან სრულფასოვნად განახორციელონ საკუთარი ვალდებულებები საკრედიტო ურთიერთობებში, ხოლო ეკონომიკური ინსტრუმენტების (ფასები, სავალიტო კურსი, სარეალიზაციო ბაზრის სეგმენტები) არასტაბილურობის მაღალი ხარისხი მკვეთრად ზრდის საინვესტიციო პროექტებში კაპიტალდაბანდების საიმედოობის რისკის ფაქტორს. შესაბამისად, ასეთი საწარმოები უმეტეს შემთხვევაში ვერ ერთვებიან ისეთ სახელმწიფო პროგრამებში, როგორიცაა „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „აწარმოე საქართველოში“ და სხვა.

ფინანსური მხარდაჭერის გარეშე კი საშუალო და მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არსებობა უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ დაბალტექნოლოგიურ დონეზე, რაც საბოლოო ანგარიშით, ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს მათ სამეწარმეო განვითარებას. ამიტომ, მიმდინარე პერიოდში სოფლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო დარგების მდგომარეობა მნიშვნელოვნად აძლიერებს აგრარული სექტორის სახელმწიფო დაფინანსებისა და რეგულირების მოტივაციას.

სახელმწიფო რეგულირებით ხორციელდება ის ფუნქციები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი თვითრეგულირების საბაზრო ბერკეტებით. ამ ორი მექანიზმის ოპტიმალური და ბალანსირებული მოქმედებით მიიღწევა ფინანსური სტიმულირების ეფექტური მართვა, რომელიც ხდება დაფინანსებული

ყველა სუბიექტის ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური (გარანტირებული) რეალიზაციის საფუძველი. საბიუჯეტო სახსრების აგრარულ სექტორში განთავსება შეღავათიან პირობში და მათი კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში.

აგრარული სფეროს სახელმწიფო რეგულირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შორისაც, ერთ-ერთი მთავარია ზემოქმედების სასოფლო-სამეურნეო სუბიექტის სწორად განსაზღვრა, რაც აუცილებელია მწარმოებელთა წრის დასადგენად, ვისზეც უნდა გავრცელდეს სახელმწიფო დახმარება. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ერთი მხრივ, ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზნობრივ მიმართვას, ხოლო მეორე მხრივ, აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებას. აგრარულ სექტორში ასეთი ფორმით სახელმწიფო რეგულირების განხორციელება მნიშვნელოვნად აფართოებს სუბსიდიებისა თუ კრედიტების პოტენციურ მიმღებთა წრეს, რომელთა რიგებშიც მოხვდებიან არა მხოლოდ უშუალოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები და გადამმუშავებელი სექტორი, არამედ არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული სუბიექტებიც, როგორიცაა: სოფლად ტურიზმის განვითარება, საცალო ვაჭრობა, ხალხური რეწვის საწარმოები, სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თუ სოციალურ-კულტურული მომსახურეობა და სხვა.

სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა წარმატებულმა ქვეყანამ სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად სხვადასხვა ფორმის კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციები და საფინანსო ინსტიტუტები მიიჩნია. საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები, ისევე როგორც საწარმოო ურთიერთობები, იცვლებოდნენ განვითარების ეტაპების მიხედვით, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო სახელმწიფოს როლის გაძლიერებასთან კოოპერაციული ინსტიტუტების დამკვიდრებაში.

მცირე და საშუალო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გამართული საქმიანობისთვის ფუნდამენტალური მნიშვნელობა აქვს ისეთი ინფრასტრუქტურის არსებობას, რომელიც მოიცავს კოოპერაციულ ბანკებს, მეწარმეობის განვითარების ცენტრებსა და სააგენტოებს, სახელმწიფო ცენტრალურ და მუნიციპალურ ფონდებს, საგარანტიო ფონდებს, საკონსულტაციო-სასწავლო ცენტრებს და სხვა. მიმდინარე პერიოდში, საქართველოში სრულფასოვნად არ გამოიყენება არცერთი ფორმა. სახელმწიფოს მხრიდან პროგრამული-მიზნობრივი მხარდაჭერა და რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს როგორც სპეციალური ინფრასტუქტურის (კოოპერატივები, ასოციაციები, კავშირები) მხარდაჭერის, ასევე საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების (კოოპერაციული ბანკები, საგარანტიო ფონდები, საკრედიტო კოოპერატივები) მხარდაჭერის კუთხით.

ბოლო 25 წელინადში განვითარებულმა ეკონომიკურმა პროცესებმა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა ის პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია აგრარული სექტორის განვითარების მიმართ არასისტემურ მიდგომებთან და ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების უკუშედეგების მომტან ორგანიზაციულ მოწყობასთან. უკვე აშკარა გახდა, რომ აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს. საკითხი ეხება აგრარულ სექტორში მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათის მქონე სისტემური ცვლილებების და ახალი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას, რაც სახელმწიფოს მხარდაჭერით კოოპერაციული სექტორის და სპეციალიზებული საფინანსო ინსტიტუტების ამოქმედებასთან არის დაკავშირებული.

სამწუხაროდ ამ ეტაპზე საქართველოში კორპორაციული ინსტიტუტების მხარდაჭერა ჯერ კიდევ განიხილება სხვა, მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული სამეწარმეო ფორმების (შპს, სააქციო საზოგადოება) პარიტეტულად, რაც აკნინებს ასეთი პროექტების მნიშვნელობას.

დღეს სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იმყოფება უკიდურეს გაჭირვებაში და არ გააჩნია არათუ სამეწარმეო პრო-

ექტების დაფინანსების ან თანადაფინანსების შესაძლებლობა. ამ გარემოებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მცირემიწიანობის პრობლემა. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, 1 ჰექტრამდე მიწას ფლობს მიწათმოსარგებლეთა 75%, 1-დან 5 ჰექტრამდე – 23.8%, 5-დან 50 ჰექტრამდე – 1,46%, 50 ჰექტარზე მეტს – მხოლოდ 0.16%. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ კუთვნილი 1 ჰექტარი მიწაც წარმოდგენილია დანაწევრებულ 3-4 ნაკვეთებად.

სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე მნიშვნელოვანწილად გახდა ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელი და მაღალი სოციალური პოლარიზაციის საფუძველი, რაც უპირველეს ყოვლისა, აისახება ჯინის (სოციალური უთანასწორობის) ინდექსის მაღალ მაჩვენებელში (0.40).

ასეთი სოციალირ-ეკონომიკური გარემო მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სოფლებიდან (განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებიდან) მოსახლეობის მიგრაციის მაღალ დონეს. სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წელთან შედარებით 34%-ით არის შემცირებული. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობის კლების დონე კიდევ უფრო მაღალი იყო (60%-მდე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთში, 54% სამეგრელო-ზემო სვანეთში). ამ გარემოებასთან მიმართებაში აუცილებელია პრობლემის სიღრმისეული სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი, რაც ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტალურად განსხვავებულ მიდგომებს აყალიბებს. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას პრაქტიკულად არ გააჩნია ფულადი სახსრები სამეურნეო საქმიანობის განვითარებისთვის, ისინი ფლობენ მიწას, პირუტყვს, სხვა მატერიალურ რესურსებს და რაც მთავარია შრომით უნარს, რომელიც ერთიანობაში შეადგენს მნიშვნელოვან კაპიტალს, რისი მოქმედებაში მოყვანაც უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამეწარმეო, უპირატესად კოოპერაციული პროექტებით. შესაბამისად, აქცენტის გაკეთება მხოლოდ იმაზე, რომ მოსახლეობას არა აქვს ფულადი რესურსები შესაბამისი პროექტების თანადაფინანსების განსახორციელებლად და ამ მოტივით თავის

შეკავება პროექტების განხორციელებისგან, წარმოადგენს სერიოზულ შეცდომას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სოფლის განვითარებისთვის საჭირო პოლიტიკის გატარებას. სამწუხაროდ, სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს არსებულ რეალობას და აუცილებელია სახელმწიფო უწყებების, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებთან შეთანხმებული, დონორი ორგანიზაციების პროექტები დაიგეგმოს ამ მოცემულობის გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ინვესტიციების ქმედითუნარიანობა სერიოზული საფრთხის წინაშე იქნება დაყენებული.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, სოფლად, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში, მიუხედავად გარკვეული სახელმწიფო მხარდაჭერისა, იკვეთება სხვადასხვა ხასიათის პრობლემები, რომელთა მოგვარება სისტემური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. აღნიშნული პრობლემებიდან შევეხებით ორ მათგანს, რომელთა მოგვარება ამ ეტაპზე აუცილებელი და შესაძლებელია:

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და ვერტიკალური ინტეგრაციის დემოკრატიული და ეფექტური შიდასაწარმოო ურთიერთობების მექანიზმის ამოქმედება იძლევა საშუალებას, ტიპური საბანკო-კომერციული კრედიტის სოფლის მეურნეობისთვის არაეფექტური და მოუქნელი ფორმა ჩავანაცვლოთ კოოპერატივებზე ე.წ. „სარისკო კაპიტალის“ შეთავაზების გზით. „სარისკო კაპიტალის“ ფორმა, ისევე როგორც ვენჩურული კომპანიები, დღემდე პრაქტიკულად არ არსებობენ საქართველოში. იგი გავრცელებულია წარმატებული ეკონომიკის ბევრ ქვეყნაში და აგრარულ სექტორში უმეტესად დაკავშირებულია კოოპერაციულ სისტემებთან. ასეთი სესხის ასაღებად საჭიროა უფრო ნაკლები უზრუნველყოფა, სესხი არის გრძელვადიანი, ხოლო გადახდები დაკავშირებულია მიმღები სუბიექტის შემოსავლებთან. მიმდინარე პერიოდში, საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ინსტრუმენტის გამოყენება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ და დამოკიდებულია მხოლოდ სახელმწიფოს კეთილ ნებაზე.

შეღავათიანი საფინანსო რესურსების მოზიდვა შესაძლებელია როგორც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და კერძო ფონდებიდან. მათ შორის მნიშვნელოვანია სადაზღვევო სააგენტოები, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო ორგანიზაციების სახით არიან წარმოდგენილი, თუმცა ამ პროფილის კერძო კომპანიებიც, როგორიცაა „ეულერ ჰერმესი“ (გერმანია), „ატრადიუსი“ (ჰოლანდია) მოქმედებენ საკუთარ მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. მათი მთავრობის დახმარებით (რასაც საკუთარი ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა განაპირობებს) ისინი მიმღები სახელმწიფოს გარანტიით ახდენენ კრედიტების დაზღვევას ან პირდაპირ დაფინანსებას შეღავათიან პირობებში. ამ ტიპის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია: „კანადის საექსპორტო სააგენტო“, „ნექსი“ (იაპონია), ECGD (დიდი ბრიტანეთი) და სხვა. ქართული კომპანიების და კოოპერატივებისთვის შესაძლებელია აღნიშნული კომპანიებიდან ფინანსური მხარდაჭერის მიღება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო, შესაბამისი სტრუქტურების საშუალებით მოახდენს კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფას. ასეთი ფორმით დაკრედიტების კარგ მაგალითს წარმოადგენს უკრაინის სალიზინგო კომპანია „უკრაგროლიზინგის” ურთიერთობა „კანადის საექსპორტო სააგენტოსთან“, რომლის ფარგლებში “უკრაგროლიზინგმა” სახელმწიფო გარანტიით, მარტო 2009 წელს „კანადის საექსპორტო სააგენტოდან“ მოიზიდა 600 მლნ აშშ დოლარი.

ამ საკითხთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხოციელდება არაერთი პროექტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელ და შემნახველ საწარმოებში კაპიტალური ინვესტირების კუთხით. აღნიშნული პროექტებით განსაზღვრული საწარმოო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის შეძენა ხდება სახელმწიფო ტენდერების საშუალებით, სადაც მონაწილეობას ძირითადად იღებენ შუამავალი კომპანიები, რომელებიც ახდენენ სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული მანქანა-დანადგარების შესყიდვას. აღნიშნული სქემით სახელმწი-

ფოს მიერ დაფინანსებული აღჭურვილობის შეძენა წარმოებს ამ მანქანა-დანადგარების მწარმოებლის ფასებზე გაცილებით მაღალ ფასებში, რის შედეგად ათეულობით მილიონი დოლარი გაედინება ქვეყნის გარეთ. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების წესებით, შესასყიდ საწარმოო-ტექნოლოგიურ აღჭურვილობაზე ერთი და იგივე ტექნიკური პარამეტრებით წარმოდგენილ განაცხადებში უპირატესობა განისაზღვრება მხოლოდ დაბალი ფასის მიხედვით, რაც ხდება საფუძველი ქართულ საწარმოებში დაბალი ხარისხის პროდუქციის შემოტანის, რაც აზარალებს როგორც დაფინანსებული საწარმოების, ასევე ქვეყნის ინტერესებს და ემსახურება მხოლოდ შუამავალი კომპანიების გამდიდრებას.

2. კოოპერატივების გამართული საქმიანობისთვის აუცილებელია თანხების მობილიზება კოოპერატივების საბრუნავი საშუალებებისთვის, რისი მატერიალური შესაძლებლობაც მათ მეპაიეებს უმეტეს შემთხვევაში არ გააჩნიათ. ეს პრობლემა ასევე დაკავშირებულია კოოპერატივების მეპაიეების მიერ წარმოებული პროდუქციის გადამუშავებასა და რეალიზაციის გახანგრძლივებულ ვადებთან. მეპაიესთან ანგარიშსწორება ხდება გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც კოოპერატივის მიერ გადამუშავებული პროდუქცია მიიღებს საბოლოო სახეს და მოხდება მისი რეალიზაცია. მაღალი ხარისხის და ღირებულების ყველის წარმოების შემთხვევაში ეს პერიოდი დაკავშირებულია ყველის მომწიფებასთან და რეალიზაციასთან, რომელიც მოიცავს 1-დან 6 თვემდე პერიოდს; ღვინის წარმოების შემთხვევაში კი აღნიშნული პროცესი 1 წელზე მეტ ხანს გრძელდება. სოფლის მოსახლეობა მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო იძულებულია პირველადი პროდუქცია (რძე, ყურძენი და სხვა) ჩააბაროს შუამავალ პირებს, ან გადამმუშავებელ საწარმოებს, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების (შპს) სახით და ამით უარი თქვას საკუთარ კოოპერაციულ საწარმოში წარმოებული (გადამუშავებული) პროდუქციის რეალიზაციიდან დამატებითი ღირებულების მიღებაზე, რაც ხშირ შემთხვევაში 2-3-ჯერ მეტია პირველადი

პროდუქციის ჩაბარების ფასებზე; მოსახლეობა იძულებულია დათანხმდეს შუამავლების და გადამმუშავებელი საწარმოების მიერ დაწესებულ ნედლეულის შესყიდვის დისკრიმინაციულ ფასებს, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებს თვით ამ პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებსაც კი. არსებულმა რეალობამ ნათელი გახადა, რომ საწარმოო ურთიერთობათა ასეთი ფორმა სოფლის მოსახლეობისათვის მხოლოდ უკუშედეგის მომტანია, რადგან იგი ავტომატურად იწვევს მოსახლეობისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოტივაციის და ადგილზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის მოშლას და ხდება ერთის მხრივ – აგრარული წარმოების პარალიზების, ხოლო მეორეს მხრივ – სოფლებიდან მოსახლეობის გაძლირებული მიგრაციის საფუძველი.

3. ყურძნის მწარმოებელი კოოპერატივების შემთხვევაში აღნიშნული პრობლემის მოგვარება უნდა მოხდეს კოოპერატივების საბრუნავი საშუალებების დაფინანსებით, 1-დან 2 წლამდე ვადით, რაც უზრუნველყოფს კოოპერატივების გამართულ ფუნქციონირებას, მნიშვნელოვნად გაზრდის მევენახეთა შემოსავლებს არა ყურძნის, არამედ ღვინის რეალიზაციიდან და ამასთანავე მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყურძნის შესყიდვის სუბსიდირების მოცულობას. ამიტომ კოოპერაციის პროცესის სწორად წარმართვისათვის, აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს კოოპერატივების ფინანსური მხარდაჭერის სპეციალიზებული საინვესტიციო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ამ კუთხით განვითარებული არაერთი ქვეყნის მსგავსად, სადაც ასეთი პრაქტიკა არაერთ ათეულ წელს ითვლის, მაგრამ ასეთი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში, კოოპერატივების განვითარების საწყის ეტაპზე, აუცილებელია კოოპერატივების ფინანსური მხარდაჭერის განახორციელებაში აქტიურად ჩაერთონ საქართველოში არსებული შესაბამისი სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტები, ფონდები და დონორი ორგანიზაციები.

სახელმწიფო რეგულირების სისტემაში ახალი ელემენტების დანერგვა იძლევა ინსტიტუციონალური საფუძვლების შექმნის

შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ ქმნის ეკონომიკურ პირობებს იმ წინააღმდეგობათა გადალახვისათვის, რაც აფერხებს აგრარული სექტორის ტრანსფორმაციას მრავალფეროვანი საფინანსო ურთიერთიერთობების გაფართოებულ სისტემებზე. არასაკმარისი გაცნობიერება იმისა, რომ აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმებისა და გარდაქმნების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და თავის შეკავება ამ კუთხით ადექვატური, ქმედითი ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისაგან, აუცილებლად შექმნის სერიოზულ სირთულეებს, რაც ნეგატიურად აისახება მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტურობაზე და დაგეგმილ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ:

1. კოღუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ., სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი - სამეწარმეო მობილიზაციის ეფექტური ფორმა. ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, #3, 2017.

https://drive.google.com/file/d/1DaMoBMpC4lqEC9dGrO87ERCpII4WXZuX/view

2. კოღუაშვილი პ., რატომ არ გასცემენ ბანკები გრძელვადიან აგროკრედიტებს და რას მოგვიტანს კოოპერატიული აგროსაკრედიტო სისტემა?! „ინფო ივერიონი“, აპრილი, 2018. http://iverioni.com.ge/16488-ratom-ar-gascemen-bankebi-grdzelvadian-agrokreditebs-da-ras-mogvitans-kooperatiuli-agrosakredito-sistema.html

3. კოღუაშვილი პ., რამიშვილი ბ., საქართველოს სოფლის ტევადობა. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. №3, 2014.

4. სოფლის განვითარება ევროპაში - 1970 წლიდან დღევანდლამდე. ელექტრონული სახელმძღვანელო (რედაქტორი და მთარგმნელი პროფ. პ. კოღუაშვილი). სტუ, 2015.

5. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წწ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში 2016 წლისთვის http://www.moa.gov.ge/Ge/Public/Annual/12

SOME IMPORTANT ISSUES OF AGRICULTURAL COOPERATIVES POLICY

Paata Koguashvili,
Doctor of Economic Sciences,
Professor of GTU
Davit Mamukelashvli,
PhD Student of GTU

RESUME

The Government regulation of agriculture mainly depends on a number of specific issues. Among them the most important is the determination of the impact of agricultural entities. It is important to establish a circle of entrepreneurs who should be given the state assistance. The given approach provides the purposeful access to the financial and organizational resources for the adoption of subordinate normative acts. The implementation of the government regulation is the form which in agriculture significantly expands the circle of potential recipients of subsidies. Moreover, the introduction of new elements in the state regulation system gives the possibility of institutional basics: it creates economic condition to overcome the obstacles that impede the transformation of agricultural sector into expanded systems of the diverse financial relations.

Key words: agriculture, banks, cooperative, subsidies, processing sector, state regulation, policy.

სამედიცინო მენეჯმენტი: სპეციფიკა და მიდგომები

მარიამ კვირიკაშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
რუსუდან ქუთათელაძე,
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

მოცემულია სამედიცინო მენეჯმენტის ავტორისეული განმარტება, გარდა ამისა, სტატიაში განხილულია სამედიცინო ბიზნესის პრობლემტიკა, რომელიც ქვეყანაში ფასიანი სამედიცინო მომსახურების პოპულარობის ზრდასთან არის დაკავშირებული.

აღნიშნულია, რომ ფასიანი სამედიცინო მომსახურების პოპულარობას განაპირობებს მისი ხარისხის მაღალი დონე. მაგრამ თვით სამედიცინო ბიზნესი იმყოფება იმ ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ, რომლებიც აფერხებს მის მართვასა და შემდგომ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, სამედიცინო ბიზნესი, სამედიცინო მენეჯმენტი.

ძირითადი ტექსტი

ბოლო წლების განმავლობაში სამედიცინო მენეჯმენტისადმი ინტერესი საგრძნობლადაა მომატებული. თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები აგრძელებენ დისკუსიას იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულებების მართვა. ამ სფეროში შექმნილი ნაშრომების უმრავლესობა ეძღვნება სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების მენეჯმენტს და მის პრობლემებს.

მკვლევარები თანხმდებიან, რომ სამედიცინო დაწესებულების კვლევა განსაკუთრებულ მიდგომებს მოითხოვს და ეს დაკავშირებულია მათ მიერ გამოშვებული პროდუქტის, - სამედიცი-

ნო მომსახურების - სპეციფიურობასთან. სამედიცინო ბიზნესის სოციალური მნიშვნელობა თავად კარნახობს მენეჯმენტისა და მარკეტინგის განსაკუთრებული მეთოდების გამოყენებას.

ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება სამედიცინო მომსახურების კომერციული სექტორი და მოსახლეობა სულ უფრო ადაპტირდება მათ ფასიანობასთან. მაგრამ არის მოსახლეობის ისეთი ნაწილიც, რომელიც დღემდე ვერ შეეგუა ფასიან სამედიცინო მომსახურებას, მათი მენტალიტეტი უბრალოდ ვერ აღიქვამს ამ სფეროს ფასიანობას, როგორც არსებულ ფაქტს.

ფასიანი მომსახურება და სამედიცინო მენეჯმენტი. სამედიცინო ორგანიზაციის შიგნით ხდება მთავარი ექიმის ფუნქციის ტრანსფორმირება მმართველობითში, რაც აიძულებს მმართველებს, აიმაღლონ მმართველობითი კვალიფიკაცია, რათა შეესაბამებოდნენ ბაზრის მოთხოვნებს.

კომერციული სამედიცინო დაწესებულების მართვას გააჩნია უფრო მოქნილი ხასიათი, ვიდრე სახელმწიფო საკუთრებაში მყოფის, ვინაიდან ისინი არ ექვემდებარებიან სახელმწიფოს ფინანსურად. დღეს კერძო სამედიცინო ორგანიზაციები ძლიერ კონკურენციას უწევენ სახელმწიფო სექტორს, ვინაიდან შეუძლიათ არა მარტო მომსახურების მაღალი ხარისხის, არამედ უფრო მაღალი დონის სერვისების შეთავაზებაც.

სამედიცინო მენეჯმენტი - ეს არის საკუთრების სხვდასხვა ფორმის მქონე სამედიცინო ორგანიზაციების მიერ სპეციალური პრინციპების, მეთოდებისა და საშუალებების კომპლექსის გამოყენება, რომელიც მიმართულია შემდეგი მიზნების მიღწევაზე:

1. სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების მაქსიმიზაცია;
2. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება;
3. სოციალური ჰარმონიის მიღწევა, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქის უფლებასთან, მიიღოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება;
4. სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის ამაღლება.

მედიცინის დარგის არსებული პრობლემტიკის შეფასება გამოწვეულია გარე და შიდა ფაქტორებით. განვიხილოთ სამედიცინო მომსახურების ბაზრის პრობლემატიკის არსებული მოდელი.

ფაქტორები, რომლებიც ართულებს ჯანდაცვის ორგანიზაციების მართვას.წარმოშობის მიხედვით, ფაქტორები, რომლებიც ართულებს ჯანდაცვის ორგანიზაციების მართვას, შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: გარემო და შიდა ფაქტორებად.

გარემო ფაქტორებს განეკუთნება:

– სახლემწიფოს მხრიდან: ძნელად შესასრულებელი სალიცენზიო მოთხოვნები, გაზრდილი მოთხოვნები შენობის მიმართ, სამედიცინო კაბინეტების აღჭურვის მოძველებული სტაბდარტები, დემპინგური ფასების დადგენა სახელმწიფო პოლიკლინიკების ფასიან მომსახურებაზე;

– საკრედიტო ორგანიზაციების მხრიდან: მცირე სამედიცინო ბიზნესის დაკრედიტებისათვის დაბალი მზაობა;

– მიმწოდებლების მხრიდან: სამედიცინო აღჭურვილობის მაღალი ღირებულება;

– მომხმარებელთა მხრიდან: კომერციული მედიცინისადმი უნდობლობა, ფასიანი მედიცინისადმი მზაობის არარსებობა;

– სხვა ელემენტები: შენობების უკმარისობა.

შიდა ფაქტორები:

– დაბალი დიაგნოსტიკური დონე;

– მარკეტინგისა და რეკლამის დაბალი დონე;

– დაბალი მმართველობითი დონე;

– კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;

– ფინანსური რესურსების უკმარისობა.

მოქმედებენ რა ერთობლივად, ამ ფაქტორებს სამედიცინო მომსახურების ბაზრის განვითარებისათვის მოაქვთ სხვადსხვა შეფერხება.

სამედიცინო დახმარების ფორმირებადი კომერციული სფეროს ძირითად პრობლემას არასაკმარისი დაფინანსება წარმოადგენს. კომერციული კლინიკის განვითარებისა და

კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე სამედიცინო მომსახურება თავისი ბუნებით ინოვაციურია. მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნა დაბალ დონეზე რჩება, ამიტომაც კომერციული სამედიცინო დაწესებულებების უმრავლესობისათვის ინოვაციური ტექნიკის, ტექნოლოგიების, შენობების შეძენა და საკუთარი სამედიცინო პერსონალის სწავლება-გადამზადება არა მხოლოდ მიუღწევად, არამედ არარენტაბელურ გადაწყვეტილებასაც კი წარმოადგენს.

შენობებისა და სამედიცინო მოწყობილობის პრობლემა. არსებული სიტუაციის პირობებში ძირითადი ფონდების რეინვესტირებასთან ერთად ხდება საკონსულტაციო მომსახურების სექტორის ფორმირება, რომელთა გაწევა არ მოთხოვს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს. მსგავსი დაწესებულებების პრაქტიკაში შედის დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული კვლევები (რენტგენი, ენდოსკოპია, ენცეფალოგრამა, ჰორმონალური კვლევა). ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი აღჭურვილობა, რომელიც პრაქტიკულად ნებისმიერ კლინიკაში გვხვდება, არის ულტრაბგერითი სკანერი და ელექტროკარდეოგრაფი. მაგრამ სამედიცინო ტექნიკა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურებში, ყოველთვის ახალი არ არის, ამიტომაც მისი მაჩვენებლების ხარისხი ყოველთვის არაა დამაკმაყოფილებელი.

ფასიანი მედიცინის განვითარებისათვის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს შენობების პრობლემა, რომელიც განსაკუთრებულად ნათლად დიდ ქალაქებში ჩანს. მაგრამ აქ არც რეგიონებია გამონაკლისი, ვინაიდან სანიტარული სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება არც რეგიონში განლაგებულ ყველა შენობას ძალუძს.

კერძო კლინიკების უმრავლესობისათვის გამორიცხულია საკუთარი შენობების აგება, ვინაიდან ეს ძვირადღირებული სიამოვნებაა. თავის მხრივ, შესაბამისი შენობის არარსებობა

არ აძლევს კლინიკას საშუალებას სამედიცინო საქმიანობაზე ლიცენზიის მიღებისათვის მაშინაც კი, როცა სხვა სალიცენზიო მოთხოვნები შესრულებულია (მაგალითად: აღჭურვილობის არსებობა, კვალიფიციური კადრები და სხვა). ამდენად, ძირითად პრაქტიკას საჭირო შენობების იჯარით აღება წარმოადგენს.

კომერციულმა სამედიცინო დაწესებულებებმა შეიძლება გაუწიონ ღირსეული კონკურენცია სახელმწიფო კლინიკებს მაშინ, როცა მათ მიერ იქნება მიღწეული შესაბამისი მატერიალური უზრუნველყოფისა და ტექნიკური შეიარაღების დონე, არ გადაამისამართონ ისინი და შემდგომი მკურნალობისათვის საკუთარ კლინიკაში დატოვონ პაციენტები.

დასკვნა

საქართველოს ჯანდაცვა წამოადგენს განსაკუთრებულ დარგს, რომელსაც საფუძვლიან ღირსებებთან ერთად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც გააჩნია. სამედიცინო ორგანიზაციის მართვის არსებული სისტემა მოძველდა და მოითხოვს ახლით, შედარებით პროგრესულითა და მოქნილით ჩანაცვლებას.

სამედიცინო მენეჯმენტის დასავლური მოდელი შესაძლოა ნაწილობრივ იქნას გამოყენებულ არსებულის ჩანაცვლებისა და გარემო პირობებზე უფრო მოქნილი რეაგირებისათვის. მართვის დასავლური მეთოდიკები გამოყენებულ უნდა იქნას არა პირდაპირი კოპირების, არამედ ისტორიულად ჩამოყალიბებული დარგობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; გარდა ამისა, უცხოურ მოდელებს უნდა დაემატოს ის ეფექტური მიდგომები, რომელსაც დღეს ქართული ჯანდაცვის დარგი იყენებს.

სამედიცინო მენეჯმენტის ეფექტური სისტემა, რომელიც ეფუძნება დირექტორისა და მთავარი ექიმის ფუნქციების გამიჯნვას, წარმოშობს შესაძლებლობას იმისთვის, რათა გაიზარდოს სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა. ჯანდაცვის სფეროს მმართველობითი კადრების ბიზნეს-გადამზადების დანერგვა მოგვცემს საშუალებას, განვავითაროთ მმართველობითი პოტენციალი და გადავიყვანოთ კლინიკების მენეჯმენტი ახალ ხარისხობრივ დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The ISO Survey of ISO 9000 and ISO 14000 Certificates. – 2002. – December. – 189 p. The EFQM Excellence Model [ელექტრონული რესურსი]. www.efqm.orq.

2. Evans J. R. The management and control of quality / J. R. Evans. – Cincinnati, Ohio South Western College Publishing, 2009. – 225 p.

3. Donabedian A. The quality of care. How Can It Be Assessed?/A. Donabedian; Oper. & Prod. Manag. – 2011. – Vol. 2, N 12. – P. 516.

4. გარეთ რ. ჯონსი, ჯენიფერ მ. ჯორჯი „თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები." თბილისი, 2006. თარგმანი ინგლისურიდან. გვ. 350.(Jhones G., George J., Modern Management Basics /in Georgian/ Tbilisi, 2006, P-350)

MEDICAL MANAGEMENT: SPECIFICS AND APPROACHES

Mariam Kvirikashvili,
The Doctoral Student of GTU
Rusudan Kutateladze,
Doctor of Economics,
Professor of GTU

RESUME

The article presents the author's definition of medical management. In addition, the article discusses the problem of medical business, which is associated with increasing the popularity of paid medical care in the country.

The author notes that the popularity of paid medical care is of high quality. But the medical business itself is under the influence of factors that hinder its management and further development.

Key words: Health Care, Medical Business, Medical Management.

უძრავი ქონების სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენების სპეციფიკა

ნინო კუტიბაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ეკონომიკის განმსაზღვრელ მრავალ სეგმენტსა თუ ფაქტორს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საფინანსო სექტორს და უძრავ ქონებას. ამ ორი ბაზრის თანაკვეთა დღევანდელი საქართველოს ეკონომიკაზეც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს, ვინაიდან, საფინანსო სექტორი საკრედიტო რისკების პრევენციის ფაქტორებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, სწორედ, სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ უძრავ ქონებას მიიჩნევს.

საკითხის სწორი შეფასებისთვის, აუცილებელია, უძრავი ქონების სამართლებრივი განმარტებების გაცნობა, სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ ქონებასთან დაკავშირებული ეროვნული ბანკის რეგულაციების მიმოხილვა და იპოთეკის, როგორც უძრავ ქონებასათან და საბანკო-საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული სამართლებრივი ქმედების შესახებ გარკვეული განმარტებანი.

აღნიშნული საკითხები საგულისხმოა პოტენციური მსესხებლებისთვის, რომ გასაგები იყოს ბანკთან ურთიერთობის და იპოთეკით დატვირთული ქონების შესახებ დეტალები, რათა, შემდგომ თავიდან იქნას აცილებული რიგი პრობლემებისა, რამაც შესაძლოა, უძრუნველსაყოფად გამოყენებული ქონების გაყიდვა და მსესხებელთა სოციალური ფონის დამძიმება გამოიწვიოს, რაც, ცხადია, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება.

საკვანძო სიტყვები: სესხის უზრუნველყოფა, უძრავი ქონება, საკრედიტო რისკები, იპოთეკა, შეფასების დასკვნა, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი ITV.

ძირითადი ტექსტი

უძრავი ქონების ბაზარი, ისევე, როგორც საფინანსო ბაზარი, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. დღეს, საქართველოში, სწორედ ფინანსურ ინსტიტუტებს და სამშენებლო-დეველოპერულ კომპანიებს უჭირავთ წამყვანი ადგილი ეკონომიკურ პროცესებში. თუ კარგად შევისწავლით ამ ორ ბაზარს, ვნახავთ, რომ დღევანდელობაში მათ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვითარება გაუჭირდებოდათ და ეს სერთო ეკონომიკურ სურათზეც იქონიებდა გავლენას. ცნობილია, რომ უძრავი ქონების კარგად განვითარებული ბაზარი მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს წინაპირობაა, ასევე, ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისა და მოქალაქეთა მატერიალური თუ სოციალური კეთილდღეობის წყარო. უნდა აღინიშნოს, რომ ბაზარზე მოთხოვნის ზრდის შესაბამისად, კარგად განვითარებული და შესაბამისად, მზარდი დეველოპერული ბიზნესი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვანი წილს ქმნის, რაც ბოლო წლებში საგრძნობლად გაიაფებული გრძელვადიანი კრედიტების დიდი დამსახურებაა. იპოთეკური სესხების საშუალებით ხდება საცხოვრებელი ბინების აშენება, შეძენა, რემონტი, ხოლო საინვესტიციო სესხებით- სასტუმროების, საწარმოების, ფერმების და სხვა რთული ობიექტების აშენება ან შესყიდვა.

რას გვთავზობს საფინანსო სფეროში უზრუნველსაყოფად გამოყენებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საქართველოს საკანონმდებლო ბაზა? რა უცილებელი საკითხები და განმარტებები უნდა იცოდეს მოქალაქემ, რომელიც ბანკის პოტენციური კლიენტია?

როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განგვიმარტავს, - „ქონება, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

ქონება, ანუ ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი, ან უძრავი.

უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებუ-

ლი წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე“[1].

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში, უძრავი ქონების განმარტება მასზე უძრავად დამაგრებულ ქონებას და მის შემადგენელ ნაწილებსაც მოიცავს. ქართული საკანონმდებლო ბაზაში კი ეს საგნები უძრავი ნივთის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. კანონთა განმარტებით: - „ნივთის შემადგენელია ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს“[2].

ამ განმარტებათა მოშველიება იმისათვის არის საჭირო, რომ ხელშეკრულების გაცნობისას გავერკვეთ, სესხის უზრუნველსაყოფად მხოლოდ უძრავი ქონება იტვირთება, თუ ის განიხილება მის შემადგენელ ნაწილებთან და ე.წ საკუთვნებელთან ერთად. ძირითადად, ისინი მონაწილეობენ შეფასების პროცესებში და ცვლიან ქონების ფასს.

„საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად.

ნივთი,რომელიც მიწასთან არის დაკავშირებული და რომლის მოცილებაც მიწიდან შესაძლებელია სასაქონლო ღირებუ-

1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, მუხლები 147,148,149.

2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, მუხლი 150.

ლების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე, ასევე მიიჩნევა საკუთვნებლად“[1].

აღნიშნული განმარტებები გვეხმარება წარმოდგენა ვიქონიოთ უძრავი ნივთისა და ქონების რაობაზე, რათა, გაადვილდეს საკრედიტო ურთიერთობებში მათი მონაწილეობის ანალიზი.

კრედიტის გაცემემდე, განაცხადის შესწავლის დროს, განიხილება მთელი რიგი ფაქტორები: - კლიენტის საკრედიტო ისტორია - მისი, როგორც კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლიანი გადამხდელის სავიზიტო ბარათი, კლიენტის შემოსავლები - როგორც გადამხდელუნარიანობის გარანტი და კრედიტის უზრუნველყოფა - უძრავი ქონება, როგორც სესხის დაბრუნების ყველაზე მყარი გარანტია, თუკი კლიენტი გახდება გადამხდელუუნარო და/ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ვეღარ (აღარ) ასრულებს.

საფინანსო ინსტიტუტებში ზემოაღნიშნული ფაქტორები ერთიანდებიან ცნებაში, რომელსაც საკრედიტო რისკები ეწოდება და რომელიც საბანკო და საფინანსო სექტორის სტაბილურობის უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. საკრედიტო რისკები უმთავრესად, სწორედ კლიენტის მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობასთან ასოცირდება. ბანკებითვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოახდინოს საკრედიტო რისკების პრევენცია სესხის გაცემამდე - შეაფასოს პოტენციური კლიენტის გადახდისუნარიანობა და სესხზე წარმოდგენილი უზრუნველყოფა.

საზოგადოებაში, უზრუნველყოფას ხშირად, გირაოს სახელით მოიხსენებენ.

დღეს, საქართველოში მოქმედი ბანკები სესხის **უზრუნველსაყოფად გამოიყენებენ გირაოს შემდეგ სახეებს** - უძრავ ქონებას, სატრანსპორტო საშუალებებს, სასაქონლო მარაგებს, მანქანა -დანადგარებს, დეპოზიტებს და ფიზიკური პირების გარანტიას. თუმცა, ამ ჩამოთვლილთაგან ყველაზე უფრო მყარ გირაოს უძრავი ქონება წარმოადგენს, რადგან სესხის მომსახურების ვადის განმავლობაში სრულად აზღვევს საკრედიტო რისკს. უძრავი ქონების

1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, მუხლები 151.

უზრუნველყოფად გამოყენებას საზოგადოებაში მეორე სახელიც აქვს - **იპოთეკა.** სამართლებრივად, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (26.06.1997) 286 მუხლი განსაზღვრავს, „უძრავი ნივთი შეიძლება იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორთან შედარებით, პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით, ან მისი საკუთრებაში გადაცემის გზით“. ე.ი „იპოთეკა არის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც კრედიტორს იმის გარანტიას აძლევს, რომ დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნას. ამასთან, იპოთეკა შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამომავლო, ან პირობით მოთხოვნებთან დაკავშირებით, თუკი, იპოთეკის დადგენის მომენტისთვის შესაძლებელია ამ მოთხოვნის დადგენა. მაშსადამე, იპოთეკის დადგენისათვის, აუცილებელი არ არის მოთხოვნის იმავდროული არსებობა, თუმცა, ეს მოთხოვნა ფიქტიური არ უნდა იყოს და უნდა არსებობდეს იმის გარანტია, რომ იგი, მომავალში ნამდვილად წარმოიშობა. ეს პატარა ნიუანსი უფრო მეტ მოქნილობას ანიჭებს იპოთეკას. ასევე შესაძლებელია იმ ზღვრული თანხის განსაზღვრაც, რომლის ფარგლებშიც უძრავი ნივთიდან მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა მოხდეს. იპოთეკა მდგომარეობს იმაში, რომ უძრავი ქონება ემსახურება ვალის გადახდის უზრუნველყოფას მოვალის მიერ ამ ქონების დაუკარგავად. იგი უძრავი ქონების მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევს დაადგინოს მასზე ერთი, ან რამდენიმე იპოთეკა, მიიღოს კრედიტი იმ ფარგლებში, რომელიც შეესატყვისება ამ ნივთის მთლიან, ან ნაწილობრივ ღირებულებას, თანაც ისე, რომ არ დაკარგოს არც სარგებლობის და არც განკარგვის უფლება ამ უკანასკნელზე“[1].

როგორც განმარტებებიდან ჩანს, იპოთეკა გამსესხებელს აძლევს უფლებას, ქონება დაიტოვოს სარგებლობაში, ხოლო ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, უზრუნველყოფის ობიექტის რეალიზაციიდან მოახდინოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ხშირად, ეს სამართლებრივი ქმედება იპოთეკურ კრედიტთან

1 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3417

ასოცირდება. თუმცა, რეალურად, როგორც ეროვნული ბანკი განმარტავს, „იპოთეკური სესხი არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი კრედიტი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ შეიძინოთ, ააშენოთ ან გაარემონტოთ უძრავი ქონება - ბინა, სახლი, აგარაკი, მიწის ნაკვეთი. იპოთეკური კრედიტის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ სესხის მოქმედების პერიოდში თქვენს მიერ აღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია“ [1].

იმისათვის, რომ ქონება იქცეს უზრუნველყოფის ობიექტად, აუცილებელია მისი შეფასება და შესაბამისი დოკუმენტის - **შეფასების დასკვნის** მომზადება, რომელიც მხოლოდ ობიექტის ღირებულების განსაზღვრით როდი შემოიფარაგლება. შემფასებელი - დამუკიდებელი იქნება ის, თუ ბანკის შეფასების სამსახურის თანამშრომელი, პირველ რიგში მოახდენს აღნიშნული ქონების ინსპექტირებასა და იდენტიფიკაციას.

ქონების ინსპექტირებამდე ხდება ქონებასთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტაციის მოგროვება. შეისწავლება საჯარო რეესტრის სიტიდან ამოღებული უახლესი რუკა და ამონაწერი, ქონებასთან ასოცირებული ხელშეკრულებები (იჯარის, ნასყიდობის და ა.შ.) და ქონებასთან დაკავშირებული სხვა, აუცილებელი დოკუმენტები.

ინსპექტირების დროს ხდება:

- ქონების იდენტიფიკაცია.

-ქონების აზომვა, ან პროფესიონალი ამზომველის მიერ გაკეთებული აზომვითი ნახაზის მოთხოვნა და შედარება.

- ქონების ფოტოგრაფირება.

- ქონების ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება ვიზუალურად.

- არსებული გაუმჯობესებების და ცვეთის აღრიცხვა სამუშაო ფაილში.

- ქონების ფასზე გავლენის მქონე გარე, ფუნქციონალური და ფიზიკური ფაქტორების დაფიქსირება და ჩანიშვნა სამუშაო

1 http://www.nbg.gov.ge/cp/index.php?m=530

ფაილში (ხედები, რეკრეაციული ზონები, სოციალური და საჯარო დაწესებულებების სიახლოვე, კომუნიკაციები, სასოფლო სამეურნეო მიწის შემთხვევაში - სამელიორაციო სისტემასთან სიახლოვე და სხვ.)

ხდება მაქსიმალური ინფორმაციის მოგროვება ქონებაზე და მის ადგილმდებარეობაზე. შესაფასებელი ობიექტის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ. გაყიდული და გასაყიდი ანალოგების მოძებნა. გაქირავებული და გასაქირავებელი ანალოგების მოძებნა - დანახარჯების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში. მშენებლობის ფასების დადგენა ასევე დანახარჯების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნული პროცედურის პარალელურად, ხდება შეფასების დასკვნისთვის დეტალური ჩანაწერების მომზადება, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- შესაფასებელი ობიექტის აღწერას;
- შეფასების ერთი ან რამდენიმე მეთოდის გამოყენებას;
- ქონების ლიკვიდურობის ხელისშემშლელი ყველა ფაქტორის აღწერას;
- ობიექტის ფოტოებს;
- უახლეს ამონაწერს საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკას, შესადარის ობიექტებს;

ქონების საბაზრო და სალიკვიდაციო ღირებულებას;

შემფასებელი მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის ბაზაზე ქმნის დასკვნას, რის საფძველზეც ხდება შემდგომ გასაცემი სეხის მოცულების ზედა ზღვრის დადგენა. ეს დოკუმენტი წარმოადგენს, აგრეთვე, იურიდიული სამსახურის მიერ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისთვის საჭირო საბუთს.

შეფასების დასკვნა, იგივე **შეფასების აქტი**, ვადიანია და უძრავი ქონების ბაზარზე ცვლილების გათვალისწინებით, დაახლოებით 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდს მოიცავს. თუ აღნიშნულ ვადაში ხდება განმეორებითი სესხის გაცემა, ობიექტი ხელახლა არ ფასდება, თუ განხილვისას საკრედიტო კომიტეტის მიერ დამატებით სხვა რამ არ იქნა მოთხოვნილი. დასკვნის ვადის გასვლის შემდგომ კი ხდება უზრუნველყოფის ხელახალი გადაფასება.

უძრავი ქონების ახალი ფასი განსაზღვრავს ახალი სესხის

ღირებულებას, მაგრამ აღარ იწვევს იპოთეკის ხელშეკრულების ცვლილებას, ვინაიდან უზრუნველყოფილი მოთხოვნა განისაზღვრება სესხის ღრებულებიდან და არა ქონების ღირებულებიდან გამომდინარე.

როგორც აღვნიშნეთ, შეფასების დასკვნაში არსებული ფასი გასაცემი სესხის მოცულობის განმსაზღვრელია, ვინაიდან სესხის მოცულობის ფარდობა უზრუნველყოფად გამოყენებული უძრავი ქონების ღირებულებასთან, რეგულირდება როვნული ბანკის მიერ და ის, ბოლო რამდენიმე თვეა, კომერციულ ბანკებს განსაკუთრებულად მკაცრ პირობებს უყენებს, ჭარბვალიანობასთან ბრძოლის გამო.

კოეფიციენტს, რომელიც სესხის მოცულობის ფარდობას წარმოადგენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებასთან, **სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი LTV** (Loan To Value ratio) ეწოდება. აღნიშნული ეროვნული ბანკის „სესხების უზრუნველყოფის სახეობის, სასესხო აქტივების კრიტერიუმებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ განკარგულებით რეგულირდება და ქვეყანაში მიმდინარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილების შესაბამისად იცვლება. საბოლოოდ ის 2018 წლის ივნისში შეიცვალა[1] და ასეთი სახე მიიღო:

	ლარში გაცემული სესხები	უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები
სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი - მაქსიმალური მაჩვენებელი	80%	75%
სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალლიკვიდური უძრავი ქონების შემთხვევაში- მაქსიმალური მაჩვენებელი	90%	85%

1 https://www.nbg.gov.ge/index.php?m=691 - საქართველოს ეროვნული ბანკი. (19,06,18)

უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად, შეფასების და ღირებულების განსაზღვრის გარდა, აუცილებელია, უზრუნველყოფად გამოსაყენებელი ობიექტების იპოთეკით დატვირთვამდე მოხდეს ე.წ **იურდიული ექსპერტიზა**. ამ დროს ხდება ქონების სამართლებრივი ანალიზი საჯარო რეესტრის მონაცემების ჩანაწერებზე დაყრდნობით: - უფლების რეგისტრაციის გადამოწმება, სამართლებრივი შეზღუდვების იპოთეკის, საგადასახადო გირავნობის, ყადაღის არსებობა. ნივთზე მესამე პირის უფლებების არარსებობა, ფართის მონაცემების დაზუსტებულობა, რეალური ფართის რეგისტრირებულთან შესაბამისობა და სხვა. ნაკლის შემთხვევაში ხდება მისი გასწორება დატვირთვამდე, გარდა რეალური და რეგიტრირებული ფართის შეუსაბამობისა - ამ უკანასკნელის გასწორება, შესაძლოა მოხდეს სესხის გაცემის შემდგომ ყველაზე მოკლე ვადაში, რაც კი შესაძლებელია. სხვა ზემოთჩამოთვლილი ნაკლოვანებები, როგორც წესი, უნდა გასწორდეს სესხის გაცემამდე და ნივთი, ანუ ქონება უნდა იყოს სამართლებრივად და უფლებრივად უნაკლო. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უზრუნველყოფად არ გამოდგება და პოტენციურმა მსესხებელმა უნდა ჩაანაცვლოს ის სხვა ქონებით, რომელზეც ასევე განხორციელდება ყველა ზემოთჩამოთვლილი პროცედურა.

სამართლებრივად გამართული ქონება ნიშნავს, რომ ბანკი ტვირთავს უზრუნველყოფას , რომელიც მოთხოვნასთან მოდის სრულ შესაბამისობაში, რომ სესხის დაუბრუნებლობის რისკების გაზრდის შემთხვევაში შემდგომი გართულებები თავიდან იქნება აცილებული. ეს ერთი მხრივ. მეორეს მხრივ, კი, ქვეყანაში არსებულ უძრავ ქონებებზე იქმნება რეალური, გამჭვირვალე და მოწესრიგებული ბაზა. ეს შედის თავად ქონების მესაკუთრეთას ინტერესებში: - მის საკუთრებაში არსებული ქონება იურიდულად გამართულია, რეალურ მონაცემებთან შესაბამისობაშია მოყვანილი და მასზე არ არსებობს დავები. თუმცა, ფაქტია, რომ მოქალაქეთა უმეტესობას ჯერ კიდევ მოსაწერიგებელი აქვს საკუთრებასთან დაკავშირებული დეტალები, რომელიც შესაბამისობაში მოყვანისას, შესაძლოა, უამრავ წინააღმდეგობასაც წააწყდეს. მაგალითად: - რამდენიმე წლის წინ დაფარულ

სესხზე მოსახსნელია იპოთეკა, ან ამონაწერში არსებობს ჩანაწერი საგადასახადო გირავნობის შესახებ, რომელიც შესაძლოა დაფარულია, ან სადავოა და ა.შ.

დასკვნა

უძრავი ქონებისა და საკრედიტო ბაზრების სწორ ურთიერთდამოკიდებულებას ეკონომიკაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია. უძრავი ქონების გარეშე ფინანსური სექტორის ოპერირება ბაზარზე ნაკლებმასშტაბიანი, მაღალპროცენტიანი და მაღალრისკიანია. რაც შეეხება უძრავი ქონების უზრუნველყოფით მიღებული კრედიტებს, ისინი დაბალპროცენტიანი სარგებლით ხასიათდება დაბალი საკრედიტო რისკის გამო და თუ ისინი მიზნობრიობის მიხედვით სწორად იქნა მიმართული, წარმატებით მონაწილეობს მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში - იქნება ის საბრუნავი საშუალებებისთვის გაცემული, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, მანქანა-დანადგარებისა თუ ფიქსირებული აქტივების შესაძენად. რაც შეეხება სამომხმარებლო ან იპოთეკური მიზნობრიობით გაცემული სესხებს ისინი ემსახურებიან ქვეყანაში სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ხდება ისეც, რომ არასწორი მენეჯმენტით, დაუგეგმავად, არასწორი მიმართულებით თანხის გამოყენება იწვევს ტავად მსესხებლის დაზარალებას, რასაც ხშირ შემთხვევაში საპირისპირო შედეგებამდე მივყავართ- დგება გადახდისუუნარობა, ვალდებულების შეუსრულებლობა, კრედიტორი იკმაყოფილებს მოთხოვნას და ყიდის უზრუნველყოფაში არსებულ ქონებას, რასაც შემდგომ კლიენტთა სოციალური მდგომარეობის გაუარესება და ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენა მოჰყვება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. წიგნი მეორე, სანივთო (ქონებრივი) სამართალი. 2015 http://www.fin.ge/source/test_folder/saqartvelos%20samoqalaqo%20kodeqsi%20-%2001.01.2015.pdf -გადამოწმდა 12.02.17

2. უძრავი ქონების შეფასება. მეორე კანადური გამოცემა. საქართველოს პროფესონალ ქონების შეფასებელთა ასოციაცია. თბილისი.

3. TT. Касяненко –„Экономика недвижимости”- С.Петербург, 2016.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი - საბანკო პორდუქტები -http://www.nbg.gov.ge/cp/index.php?m=530 გადამოწმდა 14/01/2018, 14:53;

5. საქართველოს საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა - საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონი -http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=4&id_srch=5b2c3d5827bd2ec4e149481e350fa370&il=en&p=1 გადამოწმდა 14/01/2018 14:01.

6. ა. სიჭინავა, პ.კოღუაშვილი, დ.ეგიაშვილი, ა.მესხიშვილი - უძრავი ქონების ეკონომიკა. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2013.

7. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=691 - საქართველოს ეროვნული ბანკი. (19.06.18)

REFERENCES:

1. The Civil Code of Georgia- http://www.fin.ge/source/test_folder/saqartvelos%20samoqalaqo%20kodeqsi%20-%2001.01.2015.pdf;

2. Collateral appraisal- second Canadian edition -2006, Tbilisi;

3. “Economic of Real Estate” – T. Kasianenko –St. Petersburg 2016;

4. http://www.nbg.gov.ge/cp/index.php?m=530 –National Bank of Georgia. verified 14.01.2018;

5. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=4&id_srch=5b2c3d5827bd2ec4e149481e350fa370&il=en&p=1 - Parliament Library of Georgia. verified 14/01/2018 14:01.

6. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=691 –National Bank of Georgia. Verified 19.06.18.

THE SPECIFICS OF UTILIZING REAL ESTATE AS COLLATERAL FOR A LOAN

Nino Kutibashvili
PhD Student of GTU

RESUME

From the many factors that determine the country's economy, one of the most significant is the financial sector and the real estate sector. The intersection of the financial market with the real estate market has a special impact on the economy of Georgia, because the financial segment views real estate as a guarantee for reducing credit risks.

In order to properly assess the issue, it is necessary to know the legal definition of the real estate itself, the pledge, the requirement and the regulation of the Georgian national bank related to these issues, the role of mortgage as a legal act that links the financial sector with real estate.

These questions are significant for potential lenders. The knowledge of aspects of dealing with bank loans in order to clarify the details associated with taking a loan secured by real estate will eliminate the problem which can occur in the course of a loan. This will avoid losing of real estate and aggravation of social condition.

Key words: loan collateral, real estate, credit risks, mortgage, real estate appraisal report, loan to value ratio (LTV).

ადამიანური რესურსების მართვის მულტიკულტურული კონტექსტი

დავით ნიჟარაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
აფილირებული ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

რეზიუმე

დღესდღეობით, მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში საერთაშორისო კომპანიების მნიშვნელობის ზრდის პარალელურად, აქტუალური ხდება მათში დასაქმებული ადამიანური რესურსების მართვის მულტიკულტურული თავისებურებების შესწავლა. კარძოდ, გლობალურმა ფირმება უნდა შეიმუშავონ გლობალიზაციასთან ადაპტირებადი ადამიანური რესურსების შერჩევის, მოტივაციის და განვითარების ადექვატური მექანიზმები, რათა უკეთესად მოამზადონ საკუთარი პერსონალი საზღავარგარეთულ ფილიალებსა თუ შვილობილ კომპანიებში გასაგზავნად, სამსახურეობრივი მიზნებისათვის. გარდა ამისა, შესაძლებელია საკუთარ საწარმოში მსოფლიო კლასის ორგანიზაციების მიერ აპრობირებული პრაქტიკის გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო კომპანია, ადამიანური რესურსი, მულტიკულტურა, გლობალიზაცია, გლობალური მრავალფეროვნებისადმი მზადყოფნის ინდექსი, ექსპატრიატი, ინპატრიატი.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე კომპანიები ადამიანური რესურსების მართვის თვალსაზრისით მრავალი, რთული გამოწვევის წინაშე იმყოფებიან, რაც განპირობებულია გლობალიზაციის შედეგად

პერსონალის მულტიკულტურული ტრანსფორმაციით. გლობალურ ბინზესსივრცეში, მძაფრი კონკურენციის პირობებში, მულტიკულტურული პერსონალის გავლენით სულ უფრო რთული ხდება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება. შესაბამისად, კომპანიების მდგრადი კონკურენტული უპირატესობისთვის გასათვალისწინებელია სამუშაო ძალის საჭიროებების ეფექტური მართვა.

ბიზნესის ტრანსფორმაცია და ნიჭიერი ადამიანების ახალი გეოფრაფიული განლაგება მოუწოდებს კომპანიებს მართონ ეს უზარმაზარი ცვლილებები, რომელთაგანაც განასკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული ფაქტორები. ამისათვის კი საჭიროა ახალი, ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს მომავლის განჭვრეტას, პერსონალის ეფექტიან დაგეგმვას და საქმიანობის ოპტიმიზაციას. ამით შრომითი რესურსები მზად იქნებიან განვითარების სხვადასხვა სცენარისთვის.[1]

ბოლო პერიოდში, კომპანიები გლობალურ ბაზარზე სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, კარგად აცნობიერებენ მულტიკულტურულ კომპეტენციებს და მრავალფეროვნებას, რადგან ეს ყველაფერი ეხმარება მათ მიღებულ იქნეს თანმიმდევრული და მომავალზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები. თუმცა, სპეციალისტების ნაწილი თვლის, რომ ეროვნული კულტურა უფრო მნიშვნელოვანი და ძლიერი ფაქტორია, ვიდრე კულტურული მრავალფეროვნების მაღალი ხარისხი.

2008 წელს, ადამიანური რესურსების მართვის საზოგადოების დაკვეთით (A Study for the Society for Human Resource Management (SHRM)) The Economist-მა ჩაატარა კულტურული მარავალფეროვენების და პერსონალის ჩართულობის კვლევა 47 ქვეყნის 500-მდე უფროს აღმასრულებელ ოფიცერთან, რათა დათვლილიყო დაქირავებულთა გლობალური მრავალფეროვნებისადმი მზადყოფნის ინდექსი. კვლევის შედეგების მიხედვით (იხ. ცხრილი 1) შვედეთი ლიდერობს (73%), მას მოჰყვება

1 Oxforde Eonomics, Global Talent 2021, How the new geography of talent will transform human resource strategies, UK, 2012, P. 2

ნორვეგია (72.2%) და ახლი ზელანდია (72.5%).[1]

2016 წლიდან დასქამებულთა ჩართულობა გლობალურ დონეზე შემცირებულია (იხ. დიაგრამა 1), რაც გარკვეულწილად ევროპის და სხვა ქვეყენების მიერ შრომითი რესურსების თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვების დაწესებამ განაპირობა.[2] ეს კი გარკვეულწილად ზღუდავს ადამიანური რესურსების კულტურულ მრავალფერვნებას და ტექნოლოგიების თუ გამოცდილების გადაცემის შესაძლებლობებს.

ცხრილი 1 გლობალური მრავალფეროვნებისადმი მზადყოფნის ინდექსი, ქვეყნების მიხედვით (2008 წ)

N	ქვეყანა	ინდექსი (%)
1	შვედეთი	73.0
2	ნორვეგია	72.2
3	ახალი ზელანდია	71.5
4	კანადა	70.1
5	ფინეთი	69.4
6	დანია	67.2
7	გაერთიანებული სამეფო	66.9
8	ავსტრალია	66.9
9	შვეიცარია	65.2
10	ირლანდია	64.3

წყარო: Global Diversity and Inclusion: Perceptions, Practices and Attitudes, the Economist, (SHRM),USA, 2009, P19

1 Global Diversity and Inclusion: Perceptions, Practices and Attitudes, the Economist, (SHRM),USA, 2009, P. 19

2 2017 Trends in Globa Employee Engagement, Aon Hewitt, UK, 2017. P.1

დიაგრამა 1 პერსონალის გლობალური ჩართულობის ხარისხი 2016 წ.



წყარო: 2017 Trends in Globa Employee Engagement, Aon Hewitt, UK, 2017. P. 1

გლობალურ დონეზე, ადამიანური რესურსების ჩართულობაზე რასაკვირველია, ზეგვლენას ახდენს მულტიკულტურული უნარების ფართო სპექტრი, კერძოდ:

- ადამიანებთან ურთიერთობის უნარი - განსხვავებული კულტურის ადამიანებთან ურთიერთობის უნარი;

- გაურკვევლობის მიმართ ტოლერანტობა - ადამიანის გაურკველობასთან და ცვლილებებთან შეგუების უნარი;

- ადაპტირების უნარი - განსხვავებული კულტურული მოთხოვნების დროს ქცევის შეცვლის უნარი;

- თანაგრძნობის უნარი - განსხვავებული კულტურის მქონე ადამიანების მიმართ თანაგრძნობის გამოხატვის უნარი;

- აღქმის უნარი - მულტიკულტურულ გარემოში ადამიანების განცდების აღქმის უნარი.[1]

ზემოხსენებული უნარების განვითარება შესაძლებელია ექსპერიმენტული სწავლების მეთოდით, რაც გულისხმობს სხვადასხვა კულტურაში შეძენილი გამოცდილების გამოყენებას.

1 https://www.forbes.com/sites/iese/2015/03/24/why-you-need-cultural-intelligence-and-how-to-develop-it/#4c7cd0b617d6

მაგალითად, დაბრკოლება შეგვექმნება ბიზნესის წარმოებისას იაპონიაში, თუკი არ გვეცოდინება ამ ქვეყნის სპეციფიკური კულტურული ფასეულობების შესახებ. იაპონელი ბიზნესმენები საქმიანი შეხვდრისას საკუთარ სახელზე წინ ასახელებენ კომპანიის სახელწოდებას, სადაც ისინი მუშაობენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პირველი, გაცნობითი ხასიათის შეხვედრაა.[1]

ბოლო დროს, გლობალური კომპანიები განიცდიან სამუშაო ძალის უკმარისობას, მაშინ როდესაც კვალიფიციურ კადრებზე დიდი მოთხოვნაა. პრობლემის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კვალიფიციურ თანამშრომლებს შეუძლიათ უბრალოდ შეაბიჯონ ორგანიზაციებში და მოითხოვონ მათთვის სასურველი ანაზღაურება. კომპანიებიც თანახმა არიან, რომ მიიღონ მათი პირობები.

ადამიანური რესურსების წყაროები. არსებობს ადამიანური რესურსის ოთხი ძირითადი წყარო:

1. მშობლიური ქვეყნის წარმომადგენლები;
2. მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლები;
3. მესამე ქვეყნის წარმომადგენლები;
4. სამშობლოში დაბრუნებულები.

მრავალი კომპანია ასევე ახდენს მათი გლობალური ოპერაციების სხვადასხვა ასპექტების აუთსორსინგს და ამით ხიბლავს დროებით დასაქმებულებს.

მშობლიური ქვეყნის წარმომადგენლები - ასეთები არიან მენეჯერები, იმ ქვეყნის მოქალაქენი, სადაც არის განთავსებული სათავო ოფისი. ამ მენეჯერებს ზოგადად **ექსპატრიატებს** უწოდებენ, რაც აღნიშნავს იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ ან მუშაობენ თავიანთი მშობლიური ქვეყნის გარეთ.

მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლები - ასეთებს მიეკუთვნება ადგილობრივი მენეჯერები, რომლებიც დაქირავებულნი არიან ორგანიზაციისგან თავისივე ქვეყანაში.

მესამე ქვეყნის წარმომადგენლები - მოცემულ კატეგორიაში

1 ნიჟარაძე დ., კულტურული თავსებურებების გავლენა კომუნიკაციის პროცესზე საერთაშორისო ფირმებში, ეკონომიკა და ბიზნესი, თსუ, N6, 2013, გვ.145

მოიაზრება მენეჯერები, რომლებიც არიან მოქალაქეები არა იმ ქვეყნებისა, სადაც მათი სათაო ოფისია, არამედ იმისა, რომელშიც ისინი არიან დანიშნულნი. სამუშაოდ ხელმისაწვდომობა მესამე ქვეყნების მენეჯერებისა არაა ისე ფართო, როგორც მშობლიური ან მასპინძელი ქვეყნის მენეჯერებისა. ბოლო წლებში გამოჩნდა ახალი ტერმინი **- ინპატრიატი,** რომელიც არის მასპინძელი, ან მესამე ქვეყნიდან სამშობლოში დაბრუნებული ინდივიდი. იაპონურ ფირმებშიც კი იწყებენ ინპატრიატებზე დაყრდნობას, რათა ისინი დაეხმარონ ამ ფირმებს საერთაშორისო ოპერაციებში.

რაც შეეხება **ექსპატრიატებს,** მათი შერჩევის ძირითადი კრიტერიუმებია: ადაპტაციის უნარი; ტექნიკური კომპეტენცია; ადამიანებთან ურთიერთობების უნარი; სურვილი, იმუშაოს საზღვარგარეთ; საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება; მასპინძელი ქვეყნის კულტურის გაგება-გათვითცნობიერება; აკადემიური კვალიფიკაცია; იმ ქვეყნის ენის ცოდნა, სადაც უწევს მუშაობა; იმ ქვეყნის კულტურის ცოდნა, სადაც უწევს მუშაობა.

Harvard Business Review-ს კვლევის მიხედვით, მულტინაციონალური კომპანიები ზოჯერ დგებიან პრობელმის წინაშე, რადგან მენეჯერების ნაწილი პროფესიული და პირადი ცხოვრების მიზნებიდან გამომდინარე უარს აცხადებენ უცხო ქვეყანაში გამგზავრებასა და მუშაობაზე.[1]

ადამიანური რესურსების შერჩევის საერთაშორისო პროცედურა. საერთაშორისო დონეზე, შერჩევის პროცესი შედგება ხუთი განსხვავებული ასპექტისგან:

- შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება;
- განცხადებების და რეზიუმეების განხილვა;
- გასაუბრება;
- ტესტირების ადმინისტრირება;
- შერჩეული კანდიდატისთვის შეთავაზების გაკეთება.[2]

1 https://hbr.org/2014/02/a-successful-international-assignment-depends-on-these-factors

2 https://open.lib.umn.edu/humanresourcemanagement/chapter/5-1-the-selection-process/

გარდა შერჩევის ინსტრუმენტებისა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების სწავლება და მოტივაცია. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლების წახალისებისას, მენეჯერები ცდილობენ დაეყრდნონ ფართოდ მიღებული თეორიებს, მიდგომებს და მეთოდებს, ამავე დროს ცდილობენ გაითვალისწინონ ორგანიზაციული კულტურა, ღირებულებები და მენტალიტეტი ტიპიური თითოეული ქვეყნისთვის[1]

მსოფლიო კლასის ორგანიზაციები ყოველთვის ზრუნავენ საკუთარი მულტიკულტურული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, გადამზადებაზე, წინსვლაზე და შესაბამისი გამოცდილების მიღების შემდეგ, მათთვის ძალაუფლებისა და ინიციატივის გადაცემაზე.[2]

დასკვნა

გლობალური კომპანიებისთვის, მულტიკულტურულ გარემოში ადამიანური რესურსების მართვის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს ფირმის მაღალი კომპეტენციების მოქნე პერსონალით უზრუნველყოფა. მაღალკვალიფიციური და ნიჭიერი თანამშრომლების სწორად შერჩევა და განვითარება ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, იქნება ეს ადგილობრივი, თუ საერთაშორისო ფირმა. პერსონალის მართვის პროცესში კი მათი მხრიდან კულტურული ფაქტორების გაცნობეირება კვლავ კრიტიკულად მნშვნელოვან ამოცანად რჩება.

---

1 Chokheli, Eka (2014) The peculiarities of the employee behavior management in multinational companies (The case of Georgia). In: Proceedings of IAC-EMM 2014: International Academic Conference on Economics, Management and Marketing in Prague. MAC Prague consulting Ltd. P.4

2 ნიჟარაძე დ., მრავალეროვნული კომპანიების კონკურენტუნარიანობა გლობალური მასშტაბით, ეკონომიკა და ბიზნესი, თსუ, N1, 2012, გვ. 114

ლიტერატურა:

1. ნიჟარაძე დ., კულტურული თავსებურებების გავლენა კომუნიკაციის პროცესზე საერთაშორისო ფირმებში, ეკონომიკა და ბიზნესი, თსუ, N6, 2013

2. ნიჟარაძე დ., მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებები მრავალეროვნულ კომპანიებში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები, შრომების კრებული, თსუ, 3-4 ოქტომბერი, 2014

3. ნიჟარაძე დ., მრავალეროვნული კომპანიების კონკურენტუნარიანობა გლობალური მასშტაბით, ეკონომიკა და ბიზნესი, თსუ, N1, 2012

4. 2017 Trends in Globa Employee Engagement, Aon Hewitt, UK, 2017

5. Chokheli, Eka (2014) The peculiarities of the employee behavior management in multinational companies (The case of Georgia). In: Proceedings of IAC-EMM 2014: International Academic Conference on Economics, Management and Marketing in Prague. MAC Prague consulting Ltd.

6. Global Diversity and Inclusion: Perceptions, Practices and Attitudes, the Economist, (SHRM),USA, 2009

7. Oxforde Eonomics, Global Talent 2021, How the new geography of talent will transform human resource strategies, UK, 2012

8. https://hbr.org

9. https://open.lib.umn.edu

10. https://www.forbes.com

REFERENCES:

1. Nizharadze, D. (2013) The characteristics of the cultural impact on communication process in the international firms. Economics and Business (6);

2. Nizharadze, David (2014) Managerial decision-making characteristics in multinational companies. In: International Scientific-Practical Conference: “Modern Business: Tendencies and Challenges”. TSU Publishing House, Tbilisi

3. Nizharadze, D. (2012) Competitiveness of multinational company on a global scale. Economics and Business (1)

4. 2017 Trends in Globa Employee Engagement, Aon Hewitt, UK, 2017

5. Chokheli, Eka (2014) The peculiarities of the employee behavior management in multinational companies (The case of Georgia). In: Proceedings of IAC-EMM 2014: International Academic Conference on Economics, Management and Marketing in Prague. MAC Prague consulting Ltd.

6. Global Diversity and Inclusion: Perceptions, Practices and Attitudes, the Economist, (SHRM),USA, 2009

7. Oxforde Eonomics, Global Talent 2021, How the new geography of talent will transform human resource strategies, UK, 2012

8. https://hbr.org

9. https://open.lib.umn.edu

10. https://www.forbes.com

A MULTICULTURAL CONTEXT OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT

David Nizharadze
International Black Sea University,
Affiliated Associate Professor, PhD

RESUME

Nowadays together with the growth of the function of international companies and world's economic processes the most important is the study of multicultural peculiarities of the employed human resources. For instance, global firms must develop adequate mechanisms for the selection, motivation and development of human resources in order to prepare their own personnel for transferring foreign branches or subsidiary companies for official purposes. Besides, it is possible to use the practices approved by the world class organizations in their enterprise.

Key words: International Company, Human Resources, Multiculturalism, Globalization, Global Engagement Index, Expatriate, Inpatriate.

შრომითი საქმიანობის მოტივირება და სტიმულირება პერსონალის მართვაში

ეკა ჯაფარიძე,
სტუ დოქტორანტი
ციალა ლომაია,
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

განხილულია პერსონალის მართვის ისეთი ტერმინები, როგორიცაა „მოტივაცია“, „შრომის სტიმულირება“. განსაზღვრულია ცნებები, საკვანძო კონცეფციები, მოტივაციისა და სტიმულირების დანიშნულება, მოტივის ფორმირების პროცესი, თანამშრომელთა ტიპები, მოტივისა და სტიმულის განსხვავება, ხელმძღვანელის ადგილი თანამშრომლის მოტივირებისა და სტიმულირებს პროცესში.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, სტიმული, სტიმულირების მეთოდები, მოტივაციის მიზნები.

ძირითადი ტექსტი

პერსონალის მართვის თეორიაში მოტივაცია წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო ცნებას, ვინაიდან უბიძგებს პერსონალს შრომისკენ და პარალელურად აკმაყოფილებს მშრომელების პირად მოთხოვნილებებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზაციას საკუთარი მიზნების მიღწევაში.

მოტივაცია - ეს არის მდგრადი მოტივების ერთობლიობა, რომლებიც განისაზღვრება პიროვნების ხასიათითა და მისი საქმიანობით. [1] ხოლო შრომის პროცესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცნება ხასიათდება, როგორც მუშაკთა ქმედებები საკუთარი მატერიალური და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ორგანიზაციების მიზნების მიღწევასთან, ვი-

ნაიდან მუშაკი ორგანიზაციის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტია.

რაც შეეხება სტიმულს, აღვნიშნავთ, რომ ეს არის ქმედების მიზეზი, ანუ დაინტერესება რაიმეს გასაკეთებლად. [4] შრომის სტიმულირება წარმოადგენს ქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია, მეტწილად, მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ არსებობს სხვა ფორმულირებაც: მოტივი - ეს არის თავისებური ბიძგი, რომელიც იწვევს რაიმე შინაგანი მიზნის მიღწევის სურვილს; ხოლო სტიმული კი არის სასურველი ობიექტი. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოტივაცია შინაგანი პროცესია , სტიმულირება კი - გარეგანი.

პერსონალის მართვის თვალსაზრისით, უნდა გამოვყოთ ცოდნა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია მოტივაციის პროცესის მართვა და თანამშრომელთა სტიმულირება, ანუ ის, თუ როგორ აღწევს მმართველი ამ პროცესების მართვის ეფექტიანობის სასურველ დონეს. [3]

დღეს ყველაზე დიდი პოპულარობით მოტივაციის ორი კონცეფცია სარგებლობს: შინაარსობრივი და პროცესული. შინაარსობრივი თეორიები ახდენენ იმის იდენტიფიცირებას, თუ რა შიდაპიროვნული ან შიდაკოლექტიური ძალები უბიძგებს ადამიანს კონკრეტული ქმედების ჩასადენად. პროცესული თეორიები კი აღწერს მოტივაციის პროცესებს.

მანამ, სანამ რაიმეს ვიტყოდეთ მოტივაციისა და სტიმულირების მართვაზე, აუცილებელია, განვსაზღვროთ მათი მიზნები. ამისათვის აუცილებელია მოქმედი მხარეების მხედველობაში მიღება, ესენია დაქირავებული და დამსაქმებელი.

დამსაქმებლისთვის მოტივაციისა და სტიმულირების მიზანს წარმოადგენს საკუთარ ორგანიზაციაში მიღებული ეკონომიკური ეფექტი, ხოლო დასაქმებულისათვის - სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური ფასეულობის მიღება.

ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება შრომის იმ რაოდენობითა და ხარისხით, რომლის გასაცემად მზადაა დასაქმებული, თუ არსებობს გარკვეული სახის სოცია-

ლური ფასეულობები, რომლისათვისაც ეს გაკეთდება. ანუ, საუბარია სოციალურ ეფექტიანობაზე. სოციალური ეფექტიანობის მიღწევა შესაძლებელი ხდება მაშინ, როცა ორგანიზცია იმყოფება სტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობაში და ღებულობს მოგებას, რომელიც სოციალური ამოცანების გადაწყვეტისა და დასაქმებულთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა[5]. ამიტომ მოტივაციისა და სტიმულირების მართვა პერსონალის ეფექტიანი მართვის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც იგულისხმება ორგანიზაციისა და დასაქმებულთა მიზნების მიღწევის ხარისხის შეფარდება პერსონალზე გაწეულ დანახარჯებთან. ორგანიზაციის პერსონალის მოტივაციისა და სტიმულირების მართვის დროს აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული მუშაკისა და ორგანიზაციის თანამშრომლობის ვადა. ორგანიზაციის, ხელმძღვანელობის, თანამშრომლების მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გამომუშავდეს ისეთი ურთიერთობები, რომლებიც აკმაყოფილებს მხარეთა ინტერესებს, რისთვისაც გამოიყენება მუშაკების სტიმულირება, ხოლო ისინი კი, თავის მხრივ, ხელმძღვანელობენ პირადი მოტივებით, რომლებიც უბიძგებს მათ მუშაობისკენ.

მიღებულია ჩაითვალოს, რომ ხელმძღვანელებს შემუშავებული აქვთ თანამშრომლების სტიმულირების ორი სახეობა - მოკლე და გრძელვადიანი. გრძელვადიანი დაკავშირებულია დამსაქმებლისა და დასაქმებულების საერთო მიზნებთან (რისთვისაა მოსული ორგანიზაციაში, როგორი მისი პირადი მიზნები და სხვა). მოკლევადიანი მიზნები კი თანამშრომლის კონკრეტულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული (გეგმა-დავალებების, პროექტების შესრულება და სხვა).

გრძელვადიან მოტივაციასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ მას მიყავს დასაქმებული ამა თუ იმ დამსაქმებელთან, ხელს უწყობს პროფესიული მიზნების მიღწევას. მოკლევადიანი მოტივაცია ზემოქმედებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. დამსაქმებლის მიზნებიდან გამომდინარე, საჭირო ხდება დასაქმებულების გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სტიმულირება. ამ დროს ორივე მხარეს ეცოდინება, რას ელო-

დოს და რისთვის რას მიიღებს სამაგიეროდ. წარმოიქმნება ერთმანეთის ორმხრივი საჭიროება. დამსაქმებელს არ ჭირდება იმის თქმა, რამდენად არის იგი დაინტერესებული თანამშრომელში, თუკი ცოტას უხდის მას, მისი დამოკიდებულება უსიტყვოდაც ნათელია. სწორად შერჩეული სტიმულირების მეთოდები კი არ წარმოშობს ასეთ წინააღმდეგობებს.

განვსაზღვროთ, რა ახდენს ზეგავლენას მოტივაციასა და სტიმულირებაზე. თანამშრომლის მოტივაციაზე ზეგავლენას ახდენს მოტივაციის ფაქტორები. ისინი შეიძლება იყოს შიდა ან გარე. შიდა ფაქტორებია შემოქმედებითობა, თვითრეალიზაცია, საკუთარი თავის დამკვიდრება, შესრულებული სამუშაოთი მიღებული კმაყოფილება; გარე ფაქტორებს კი განეკუთნება შემოსავალი, კარიერული ზრდა, აღიარება, საზოგადოებრივი მდგომარეობა. ამდენად, შიდა ფაქტორები განსაზღვრავს არსებული პირობებითა და ობიექტებით კმაყოფილებას, ხოლო გარე - ჯერ მიუღწეველი ფასეულობებისა და პირობების მიღებას. [2]

მოტივაციის საშუალებების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია იმ თავისებურებების მხედველობაში მიღება, რომლებიც თანამშრომელთა სამი არსებულიდან ართ-ერთი ტიპისადმი მიკუთნების საშუალებას იძლევა:

1. თანამშრომლები, რომლებიც მეტწილად ორიენტირებულნი არიან შრომის შინაარსზე და მნიშვნელობაზე;

2. თანამშრომლები, რომელნიც ორიენტირებულნი არიან ფინანსურ და სხვა მატერიალურ ფასეულობებზე;

3. თანამშრომლები, რომლებშიც სხვადასხვა ფასეულობის მნიშვნელობა დაბალანსებულია.

თანამშრომელთა სტიმულირება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. საკვანძო ფაქტორად შემოსავალი რჩება; არამატერიალურ საშუალებებს განეკუთნება ინიციატიურობა, მოქნილი სამუშაო გრაფიკი, ჯგუფური მუშაობა. გამომდინარე აქედან, პერსონალის სტიმულირება წარმოადგენს იმ ზომების ერთობლიობას, რომელიც მიიღება მისთვის მისაღები შრომის პირობების შექმნისა და პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. ვერავინ უარყოფს იმას, რომ ეს მეთოდები ორ-

განიზაციის მიზნების მისაღწევადაც ვარგისია.

აღვნიშნავთ, რომ სტიმულირების მეთოდები უშუალოდ ზემოქმედებს თანამშრომლის მოტივაციაზე, ანუ მოტივაცია გაცილებით მაღალი იქნება, რაც უფრო კონკრეტულად არის შერჩეული, ანუ რაც უფრო ინდივიდუალურია. ამისათვის კი ხელმძღვანელი ზედმინევნით უნდა იცნობდეს საკუთარ პერსონალს, მათ მისწრაფებებსა და პირად მიზნებს.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამშრომლების კარგი ცნობა ვერ იხსნის ხელმძღვანელს ტიპიური შეცდომებისგან, თუ მას არ გააჩნია მუშაობის გამოცდილება და არ იცნობს მოტივაციისა და სტიმულირების საფუძვლებს. ჩემოვთვლით მსოლოდ რამოდენიმეს:

1. ყველა დეტალის გაუთვალისწინებლობა;
2. ურთიერთკავშირისადმი მზაობის არარსებობა;
3. საკუთარი ცოდნის ანაზღაურების მოლოდინები, ნაცვლად ცოდნის გამოყენებისათვის ანაზღაურების მოლოდინისა;
4. კრეატიულობის უქონლობა;
5. მართვის ავტორიტარული სტილი.

ამდენად, მოტივაცია და სტიმულირება შეუფასებელ როლს ასრულებს ხელმძღვანელისათვის პერსონალის მართვის პროცესში და, ამასთან დაკავშირებით, მას უნდა ახსოვდეს კონრეტული წესები, რომელთა შესრულება მნიშვნელოვნად გაზრდის მისი მართვის ეფექტიანობას. ჯერ ერთი, იგი მკაფიო მიზანს უნდა უსახავდეს თითოეულ თანამშრომელს; მეორე, გეგმავდეს მოტივაციისა და სტიმულირების ღონისძიებებს მოტივირების შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით; მესამე და უმთავრესი კი - ხელმძღვანელი უნდა გახდეს თანამშრომლებისათვის მაგალითი და თავი აარიდოს ზემოთ ნახსენებ შეცდომებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ა. აბრალავა, „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“, თბილისი, 2007, 715გვ.

2. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ., „მენეჯმენტის პრინციპები“, თბილისი, 2010, გვ. 707.

3. დ. ჩარკვიანი, თეორია, კვლევა, პრაქტიკა, თბილისი, 2001, გვ. 667

4. გარეთ რ. ჯონსი, ჯენიფერ მ. ჯორჯი „თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები." თბილისი, 2006. თარგმანი ინგლისურიდან. გვ. 350.

REFERENCES:

1. E. Baratashvili, L. Takalandze, A. Abralava, Management and Administration /In Georgian/ Tbilisi, 2010, p-715

2. E. Baratashvili, L. Kokiauri, The Principles of Managenebt, /In Georgian/ Tbilibi, 2010, P-707

3. D. Charkviani, Theory, Research, Practice /In Georgian/ Tbilisi, 2001, p -667

4. G. Johns, J. George, Modern Management Basics /In Georgian/ Tbilisi, 2006. P- 350

STIMULATION AND MOTIVATION OF LABOR ACTIVITIES IN THE PERSONNEL MANAGEMENT

Eka Japaridze
The Doctoral Student of GTU
Tsiala Lomaia
Doctor of Economics, The Associate Professor of GTU

RESUME

In the article, the terms of the sphere of personnel management such are "motivation" and "stimulation of labor activity" are considered. The key concepts, the purpose of motivation and stimulation, the process of motive formation, the types of employees, the differences in motivation and incentives, the place of the leader in the process of motivating and stimulating the employees, are defined.

Key words: Motivation, stimulus, stimulation methods, motivation goals.

სამედიცინო სერვისის ხარისხის მენეჯმენტი, როგორც კვლევის ობიექტი

ელენე ჩარკვიანი,
სტუ დოქტორანტი
ლელა კოჭლამაზაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ პროფესორი

რეზიუმე

განხილულია ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის კლება, რომელიც პირველ რიგში ბავშვებისა და რეპროდუქტიული ასაკის ქალების კლებამ გამოიწვია. ავტორი თვლის, რომ ამან განაპირობა დედობის და ბავშვების დაცვის ღონისძიებების პრიორიტეტულობა, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ხარისხიანი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ავტორს მიაჩნია, რომ ქალების ჯანმრთელობის შენარჩუნება და გაძლიერება წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას, ამავე დროს იგი მიუთითებს, რომ აუცილებელია ფაქტორთა იმ მრავალფეროვნების გათვალისწინება, რომლებიც გავლენას ახდენს ქალთა მოსახლეობის რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო სერვისი, ხარისხი, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა.

ძირითადი ტექსტი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის კლებამ (2007 წლიდან 2017 წლამდე - 676 500 ადამიანი[1]), პირველ რიგში ბავშვებისა და რეპროდუქტიული ასაკის ქალების შემცირება გამოიწვია და განაპირობა დედობის

1 საქსტატი, „მოსახლეობა“/ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

და ბავშვების დაცვის ღონისძიებების პრიორიტეტულობა, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ხარისხიანი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2025 წლამდე საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფციაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 24 ივნისის დადგენილებით N5586-IIს „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის" შესახებ, განსაზღვრულია ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ძირითადი ამოცანები[1]. მათ შორის უმნიშვნელოვანესია: ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის დონის შემცირება არა ნაკლებ ორჯერ, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და ამაღლება; მათ შორის რეპროდუქციული, ბავშვთა და მოზარდების ჯანმრთელობის ამაღლება, აგრეთვე შობადობის დონის გაზრდა და ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერება. გარდა ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ათასწლეულიის განვითარების ძირითად მიზნებს სწორედ დედებისა და ახალშობილების სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირება მიაკუთნა.

ქალების ჯანმრთელობის შენარჩუნება და გაძლიერება წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას, ამავე დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ ფაქტორების მთელი მრავალფეროვნება, რომლებიც გავლენას ახდენს ქალთა მოსახლეობის საერთოსომატურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, რომელშიც შედის: არახელსაყრელი ეკოლოგიური და საწარმოო პირობები, სოციალურ – ეკონომიკური სტატუსი, ცხოვრების ნირის მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება საერთო და სანიტარული კულტურის დონით.

ამავე დროს არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსახლეობისათვის სამეანო–გინეკოლოგიური დახმარების რაციონალური ორგანიზება. მით უმეტეს, როცა არსებობს რიგი

1 საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი https://matsne.gov.ge/ka/document/view/3331420

გამოკვლევების, რომლებიც მოწმობს არსებულ დახმარებებში არსებული პრობლემებისა და დეფექტების მნიშვნელოვან რაოდენობას. ამიტომაა ძალზე მნიშვნელოვანი მათი ანალიზი, რათა შემუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება აღნიშნული სამედიცინო დახმარებების ხარისხის გაუმჯობესებასა და ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაძლიერებაზე.

ქალთა კონსულტაციები, რომლებიც წარმოადგენს ჯანდაცვის პირველ რგოლს, მოწოდებულია სამკურნალო–დიაგნოსტიკური და პროფილაქტიკური ღონისძიებების ძირითადი მოცულობის უზრუნველსაყოფად; ამბულატორიულ–გინეკოლოგიური დახმარების ღონისძიებების ჩატარების დროს, აღნიშნული ორგანიზაციები მოქმედებენ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად „სამეანო და გინეკოლოგიური პროფილის სამედიცინო დახმარების ჩატარების თანმიმდევრობის წესის შესახებ“[1]. აღნიშნული ბრძანება არ ეხება დამხმარე სარეპროდუქციო ტექნოლოგიების გამოყენებას.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა მოსახლეობის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია ქვეყანაში. საქართველოს მთავრობას კანონმდებლობითა და საპროგრამო დოკუმენტებით გამოხატული აქვს საკუთარი ნება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ კანონმდებლობის მაგალითებია: კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს დედათა და ბავშვთა უფლებებს; კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ, რომელიც ორსულებსა და მეძუძურ დედებს აძლევს უფლებას მიიღონ ინფორმაცია ნაყოფზე ან ახალშობილზე დაგეგმილი სამედიცინო ჩარევების შესაძლო ზეგავლენის შესახებ; კანონი ძუძუთი კვების ხელშეწყობისა და ხელოვნური საკვების რეგულირებადი გამოყენების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს საქმიანობას ძუძუთი კვების ხელშეწყობის კუთხით. გარდა

1 „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე / http://gov.ge/files/382_40786_970634_159130214.pdf

ამისა, საქართველოს მთავრობა მონაწილეობს რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმებაში, რომელიც ეხება პერინატალურ პერიოდში მეთვალყურეობას, ესენია: მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო გეგმა, კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, კონვენცია ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმების აღმოფხვრის შესახებ და ათასწლეულის დეკლარაცია.

საქართველო უფრო თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების სისტემაზე გადასვლისას მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს განიცდის და პარალელურად ახდენს სახელმწიფოს მიერ მართული ჯანდაცვის სისტემის ცალკეული ასპექტების პრივატიზებას. საქართველოს მთავრობა ამჟამად ახორციელებს რამდენიმე რეფორმას, რომელიც დაკავშირებულია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასთან - ოჯახის ექიმის ინსტიტუტის ფორმირებიდან დაწყებული საავადმყოფოების, მათი დაფინანსებისა და აკრედიტაციის რეორგანიზაციით დამთავრებული. ამ დროისათვის საქართველოს ჯანდაცვის სისტემა პირველადი, მეორადი და მესამეული დახმარების დონეებად არის დაყოფილი. ამის მიუხედავად, არ არსებობს ნორმები, რომლებიც მკაფიოდ გამიჯნავდა მომსახურებას სამედიცინო დახმარების დონეების მიხედვით. დაწესებულებების მიხედვით დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სექტორი საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში წარმოდგენილია 685 ამბულატორიით, 180 პოლიკლინიკით, 19 ქალთა კონსულტაციით, 50 სამშობიარო სახლითა და 47 საავადმყოფოს სამეანო განყოფილებით.

საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 4,6 მლნ-ს შეადგენს. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქვეყანამ მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები განიცადა, მათ შორის: 1989 წლიდან 2002 წლამდე მოსახლეობის 1 მლნ-ით შემცირება და მოსახლეობის დაბერება, რაც 1991 წლიდან 2001 წლამდე პერიოდში 65 წელს გადაცილებულ პირთა პროცენტული წილის 9,5%-დან 14,5%-მდე ზრდაში გამოიხატა.

საქართველოს მთავრობამ, როგორც ათასწლეულის განვითარების მიზნებზე ხელმომწერმა მხარემ, დადო პირობა, რომ

2020 წლისათვის 2000 წლის სტატისტიკურ მონაცემებთან შედარებით, ბავშვთა და ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობას ორი მესამედით, ხოლო დედათა სიკვდილიანობას სამი მეოთხედით შეამცირებს. საქართველოს მთავრობა ცდილობს ამ მიზნების მიღწევას სახელმწიფო პოლიტიკის რიგი ბერკეტების გამოყენებით, მ.შ.: ორსულთა უფასო გამოკვლევებით, ვაუჩერების სისტემით შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში მმობიარობის სუბსიდირებით, მაღალი რისკის ორსულთა მეთვალყურეობის დამატებითი დაფინანსებით და სამ წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული დახმარების სუბსიდირებით. [9; 205]

ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით, საქართველო დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის მხრივ ათასწლეულის განვითარების მიზნის მიღწევის გზაზე იმყოფება. დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2000-2017 წლებში 100 000 ცოცხლადშობილზე 49.2-დან 23.4-მდე შემცირდა. ამის მიუხედავად, სამწლიანი საშუალო მაჩვენებლების შედარება, რომლებიც არსებულ ტენდენციებს უფრო ზუსტად ასახავს, ნაკლებად ოპტიმისტურ სურათს იძლევა - 2013-2015 წლებში 2010-2012 წლებთან შედარებით დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა ყოველ 100000 ცოცხალშობილზე მხოლოდ 51.5-დან 40.3-მდე დაიკლო. ამავე პერიოდში იკლო ბავშვთა და ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობამ, რაც ძირითადად პოსტნეონატალურ პერიოდში ნაკლები სიკვდილიანობით არის განპირობებული. ამის მიუხედავად, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება საკმაოდ მცირეა, რათა დააკმაყოფილოს ათასწლეულის განვითარების მიზნებით 2017 წლისათვის ბავშვთა გადარჩენის მაჩვენებლებისთვის განსაზღვრული ნაციონალური სამიზნეები.

დღეს საქართველოში ჯანდაცვის სისტემაში ჩამოყალიბებულმა ახალმა სოციალურმა და ეკონომიკურმა რეალიებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები. აღნიშნულ ცვლილებათა ძირითადი მიმართულებები დაკავშირებულია სოციალური პოლიტიკის ლიბერალიზაციის საერთო ტენდენციებთან,

რომლებმაც თავი იჩინეს 1990–იან წლებში. წინა ეპოქაში გაბატონებული სახელმწიფო პატერნალიზმის იდეოლოგიის ნაცვლად დამკვიდრება დაიწყო სამედიცინო დახმარების, როგორც ადამიანის უფლებების რეალიზაციის შესახებ წარმოდგენამ. ადგილი ქონდა სამედიცინო მომსახურების კომერციალიზაციის პროცესებს. განხორციელდა ჯანდაცვის დაფინანსების საბიუჯეტო მოდელიდან საბიუჯეტო–სადაზღვევო მოდელზე გადასვლა, წარმოიშვა და განვითარდა ფასიანი სამედიცინო მომსახურების ბაზარი. ამ სისტემაში ფეხმძიმე ქალების და მშობიარეების საექიმო დახმარება წარმოადგენს მიმდინარე ცვლილებების ერთერთ საკვანძო სფეროს.

დღეს მოსახლეობის დაბერება და შობადობის დონის დაცემა შეადგენს საქართველოს ერთერთ უმწვავეს პრობლემას. ამის გამო პროექტების შემუშავება და განხორციელება, რომლიც მიმართულია დემოგრაფიული კრიზისის დასაძლევად წინ არის წამოწეული, როგორც სოციალური პოლიტიკის პრიოროტეტული მიმართულება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომავალი დედებისათვის სამედიცინო დახმარების დახვეწის ღონისძიებებს. ჯანდაცვის ეროვნულ საპროგრამო დოკუმენტებში ხაზგასმულია სამედიცინო სერვისებისა და, მათ შორის, მშობიარეთა დახმარების სახელმწიფო სისტემის მოდერნიზაციის მნიშვნელობა. პროგრამების ძირითად მიზნებს მიეკუთვნება სამედიცინო სერვისების ხარისხის ამაღლება, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის შენარჩუნება და გაძლიერება, დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება. კერძოდ, გათვალისწინებულია ორსულობის და მშობიარობის პერიოდის განმავლობაში ქალებისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების დამატებითი ანაზღაურება, სახელმწიფო და მუნიციპალურ სამედიცინო დაწესებულებებში.

ამგვარად, ქალების სამედიცინო მომსახურების განვითარების თანამედროვე ეტაპი პოზიტიური ცვლილებებით ხასიათდება, რომლებიც მოიცავს: დაწესებულებების მატერიალური ბაზის გაძლიერებას, ახალი პერინატალური ცენტრების მშენებლობას, ორსულებისა და მშობიარეებისათვის კანონმდებ-

ლობით დამტკიცებული სამედიცინო დახმარების გაწევის წესს.

ორსულებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევაში არსებული მიღწევების გვერდით, სფეროში არსებობს ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები. ამიტომ აუცილებელია ქალთა კონსულტაციებში ორსულთათვის სამკურნალო–საკონსულტაციო და პროფილაქტიკური დახმარების მოცულობის, ჰოსპიტალიზაციის დონის, აგრეთვე გამოკვლევებისა და მკურნალობის ხარისხის შესწავლა და მისი შემდგომი გაუმჯობესებისა და თანამედროვე მოთხოვნემთან მისი შესაბამისობის ზრდის მიზნით.

გამოყენებული წყაროები:

1. საქსტატი, „მოსახლეობა“, ხელმისაწვდომია: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

2. საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3331420

3. „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე/ ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/382_40786_970634_159130214.pdf

REFERENCES:

1. Geo.stat:http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

2. Parliament of Georgia, website: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3331420

3. The amendment to the Resolution No. 359 of the Government of Georgia, dated 22 November 2010: “Approval of Technical Rules for High-Risk Medical Activities.” http://gov.ge/files/382_40786_970634_159130214.pdf

QUALITY MANAGEMENT OF MEDICAL SERVICE AS A RESEARCH OBJECT

Elene Charkviani,
The Doctoral Student of GTU;
Lela Kochlamazashvili,
Doctor of Economics, Professor of GTU

RESUME

The article discusses the decrease in the number of Georgian population during the last decade, primarily due to the reduction of children and reproductive age of women. The author believes that this is the priority of maternal and child protection measures, the main purpose of which is to increase the living standards of the population and to provide access to qualitative medical care.

The author believes that maintaining and strengthening the health of women is an important task of the state policy, while at the same time it indicates that it is essential to consider the diversity of factors affecting the overall and reproductive health of women.

Key words: Medical service, quality, mothers and children health.

კომუნიკაციის როლი მენეჯმენტის სისტემაში და მათი მართვის აქტუალური პრობლემები

თამარ დუდაური
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

კომუნიკაციის მნიშვნელობა მენეჯმენტის სისტემაში განუხრელად იზრდება. თანამედროვე პირობებში კომუნიკაცია წარმოადგენს ყოველი კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველს. მენეჯმენტის სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ აქტუალური პრობლემების განხილვას, რომლებიც წარმოიშვებიან ორგანიზაციული კომუნიკაციის სფეროში და რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწობს კომუნიკაციის გარდაქმნას კომპანიის განვითარების სტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტორად.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, მენეჯმენტის სისტემა, ინფორმაცია, მართვის სისტემა, კომუნიკაციური პროცესი, საკომუნიკაციო პოტენციალი, კომუნიკაციის ეფექტიანობის შეფასება.

შესავალი

წლიდან წლამდე მენეჯმენტის სფეროს სპეციალისტები იჩენენ სულ უფრო მეტ ყურადღებას ორგანიზაციული კომუნიკაციებისადმი. მრავალი გამოკითხვა, რომლებიც ჩატარებულ იქნა ევროპასა და აშშ-ი, გვიჩვენებს, რომ არა მხოლოდ კომუნიკაციის სფეროს ექსპერტები არამედ კომპანიების ხელმძღვანელებიც აღნიშნავენ კომუნიკაციის მნიშვნელოვან როლს კომპანიის მიზნების მიღწევაში.

მმართველობითი საქმიანობის პროცესში, როგორც წამყვანი მეცნიერების კვლევებიდან ჩანს, მენეჯერები თავისი სამუშაო დროის 50-90%-ს ხარჯავენ კომუნიკაციაზე.[1] ვინაიდან ხელ-

მძღვანელი თავის მმართველობით საქმიანობას და ფუნქციებს ახორციელებს იმისათვის, რომ მოახდინოს კომპანიის მიზნების ფორმულირება და მათი მიღწევა, ამიტომ ინფორმაციის გაცვლა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მიზნების რეალიზაციის ხარისხზე. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ ინდივიდებისა და კომპანიის წარმატებისათვის აუცილებელია ეფექტიანი კომუნიკაცია. და პირიქით კომპანიაში ინფორმაციის გაცვლის ცუდად დაყენებული სისტემა აფერხებს კომპანიის განვითარებას.

ჩვენი ქვეყნის თანამედროვე პირობებში კომპანიების მდგრადი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ახალი წყაროების მოძიება. არამატერიალური ფაქტორები, ისეთები როგორებიცაა ინფორმაცია და კომუნიკაცია იძენენ სულ უფრო დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

თანამედროვე ეტაპზე კომპანიებში კომუნიკაციების მართვა ატარებს უსისტემო ხასიათს, უმეტეს შემთხვევაში არ ხდება ინფორმაციის სისტემატიზაცია, ამასთან დაკავშირებით არ ხდება კომუნიკაციური მოთხოვნილებებისა და კომპანიის განვითარების ხანგრძლივვადიანი ინტერესების გათვალისწინება. წარმოიშვება პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საკადრო პოტენციალის არასრულ გამოყენებასთან და ცვალებად გარემო პირობებზე თავისდროული რეაგირების უუნარობასთან. ამიტომ, ინფორმაციის მართვისა და კომუნიკაციის პრობლემები წარმოადგენენ აქტუალურს ქართული კომპანიებისათვის.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კომპანიებისათვის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს მართვის ოპერატიულობა, ვინაიდან ეკონომიკურმა კრიზისმა და ლარის გაუფასურებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა მათი პოზიციები ეროვნულ და უცხოურ ბაზრებზე. კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს თავისდროული რეაქცია ცვლილებებზე, რომლებიც მიმდინა-

რეობს გარე გარემოში. ამ მიზნების მიღწევისათვის მიზანშეწონილია კომპანიის ყველა რესურსის გამოყენება, მათ შორის არამატერიალურის, განსაკუთრებით როგორებიცაა, მენეჯმენტის სისტემის განუყოფელი ნაწილის, ინფორმაციის მოძიება და შიდა და გარე კომუნიკაციის გაუმჯობესება.

ინფორმაცია განუყოფლად დაკავშირებულია კომპანიაში კომუნიკაციურ პროცესებთან, რომლებზედაც დამოკიდებულია ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების ეფექტიანობა. თუ ირღვევა საინფორმაციო ნაკადები, კომპანიის შიგნით და გარე სამყაროსთან კავშირი, საფრთხის ქვეშ დგება თვით კომპანიის არსებობა. მხოლოდ ინფორმაციის მიღება არ არის საკმარისი. იგი სათანადო სახით უნდა გარდაიქმნას და დამუშავდეს, ე.ი. როდესაც წარმოიშვება კომუნიკაციური კავშირი, უზრუნველყოფილი ხდება კომპანიის საქმიანობის არსებობა და ეფექტიანობა.[2]

კომუნიკაციები კომპანიის მენეჯმენტის სისტემაში განიხილება როგორც მოვლენა და როგორც პროცესი. როგორც მოვლენა კომუნიკაციები ასახავენ დადგენილ ნორმებს, ასევე კომპანიაში ადამიანებს შორის ურთიერთობების პრინციპებსა და კანონზომიერებებს. ხოლო, როგორც პროცესი კომუნიკაციები წარმოადგენენ პერსონალის ურთიერთობის პროცესში ინფორმაციის გაცვლის განსაკუთრებულ ფორმას, როგორც კომპანიის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომელიც მიმართულია კომპანიის მიზნების მიღწევაზე, ასევე პერსონალის განვითარებაზე. ამრიგად, კომუნიკაციას გააჩნია ორი ძირითადი ფუნქცია: კომპანიისა და პერსონალის განვითარება.

კომუნიკაცია კომპანიის მართვის სისტემაში, ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების გარდა, წარმოადგენს მმართველობითი ზემოქმედების ინსტრუმენტს, რადგან ფაქტიურად იგი არის არა მხოლოდ საქმიანობის ფორმირების ხერხი, არამედ კორპორაციული კულტურის, ფასეულობების და სტრატეგიის ფორმირების საშუალება. კომუნიკაციის პროცესში, სხვადასხვა ორგანიზაციულ დონეზე, ხდება როგორც ცალკეული თანამშრომლების, ასე მთლიანად ორგანიზაციის საკომუნიკაციო

პოტენციალის ფორმირება. ამიტომ, დიდი მნიშვნელობის გამო კომუნიკაციები საჭიროებს მისი მართვის ინსტრუმენტების შემუშავებას.

თანამედროვე კომპანიებში ინფორმაციის გადაცემა მოიცავს ყველა ქვეგანყოფილებასა და საქმიანობის ყველა მხარეს, ამიტომ ნათელია, რომ კომპანიის საქმიანობა დამოკიდებულია კომუნიკაციური პროცესის ეფექტიანობის ხარისხზე. მაგრამ კომუნიკაციის პროცესში შესაძლოა მოხდეს ინფორმაციის დამახინჯება, არასწორად გაგება ან აღქმა. ინფორმაციის გაცვლის ეფექტიანობა მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მხარე გადასცემს ინფორმაციას, ხოლო მეორე მხარე კი სწორად აღიქვამს მას.

მართალია კომუნიკაციას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა კომპანიის წარმატებული საქმიანობისათვის, მაგრამ გამოკითხვებმა გვიჩვენეს, რომ 73% ამერიკელი, 63% ინგლისელი და 85% იაპონელი ხელმძღვანელებისა კომუნიკაციას თვლიან კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების გზაზე მთავარ დაბრკოლებად. კიდევ ერთი გამოკითხვის თანახმად 2000 სხვადასხვა კომპანიის 250 ათასი თანამშრომლისათვის ინფორმაციის გაცვლა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას კომპანიაში. ეს გამოკითხვები მოწმობენ, რომ არაეფექტური კომუნიკაციები წარმოადგენენ პრობლემების წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს.[3]

ჩვენი აზრით, საკვანძო პრობლემას ორგანიზაციული კომუნიკაციების მენეჯმენტის სფეროში წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტიანობისა და შედეგიანობის შეფასების პრობლემა. არსებული მრავალრიცხოვანი მეთოდოლოგიები ატარებენ გაფანტულ ხასიათს, არ ქმნიან ერთიან დასრულებულ სურათს და არ იძლევიან სრულ წარმოდგენას კომპანიის საკომუნიკაციო პოტენციალის შესახებ, ასევე კომპანიის საკვანძო მაჩვენებლებზე მისი ზემოქმედების შედეგს. ამას გარდა კომუნიკაციებს განიხილავენ კომპანიის მიზნებისაგან და მიღებული სტრატეგიისგან იზოლირებულად, რაც არ იძლევა კომუნიკაციების მართვის კომპანიის სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემაში

ინტეგრირების საშუალებას.

კომუნიკაციების მართვაში ერთ-ერთ მუდმივ ტენდენციას წარმოადგენს არაფორმალიზებული მიდგომიდან თანდათან გადასვლა ფორმალიზებულ მიდგომაზე. სულ უფრო ხშირად კომუნიკაციებს განიხილავენ როგორც ფაქტორს, რომელიც ექვემდებარება რაოდენობრივ გაზომვას, უფრო მეტიც, ხდება კომპანიის ორგანიზაციული კომუნიკაციის შეფასების პროცედურების გართულება, ვინაიდან ეფექტიანობისა და შედეგიანობის მკაფიო კრიტერიუმების არსებობა საშუალებას მოგვცემს კომუნიკაციებს მივუსადაგოთ მართვის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის დაგეგმვა და კონტროლი.

ეფექტიანობისა და შედეგიანობის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება საშუალებას მოგვცეს კომუნიკაციებისათვის გამოვიყენოთ სტრატეგიული მართვის ელემენტები, რომელთა მთავარი პრინციპი უნდა გახდეს საკომუნიკაციო სტრატეგიის კომპანიის მიზნებთან შესაბამისობა.

განვიხილოთ კომუნიკაციის მართვის პროცესი, როგორც შვიდი თანმიმდევრული ეტაპი (იხ. ნახ. 1).

კომუნიკაციის მართვის მოცემული ალგორითმი შეესაბამება დემინგის მართვის ციკლის ძირითად ეტაპებს[4] და მის უწყვეტი სრულყოფის პრინციპს: საკომუნიკაციო სტრატეგიის ცალკეული ელემენტების რეალიზაციის შემდეგ ჩაატარონ შუალედური შედეგების ანალიზი და შეიტანონ კორექტივები.

კომპანიის ორგანიზაციული კომუნიკაციების მართვის ეფექტიანობის ძირითად მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიულ მიზნებზე მკაცრი ორიენტირება, თუ რამდენად მიუახლოვა კომპანია საკომუნიკაციო ღონისძიებებმა დასახულ მიზნებს.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციების მართვა ჩვენს ქვეყანაში გამოირჩევა თავისი სპეციფიკით. თუ უმრავლეს უცხოეთის კომპანიებში არსებობს კორპორაციული კომუნიკაციის განყოფილებები, ქართულ კომპანიებში მისდამი ინტერესი დაბალია.



ნახაზი. 1. კომუნიკაციის მართვის საერთოო მოდელი

დასკვნა

კომუნიკაცია ჩართულია მართველობითი საქმიანობის ყველა ძირითად სფეროში, ამიტომ მას შესაძლოა ვუწოდოთ დამაკავშირებელი პროცესი. კომპანიის კომუნიკაციის სისტემა წარმოადგენს მისი ორგანიზაციული განვითარების მართვის პროცესის ერთ-ერთ ფაქტორს და მოითხოვს მისი შესწავლისა და ფორმირებისადმი კომპლექსურ მიდგომას.

ამრიგად, კომუნიკაციების ჩართვა სამართავი ფაქტორე-

ბის რიცხვში კომპანიის ხელმძღვანელებს გადასცემს კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ქმედით ინსტრუმენტს, რომლის ეფექტიანად გამოყენების სარგებელი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს დანახარჯებს, გაწეულს კომუნიკაციების რეგულარული მართვის პრაქტიკაში დანერგვაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Universiti of Minnesota Libraries Publishing Edition. Principles of Management. 2015. Pp.493. https://open.lib.umn.edu/principlesmanagement/

2. Зигерт В. Л. Ланг. Руководить без конфликтов. М.: Экономика, 1990. Ст. 20.

3. Мескон М. Основы менеджмента / М. Мескон, М. Альберт, Ф. Хедоури – М. : «Дело», – 1999. – Ст. 223. http://institutiones.com/download/books/1472-osnovy-menedzhmenta-meskon.html

4. Deming W.E. Out of the Crisis. Cambridge, 1988.

THE ROLE OF COMMUNICATION IN THE MANAGEMENT SYSTEM AND THE ACTUAL PROBLEMS OF THEIR MANAGEMENT

Tamar Dudauri Academic Doctor of Economics, Associate Professor of Caucasus International University

RESUME

The importance of communication increases in the management system. In modern conditions communication is the basis of every company's vitality. In the management system the importance of consideration of the current problems that arise in the field of organizational communication and the solution of which can facilitate communication is a factor of strategic importance of the company development.

Key Words: Communication, management system, information management system, communication process, communication potential, communication efficiency assessment.

პერსონალის მართვის მეთოდები ბიზნესში

მერაბ ონიანი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ორგანიზაციის პერსონალთან მუშაობის სტრატეგია და ტაქტიკა მიზანშეწონილია განვიხილოთ, როგორც ერთიანი სისტემა. საკადრო პოლიტიკა იმ პრინციპების, წესების და ნორმების ერთობლიობაა, რომლებითაც ორგანიზაცია ხელმძღვანელობს პერსონალის შერჩევის, მომზადების და გადანაწილებისას.

პერსონალის მართვის ფუნქციების რეალიზებისთვის აუცილებელია იმ საბაზო პრინციპების სისტემის განსაზღვრა, რომლებიც პერსონალზე ზემოქმედებისა და პრობლემების ეფექტიანად გადაჭრის შესაძლებლობას უქმნიან მენეჯერს.

საკადრო პოლიტიკა ორგანიზაციის განვითარებისკენაა მიმართული. ისევე როგორც კომპანიის განვითარების სტრატეგია, პერსონალის მართვის სტრატეგიაც საწარმოს შიდა რესურსების, ტრადიციებისა და იმ შესაძლებლობათა გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს, რომლებსაც გარე საქმიანი გარემო სთავაზობს ამ კომპანიას.

საკვანძო სიტყვები:საკადრო პოლიტიკა, პერსონალის მართვა, მენეჯმენტი.

ძირითადი ტექსტი

კადრების მართვის მეთოდები – არის მენეჯერის პერსონალთან მუშაობის უნარების, პროცედურებისა და ტექნიკის ერთობა, რომელიც მიმართულია განსხვავებული განვითარებისა და დონის ორგანიზაციების საკადრო შემადგენლობის ფორმირებისაკენ.

კადრების მართვის მეთოდები ოთხ ჯგუფში ერთიანდებიან:

1. ორგანიზაციის კადრების ფორმირების მეთოდები;
2. პერსონალის შრომის უნარიანობის მხარდამჭერი მეთოდები;

3. საკადრო რეზერვის ფორმირების მეთოდები;

4. კადრების ოპტიმიზაციის მეთოდები.

განვიხილოთ ბოლო ორი ჯგუფის თავისებურებები.

საკადრო რეზერვების ფორმირების მეთოდები. აღნიშნულ მეთოდებს იყენებენ რეზერვის ტიპიდან გამომდინარე (საქმიანობის სახეობის, თანამდებობათა შეცვლის სიჩქარის მომზადების დონის მიხედვით).

განვითარების რეზერვი – აერთიანებს სპეციალისტების და ხელმღვანელების ჯგუფებს, რომლებიც პასუხს აგებენ ორგანიზაციის ხანგრძლივ და ეფექტურ ფუნქციონირებაზე. რეზერვის სიის ფორმირებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დოკუმენტური მონაცემების ანალიზი (ანგარიშების, ავტობიოგრაფიების და თანამშრომელთა ატესტაციის შედეგების). ინტერვიუ-პროფესიული მისწრაფებების, მოთხოვნილების, ქცევის მოტივების განსაზღვრისთვის და ა. შ.

თანამშრომელთა ქცევებზე დაკვირვება სხვადასხვა სიტუაციაში შესრულებული დავალებების შეფასება (1 წლიან პერიოდში).

კარიერის დაგეგმვის მეთოდები ორიენტირებულია პროფესიული განვითარების და სპეციალისტთა წინსვლის განსაზღვრაზე. ადამიანის პოტენციურ შესაძლებლობების ორგანიზაციის მოთხოვნებთან შედარების პროცესში. კარიერის განვითარების მეთოდები გვაძლევენ შედეგს თანამშრომელთა პროფესიული და თანამდებობრივი განვითარების თვალსაზრისით. პრესტიჟული და თანამდებობრივი პოზიციების ჩამონათვალი ორგანიზაციებში, რაც პროფესიონალის ოპტიმალურ განვითარებას აფიქსირებს მის მიერ გარკვეული პოზიციის დასაკავებლად არის კარიეროგრამა – წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ გზა უნდა გაიაროს სპეციალისტმა, რომ ფლობდეს აუცილებელ ცოდნას და უნარებს კონკრეტულ ადგილზე ეფექტური საქმიანობისთვის.

სტრუქტურის რეორგანიზაციის და შემადგენლობის ოპტიმიზაციის მეთოდები მიმართულია სამართავი ჯგუფების ფორმირებისკენ, საკადრო აუდიტის განხორციელება მოიცავს პე-

რსონალის შემცირების არადირექტიულ მეთოდებს, კრიზისის პირობებში პერსონალის მართვის და ორგანიზაციის რეფორმირების მეთოდებს.

მართვითი საშუალებების ფორმირების მეთოდები – დიფერენცირდება ჯგუფის განვითარების ეტაპებიდან გამომდინარე (ადაპტაცია, დაჯგუფება, კოოპერაცია საქმიანობის ნორმირება და ფუნქციონირება). საკადრო ან ორგანიზაციული აუდიტი, ან ორგანიზაციის სტრუქტურული და საკადრო პოტენციალის შესაბამისობის შეფასება მის მიზნებთან და განვითარების სტრატეგიებთან, ტარდება ორგანიზაციის განვითარებისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით. ამასთან ფასდება ორგანიზაციის რეალობის სამი ძირითად ასპექტი:

1. საკადრო პროცესები ან პერსონალთან მიმართებაში ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულება;

2. ორგანიზაციის წყობა (მისი სტრუქტურის) ან ძირითადი ელემენტების თანაფარდობა და თანადაქვემდებარებულობა, ორგანიზაციული კონფიგურაციის სიხისტის (სირბილის) ხარისხი.

3. პერსონალის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებელი.

ორგანიზაციულ-საკადრო აუდიტის განხორციელებისას პერსონალის მენეჯერმა უნდა განსაზღვროს ფლობს თუ არა ორგანიზაცია საკმარის ადამიანურ რესურსებს ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის, შეუძლია თუ არა პერსონალს საკმარისად ეფექტიანად მუშაობა არჩეული სტრატეგიის მიმართულებით. საკადრო შემადგენლობის შეფასება მოიცავს:

1. საკადრო შემადგენლობის დაკომპლექტებულობის შეფასებას მთლიანობაში და მართვის დონის მიხედვით;

2. პერსონალის მომზადების დონის შესაბამისობის შეფასება საქმიანობის მოთხოვნებთან;

3. საკადრო შემადგენლობის სტრუქტურის ანალიზი ტექნოლოგიის მოთხოვნების და თანამდებობების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში;

4. საკადრო შემადგენლობის სტრუქტურის ანალიზი სოციალურ დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით;

5. კადრების მოდინების შეფასება.

საკადრო პოტენციალის შეფასება ითვალისწინებს მართვითი პერსონალის ძირითადი ორიენტაციის დიაგნოსტირებას ამოცანაზე ან ურთიერთობებზე. ხელმძღვანელის ორიენტაცია ამოცანაზე დაკავშირებულია იმის გათვალისწინებასთან, რომ ჯგუფს შეუძლია ეფექტური ფუნქციონირება თუ იქნება მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი, ორიენტირება ურთიერთობებზე, რომლის დროსაც ნებისმიერი ამოცანა შეიძლება გადაწყდეს ჯგუფის მიერ, თუ მასში შექმნილია ოპტიმალური სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. არსებობს ნდობით დამოკიდებულება, დომინირებს პარტნიორობა. ორგანიზაცია ეფექტურად ფუნქციონირებს თუ უმაღლეს დონეზეა წარმოდგენილი მმართველები და ხელმძღვანელები საშუალო დონეზე – ადმინისტრატორები და ორგანიზატორები დაბალ დონეზე – ხელმძღვანელები.

საკადრო პოტენციალის მობილიზაციის პროცესი კრიზისული დაწესებულების შემთხვევაში ფინანსური გაჯანსაღების გეგმის რეალიზებისას შეიძლება წარმოდგენილი იქნას ანტიკრიზისული მმართველობითი საქმიანობის ძირითადი ფაზების შემდეგი თანმიმდევრობის სახით:

1. აგიტაციის ფაზა:

– პერსონალისთვის „სტრატეგიული დისკომფორტის“ შეგრძნების შექმნა, იმ ფაქტის გაცნობიერებით, რომ მუშაკთა პირადი ბედი დამოკიდებულია დაწესებულების (ორგანიზაციის, ფირმის) ბედზე და განპირობებულია მართვის სტრატეგიებში რადიკალური ცვლილებებით.

– საიმედო და გავლენიანი ლიდერის იმიჯის ფორმირება;

– საორგანიზაციო კომუნიკაციის ორმხრივი არხების ჩამოყალიბება ანტიკრიზისულ მმართველსა და დაწესებულების კოლექტივს შორის.

2. პროფესიული ზრდის ფაზა:

– პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის პირობების შექმნა;

– ორგანიზაციაში სწავლების პროცესების მხარდამჭერი მექანიზმების ფორმირება კრიზისული დაწესებულების თანამშრომელთა თვითგანვითარების მაღალი მოტივაციის დონის უზრუნველყოფა;

– წარმოების (დაწესებულების) ახალი მისიის ფორმირება და მისი მომავლის ხედვა;

– ორგანიზაციულ კომუნიკაციაში სპეციალური ენობრივი საშუალებების, სიმბოლოების, მეტაფორების გამოყენება დაწესებულების მუშაკთა ეფექტური ურთიერთგაგებისა და ემოციური მხარდაჭერისათვის;

– საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების, სამეწარმეო კულტურის ათვისება თანამშრომელთა მიერ.

3. ინტეგრაციის ფაზა:

– ახალი როლური მოდელების შექმნა კრიზისული დაწესებულების კულტურაში საქმიანობის და ქცევის ახალი ნიმუშების განმამტკიცებელი ფუნქციით;

– პრაქტიკის მუდმივი გაცნობიერების გზით ამ მოდელების სრულყოფა და შემოქმედებითი განვითარება;

– არჩევა და რეალიზება პროექტების სერიისა, რომლებშიც წარმატებით ხორციელდება პერსპექტიული იდეები, რაც საშუალებას იძლევა გაერთიანდეს კრიზისული დაწესებულების ყველა მუშაკის ძალისხმევა.

რეორგანიზაციის განხორციელებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

იძულების მეთოდი ითვალისწინებს ძალის გამოყენებას პერსონალის მხრიდან ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის დასაძლევად. გამოიყენება დროის მწვავე დეფიციტის დროს და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა წინააღმდეგობის ბუნება ნათელია და ძალის ღიად გამოვლენა არაა საჭირო.

ადაპტური ცვლილებების მეთოდების ფარგლებში თანდათანობითი რეფორმირება უმნიშვნელო ცვლილებების გზით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხორციელდება. კონფლიქტები კომპრომისებით შეთანხმებებით და ხელმძღვანელობაში გადაადგილებებით წყდება. ეს მეთოდი ცვლილებების საშუალებას

იძლევა, როდესაც ცვლილებების მომხრეებს არა აქვთ ადმინისტრაციული ძალაუფლება, მაგრამ აქვთ ძლიერი მოტივაცია ახალი წამოწყებების დანერგვისათვის. მეთოდი სასარგებლოა როდესაც საშიშროება (ტენდენცია) ან კეთილსასურველი შესაძლებლობები იოლი წარმოსადგენია და ამიტომ განსაკუთრებული აჩქარება ზომების მისაღებად საჭირო არაა.

კრიზისული სიტუაციის მართვის მეთოდი შეიძლება იყოს გამოყენებული, როდესაც გარემოში ცვლილებები ემუქრება დაწესებულების (ორგანიზაციის) არსებობას. უპირველესი ამოცანა უმაღლესი ხელმძღვანელობისა არის – არა ბრძოლა წინააღმდეგობებთან, არამედ დეზორგანიზაციის ასაცილებელი ზომების რეალიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდრეევა ს., პერსონალის მართვის ფსიქოლოგიური საფუძვლები, სასწ. სახელმძღ. 1997;

2.კონოვალენკო მ., კადრების მართვა: ხელძღვანელთა დახმარებისთვის, როსტოვი, 2004.

REFERENCES:

1. Andreeva S., Phsycological Aspects of Personnel Management, Textbook, 1997;

2. Kobovalenko M., HR Management: For Directors, Rostov, 2004.

PERSONNEL MANAGEMENT METHODS IN BUSINESS

Merab Oniani
Phd Student of GTU

RESUME

It is relevant to discuss a strategy and tactics of working with a personnel within the organization as one whole system. The manpower policy is the unity of those principles, rules and norms by which the organization is guided during selecting, preparing and repartitioning of the personnel. In order to implement the management functions of the cadres, it is necessary to define the system of those basic principles that give a manager an ability to have an impact on the staff and to solve the problems effectively.

The manpower policy is pointed towards the development of the organization. Just like the development strategy of the company, the manpower management strategy too should be elaborated considering inner resources, traditions and those capabilities of the enterprise, which are offered by the outer business environment to this company.

Key words: Human Resource Management Policy, Personnel Management, Management, Strategy.

ტრანსნაციონალური კორპორაციები განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე

მაია გიორგაძე, ნათია ფერაძე
თსუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მკვეთრად იმატა კაპიტალის მოძრაობის ტენდენციამ. კაპიტალის გატანა (ექსპორტი) ამ დროიდან მოყოლებული ამყარებს ეკონომიკურ კავშირებს ქვეყნებს შორის. გაძლიერებული კავშირები კი იწვევს ეკონომიკურ ინტერნაციონალიზაციას. ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ) სწორედ ეკონომიკური ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. დღესდღეობით, ტრანსნაციონალური კორპორაციები გვხვდება როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე. ხშირად გამხდარა კამათის საგანი ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე არსებობა. შევეცდებით არგუმენტების მოყვანით დავამტკიცოთ ის, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების არსებობა განვითარებად ქვეყნებში არ არის ზიანის მომტანი მათი ეკონომიკებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალური კორპორაცია, მოგების მაქსიმიზაცია, ინტერნაციონალიზაცია, მიწოდება, მოთხოვნა.

შესავალი

ტრანსნაციონალური კორპორაციები ინტენსიურად მე-20 საუკუნის 60-იან წლებიდან ჩნდება. „მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება, ჯერ დაიწყო აშშ-ის კორპორაციების რაოდენობის ზრდა, შემდეგ დასავლეთ ევროპისა და იაპონიის. მეო-

ცე საუკუნის ბოლოსათვის კი ტრანსნაციონალური კორპორაციები ჰქონდათ არა მხოლოდ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, არამედ მესამე სამყაროს ქვეყნებსაც, განსაკუთრებით ლათინური ამერიკის და შორეული აღმოსავლეთის“ (1.გვ.49). რაც შეეხება ტერმინის კონცეპტუალიზაციას, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს მისი საყოველთაოდ მიღებული განმარტება. 1974 წელს კი გაეროს ტრანსნაცინალური კორპორაციების ცენტრის (UNCTC) შექმნის დღიდან ძირითადად დამკვიდრდა ტერმინი „ტრანსნაციონალური კორპორაცია“, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ იგი არის ფირმა/ საწარმო, რომლის საქმიანობაც კვეთს მშობელი ქვეყნის ეროვნულ საზღვრებს. ეს არის კორპორაცია, რომლის წარმოება და მომსახურება მსოფლიოს ერთზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი და ექვემდებარება თითოეული ამ ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობას.

ხშირად გამხდარა კამათის საგანი ტრანსნაცინალური კორპორაციების განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე არსებობა. ზოგი ფიქრობს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა დადებითად აისახება განვითარებად ქვეყნებზე, ზოგიც მტკიცედ აკრიტიკებს მათ საქმიანობებს და, ხშირ შემთხვევაში, დამღუპველსაც კი უწოდებს. საბოლოოდ მივდივართ იმ საკითხამდე, საერთოდ უნდა შედოიოდნენ თუ არა ტრანსნაციონალური კორპორაციები განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე.

არგუმენტი #1

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უფრო ზუსტად, ტრუმენის „ოთხი პაქტის“ წარდგენის შემდეგ მსოფლიომ ცნო ახალი ტერმინი - განვითარებადი ქვეყანა (developing country). ამ ტერმინით აღინიშნებოდა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ტერიტორიები (მაგ: ლათინური ამერიკა, აზია, აფრიკა). ტრუმენი განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნას. იგი მოუწოდებდა განვითარებულ ქვეყნებს, დაებანდებინათ კაპიტალი ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. ტრუმენი და მისი მომხრეები თვლიდნენ, რომ

განვითარებადი ქვეყნებისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა გამ-ხდარიყო მეცნიერული მიღწევებისა და ინდუსტრიული პროგ-რესის სარგებელი. ტრუმენის ამ ინიციატივით ნათლად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებში ახალი და მოწინავე პროდუქტისა თუ მომსახურების დანერგ-ვა. ტრანსნაციონალური კორპორაციები სწორედ ამგვარ სა-ქონელს ყიდის მსოფლიო ბაზარზე. ტნკ-ები მათი მენეჯერული ნიჭის, ფინანსური საშუალებებისა და ტექნიკური რესურსების წყალობით მუდმივად განახლებულ და ხარისხიან პროდუქტსა და მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს. ქვეყნის ეკონო-მიკაში ასეთი ძალების შეჭრით კი უმჯობესდება ამ ქვეყანაში არსებული საერთო ცხოვრების დონე. ამის დასტურად შეიძლე-ბა მოვიყვანოთ „აზიური ვეფხვების“ მაგალითი. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების (ჰონ-კონგი, სინგაპური, ტაივანი და სამხრეთ კორეა) ეკონომიკური აღმასვლის პერიოდი ემთხვევა ტრანსნა-ციონალური კორპორაციების გამრავლების ხანას (1960-1990). საერთაშორისო ფირმების შესვლითა და ახალი დარგების დანე-რგვით ამ ქვეყნებმა მიაღწიეს ისეთ ეკონომიკურ წარმატებასა და ადამიანურ კეთილდღეობას, რომ ეს ფაქტი დღესაც აღტა-ცებას იწვევს. ქვეყანის ადამიანური და ეკონომიკური კეთილ-დღეობა ერთმანეთის პირდაპირპროპორციულია, თუ ქვეყანას ძლიერი ეკონომიკა აქვს, მისი მოსახლეობაც მეტად კმაყოფი-ლია. ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბაზრის ლიბერა-ლიზაციითა და შედეგად, ეროვნულ ბაზრებზე ტრანსნაციო-ნალური კორპორაციების გაჩენით უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი ქვეყანაში.

არგუმენტი #2

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის სარგე-ბელზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ადგილო-ბრივი მოსახლეობის დასაქმების საკითხი. ისეთი ტრანსნა-ციონალური კორპორაციები, რომლებიც ორიენტირებულია წარმოებასა და მომსახურებაზე, საჭიროებს მომსახურე პერ-სონალის ყოლას. შესაბამისად, ქვეყნაში ჩნდება სამუშაო ადგი-

ლები თავად ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის. ახალი სამუშაო ადგილების გაჩენა ნამდვილად ძლიერი ბერკეტია ტრანსნაციონალური კორპორაციების სასარგებლოდ. ტრანსნაციონალურ კორპორაციების ფილიალებში დასაქმებულ პირებს ასევე აქვთ გარკვეული უპირატესობები, როგორებიცაა: ჯანმრთელობის დაზღვევა, წამახალისებელი გასამრჯელოები და ა.შ. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მომხმარებლების სწორად შერჩევის საკითხი. ტრანსნაციონალური კორპორაციები ითვალისწინებენ იმ გეოგრაფიულ არეალს, სადაც ხსნიან ფილიალებს, რადგან დააბალანსოს საქონელზე მიწოდება და მოთხოვნა. ისინი მომხმარებელზე ორიენტირებულები ხდებიან მოთხოვნის გაზრდის გამო. მაგალითად, სარეცხი და ჰიგიენური საშუალებების მწარმოებელი ამერიკული კომპანია Procter and Gamble ცდილობს მოიცვას მომხმარებელთა ყველა სოციალური ფენა. მისი საქონლის, მაგალითად სარეცხი ფხვნილის, ფასი იცვლება ძვირიანიდან იაფამდე (1,გვ.50).

არგუმენტი #3

არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები ზღუდავენ ქვეყნების ეკონომიკურ სუვერენიტეტს და ცდილობენ ჩაერიონ ეროვნული მთავრობების საშინაო საქმეებში, რათა განახორციელონ „მშობელი“ ქვეყნის საგარეო ინტერესები. ამ არგუმენტის საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაცია არ არის პოლიტიკური წარმონაქმნი და მას, როგორც სხვა ბიზნეს საწარმოს, აქვს მხოლოდ მერკანტილისტური მიზნები. ტრანსნაციონალური კორპორაციები მაქსიმალურად ორიენტირებულები არიან მოგებასა და საბაზრო წილის მატებაზე. ასეთ კორპორაციებს არ ჰყავთ, თუნდაც, პირდაპირი სამხედრო ძალა, რაც, შესაძლოა, სახიფათო აღმოჩნდეს მასპინძელი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ისინი ძირითადად ეყრდნობიან საბაზრო ძალაუფლებას. როგორც ვხედავთ, ტრანსნაციონალური კორპორაციების მიზნებში არ შედის ეროვნული ეკონომიკების დამოუკიდებლობის შეზღუდვა. ისინი ძირითად ყურადღებას

ამახვილებენ მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალებზე და მიისწრაფვიან მოგების მაქსიმიზაციისაკენ. იმ არგუმენტის საპირისპიროდ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები ცდილობენ მათი წარმომშობი ქვეყნის ინტერესების გავრცელებას, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ექვემდებარებიან მიმღები ქვეყნის იურისდიქციას. შესაბამისად, ვერც ერთი საერთაშორისო კომპანია ვერ განახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაშია. გარდა ამისა, მასპინძელი სახელმწიფო ტრანსნაციონალური კორპორაციების ბაზარზე შემოსვლის წინაპირობად აწესებს გადასახადებს. ეს გადასახადები, რასაკვირველია, რჩება ქვეყნის ბიუჯეტში. გარდა მომსახურების სფეროსა, უნდა აღვნიშნოთ ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი წარმოების სფეროშიც. როგორც ვიცით, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა აწარმოებს ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს. განვითარებადი ქვეყნიდან ნედლეული გადის განვითარებული ქვეყნის ბაზარზე. განვითარებული ქვეყანა ამ ნედლეულიდან აწარმოებს მზა პროდუქტს, რომელიც ბევრად მაღალფასიანია, ვიდრე ნედლეული. სწორედ ამიტომ, განვითარებადი ქვეყნები ხვდებიან ნედლეულის წარმოების უპერსპექტივობას და ცდილობენ მოიზიდონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოების სფეროში. განვითარებადი ქვეყნების ჩართვა მაღალგანვითარებული საქონლის წარმოების სფეროში მათთვის ნამდვილად ეკონომიკურად მომგებიანია.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, არაერთი არგუმენტი არსებობს ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარებად ქვეყნებში საქმიანობის სასარგებლოდ. ტრანსნაციონალური კორპორაცია არის ახალი სამუშაო კულტურის, განვთარებული ტექნოლოგიების, მომსახურებისა და თანამედროვე მენეჯერული უნარების ერთობლიობა. ასევე, მისთვის დაწესებული გადასახადების საფუძველზე იზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა. ამ სიკეთეებთან ერთად შედარებით ეკონომიკურად

ჩამორჩენილ ქვეყნის მოსახლეობას ეძლევა შესაძლებლობა მოიხმაროს ისეთი საქონელი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიო ბაზარზე.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება დღეს ნამდვილად წარმოუდგენელია ტრანსნაციონალური კორპორაციების გარეშე. პროდუქტების უმეტესობას, რომლებსაც ყოველდღიურად მოვიხმართ, მომსახურების სფეროებს, რომლებითაც ასევე ყოველდღიურად ვსარგებლობთ, გვაწვდის მსოფლიოს 10 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაცია. სწორედ ეს 10 კომპანია დგას ყველაფრის უკან. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში ტრანსნაციონალურ კორპორაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟვანია, ნ. 2006, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გვ.48-54.

2. O'Brien, R., Willams, M., გლობალური პოლიტიკური ეკონომიკა, Palgrave Macmillan, 2010, თავი 7.

3. Nplg.gov.ge, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი, ინტერნეტი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1217 , ბოლო ნახვა: 20 ნოემბერი, 2018.

4. United Nations ვებ-გვერდი, Transnational Corporations, VOLUME 17, NUMBER 3, DECEMBER 2008, ინტერნეტი: https://unctad.org/en/Docs/diaeiia20083_en.pdf , ბოლო ნახვა: 21 ნოემბერი, 2018.

REFERENCES:

1. Zhvania, N. 2006, International Political Economy, Tbilisi: Centre of Social Sciences, p. 48-54.

2. O'Brien, R., Willams, M., Global Political Economy, Palgrave Macmillan, 2010, Chapter 7.

Nplg.gov.ge web-page, Retrieved November 20, 2018 from

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1217 .

4. United Nations web-page, Transnational Corporations, VOLUME 17, NUMBER 3, DECEMBER 2008, Retrieved November 21, 2018 from https://unctad.org/en/Docs/diaeiia20083_en.pdf .

TRANSNATIONAL CORPORATIONS IN THE EMERGING MARKETS OF DEVLOPING COUNTRIES

Maia Giorgadze, Natia Peradze; Bachelor Students of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

RESUME

After the World War II there was a tendency of capital flows in the world. From this period of time Capital Export fosters economic ties between the countries. The strengthened cooperation then causes economic internationalization. The most notable example of economic internationalization is the presence of transnational (multinational) corporations. Nowadays, transnational corporations can be found in both developed and developing countries' market. It has often become a controversial issue to be or not transnational corporations in the emerging markets. In this following article, we will try out arguments to prove the fact that the transnational corporations in developing countries is not detrimental to their economies.

Key words: transnational corporation, profit maximization, internationalization, supply, demand.

რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობები აზიასთან: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ინდოეთი

ლიკა ილურიძე, ალექსანდრე შახნაზაროვი
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

აზიის რეგიონი, განსაკუთრებით კი **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ინდოეთი** ბოლო პერიოდში უფრო და უფრო საინტერესო ხდება **რუსეთის ფედერაციისათვის.** მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა რუსეთსა და ჩინეთს ბევრ რამეში არ მოსწონდეთ ერთმანეთი ან არ ესმოდეთ ერთმანეთის, ისინი მტკიცედ არიან დაკავავშირებული ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობებით. რუსეთისათვის ჩინეთი წარმოადგენს იარაღის გასაღების უმნიშვნელოვანეს ბაზარს, სავაჭრო ურთიერთობების მხრივ კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტიორია, რაზეც მიუთითებს ყოველწლიურად მზარდი ექსპორტ-იმპორტი. რუსეთისა და ჩინეთის ურთიერთობები უფრო მეტად დამყარებულია საერთო ინტერესებზე და არა საერთო ღირებულებებზე.

განსაკუთრებით კი ყირიმის ანექსიის შემდეგ, როდესაც დასავლეთმა სანქციები დაუწესა რუსეთს, მან მოახდინა თავისი **ეკონომიკის რეორიენტაცია** და **აქცენტი ჩინეთზე გადაიტანა.** ინდოეთი განსხვავებული ტიპის გამოწვევაა რუსეთისათვის,რადგან იგი ტრადიციულ პარტნიორად აღიქმება.მზარდი ეკონომიკური კავშირები კი,ისევე,როგორც ჩინეთთან,ინდოეთთანაც შესამჩნევია.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი-ჩინეთი, რუსეთი-ინდოეთი, ეკონომიკური ურთიერთობა, სავაჭრო ბრუნვა.

ძირითადი ტექსტი

რუსეთი-ჩინეთი: დღეისათვის **რუსეთსა და ჩინეთს** შორის ურთიერთობები ძირითადად **სამხედრო და ეკონომიკურ** სფეროებს მოიცავს. მათ შორის ურთიერთობების მოკლე ისტორი-

ას, რომ გადავავლოთ თვალი. ჯერ კიდევ 1949 წელს სსრკ ცნობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. 1950-53 წლებში ერთად დაეხმარნენ ჩრდილოეთ კორეას სამხრეთ კორეისა და დასავლელი პარტნიორების წინააღმდეგ. ამ ყველაფერთან ერთად მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობები დინამიურად ვითარდებოდა.

სსრკ-ჩინეთს შორის **სავაჭრო ურთიერთობებმა პიკს მიაღწია** 1958-1959 წლებში, 1960-1962 წლებში კი ვაჭრობა მნიშვნელოვნად შემცირდა. რაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო 60-იან წლებში სხვადასხვა სახის კავშირების შესუსტებით. კერძოდ, 1956-1966 წლებში მომხდარი სსრკ-ჩინეთის განხეთქილებით, რომელიც მომდინარეობდა ცივი ომის დროს დოქტრინული განსხვავებებით გამოწვეული მარსიზმ-ლენინიზმის(თეორილი პრინციპების) განსხვავებული ინტერპრეტაციით ,რაზეც დამატებით გავლენას ახდენდა თითოეული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები. 1969 წელს ამ ყველაფერმა თავის აპოგეას მიაღწია და მოხდა სასაზღვრო შეტაკებები.

დათბობის ხანა 80-იან წლებში დაიწო, 1982 წელს აღდგა ორმხრივი ურთიერთობები, 1989 წელს მიხეილ გორბაჩოვი ჩავიდა ბეიჯინგში და ურთიერთობების ნორმალიზაცია გამოაცხადა. ნორმალიზებული ურთიერთობები გაგრძელდა ელცინის დროს, 1992 წელს მიიღეს „მეგობრობის“ დეკლარაცია, 1996 წელს ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებას მოეწრა ხელი, ურთიერთობების დათბობამ თავისთავად დადებითი გავლენა მოახდინა რუსეთ-ჩინეთის ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

2000 წლის შემდეგ ჩინეთი მსოფლიოში უდიდესი იარაღის იმპორტიორი იყო და უმეტესწილად ეს რუსეთიდან ხდებოდა.

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას ხელს უწყობს **შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია,** რომელიც დაარსდა 2001 წლის 15 ივნისს ჩინეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის ქვეყნე-ბის ლიდერების მიერ. მისი შექმნა, პირველ რიგში, გამოწვეული იყო რუსეთ-ჩინეთის ინტერესებით, რომ გაძლიერებულიყო მათი

ურთიერთობა ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი ენერგეტიკის სფეროში. ის, რომ ჩინეთი რუსეთისათვის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორია მიუთითებს, რომ ჩინეთი რუსეთისათვის რიგით მეორე უდიდესი ექსპორტიორი, ხოლო პირველი იმპორტიორი ქვეყანაა. ჩინეთში რუსეთიდან დიდი რაოდენობით შედის მეტალები, ხე-ტყის მასალა, სხვადასხვა სახის მადანი, საკვები და სხვა. ხოლო, რუსეთში დიდი რაოდენობით შედის ჩინური ელექტრო ნაწარმი, იზრდება ავტომობილების რაოდენობაც, რომელმაც 2007 წელს 50,000 შეადგინა, ჩინეთიდან რუსეთში საკვები პროდუქტების იმპორტსაც ახდენენ. 2000-2008 წლებში ჩინეთსა და რუსეთს შორის ვაჭრობის მოცულობა 8 მლრდ-დან 28 მლრდ-მდე გაიზარდა. ვაჭრობის ბრუნვა რუსეთსა და ჩინეთს შორის 20.8 %-ით გაიზარდა და 2017 წელს 84.07 მილიარდი დოლარი შეადგინა. ორი მსხვილი პარტნიორი 2020 წლისთვის 200 მილიარდი დოლარით ვაჭრობის გაზრდას გეგმავს.1999 წლისათვის ორ ქვეყანას შორის **სავაჭრო ბრუნვა** 5.5 მილიარდი დოლარი იყო, 2006 წლისათვის კი უკვე 32 მილარდ დოლარამდე გაიზარდა.



დანართი #1

წყარო:http://carnegie.ru/2016/06/29/friends-with-benefits-russian-chinese-relations-after-ukraine-crisis-pub-63953

მთავარი მაინც **ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობაა,** რაზეც ცალსახად მიუთითებს დანართი #2. 1995 წლიდან 2002 წლამდე, ენერგეტიკული, როგორც რუსული ექსპორტის საერთო ღირებულების პროცენტული მაჩვენებელი ჩინეთში სამჯერ გაიზარდა. ჩინეთი სწრაფად ხდება ნავთობის ყველაზე დიდი მე-3 მომხმარებელი(აშშ-სა და იაპონიის შემდეგ). 2006 წელს 4 უმნიშვნელოვანეს პროექტს მოეწერა ხელი.

1) ტაიჩიდან სკოვოროდინომდე და შემდეგ ჩინეთის გავლით ნახოდკამდე ნავთობსადენის მშენებლობას;

2) დასავლეთ ციმბირის ვაკის გაზის საბადოებიდან, უნდა დაწყებულიყო და ქსინიანგის რეგიონის გავლით შანჰაიში ჩასულიყო 2 გაზსადენი;

3) სახალინ ვლადივასტოკის ხაზი იქნებოდა, რომელიც ასევე ჩინეთის ბაზრის გათვლით კეთდებოდა;

4) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და კერძო რუსულ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულება, რაც ჩინეთისათვის ასევე ნავთობპროდუქტების მიწოდებას გულისხმობდა.

ამჟამად რუსეთს ჩინეთში ნავთობი სამი გზით გააქვს: მილსადენებით ყაზახეთიდან და სკოვოროდინოდან. ასევე კოზმინოს პორტიდან. გარდა ამისა კოზმინოსა და სკოვოროდინოს საერთო მილსადენით, აღმოსავლეთ ციმბირის სისტემა - წყნარი ოკეანე.



დანართი #2

ბუნებრივი აირის მისაწოდებლად დაგეგმილი იყო ე.წ **„ციმბირის ძალის“** ამოქმედება, 40-წლიანი შეთანხმებას გაზის მარაგის შესახებ “გაზპრომსა” და “ჩინეთის ნავთობის ეროვნულ კორპორაციას” შორის დაიდო, რომელთან დაკავშირებითაც ინფორმაცია „ჩინეთის ნავთობის ეროვნულმა კორპორაციამ“ საკუთარ ვებგვერდზე გაავრცელა, სადაც ნათქვამი იყო, რომ 2018 წლიდან რუსეთი ჩინეთს 38 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიაწვდიდა. რამდენიმე წელში კი მილსადენს მოცულობის თითქმის სამჯერ გაზრდის შესაძლებლობა იქნებოდა. ჩინეთი მილსადენს საკუთარ ტერიტორიაზე ქვეყნის ჩრდილოეთში ააშენებდა, ხოლო რუსეთი კი მილებს ციმბირის მადნებიდან ჩინეთის საზღვრამდე მიიყვანდა.

მშენებლობის დასრულების შემთხვევაში, ეს რუსეთისთვის ყველაზე მასშტაბური ენერგო-პროექტი იქნებოდა. მილსადენის აშენებასთან დაკავშირებული მოალაპარაკებები 1990-ანი წლების ბოლოს დაიწყო და მის ბოლომდე მიყვანას ყოველთვის ფასთან დაკავშირებული უთანხმოება უშლიდა ხელს. ეს მილსადენი რუსეთს ისეთი მსხვილი ბაზრის ათვისების საშუალებას მისცემდა, როგორიც ჩინეთია და ეს მაშინ მოხდებოდა, როცა რუსეთი (დასავლეთის) სანქციებიდან გამომდინარე ზეწოლას განიცდიდა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მილსადენის მშენებლობა ძალიან დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, საბოლოოდ ვერ მოხდა მისი ამოქმედება.

რუსეთი-ინდოეთი: მჭიდრო ეკონომიკური,დიპლომატიური თუ სხვა ტიპის ურთიერთობა **„ცივის ომის“** დროსაც თვალშისაცემი იყო იმჟამინდელ სსრკ-სა და ინდოეთს შორის და დღესაც გრძელდება უკვე რუსეთსა და ინდოეთს შორის. 1947 წლის, დამყარდა რა დიპლომატიური ურთიერთობანი სახელმწიფოებს შორის, შემდეგ 1955 წელი შეგვიძლია მივიჩნიოთ მჭიდრო ორმხრივი კავშირის ათვლის წერტილად,როდესაც ჯერ ინდოეთის პრემიერ მინისტრი, ჯავაჰარლალ ნერუ ეწვია სსრკ-ს,შემდეგ კი-ნიკიტა ხრუშჩოვი ეწვია ინდოეთს საპასუხო ვიზიტით, სადაც კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა ინდოეთის სუვერენიტეტს დაუჭირა მხარი ქაშმირის რეგიონში.მნიშვნელო-

ვანი იყო რუსეთის პრეზიდენტის,ვლადიმერ პუტინის, ვიზიტი ინდოეთში 2000 წელს,ამ ვიზიტისას ხელი მოეწერა **დეკლარაციას რუსეთსა და ინდოეთს შორის სტატეგიული თანამშრომლობის შესახებ**.დოკუმენტი თანამშრომლობის განვითარებას შემდეგ სფეროებში მოიცავდა-პოლიტიკა(მათ შორის ორმხრივი ურთიერთობების განვათარება; ორმხრივი ვიზიტები და სხვა), სავაჭრო-ეკონომიკური სფერო,თავდაცვა, მეცნიერება, კულტურა.ცალკე აღნიშვნის ღირსია რუსეთის პრეზიდენტების ვიზიტები ინდოეთში,2000, 2004, 2007,2012 და 2014 წლებში პუტინის მიერ, 2008 და 2010 წლებში კი-მედვედევის თაოსნობით,რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელმწიფოებს შორის საქმიანი კავშირების არსებობას. 2004 წლის სამიტი უნდა გამოვყოთ,სადაც ლიდერებმა დააფიქსირეს მხარდაჭერა მულტილატერალური მიდგომების საერთაშორისო პრობლემებისადმი და უარყვეს ერთპოლუსიანი მიდგომა. აღსანიშნავია, რომ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სწორედ ეკონომიკური კავშირების დამყარებას სხვადასხვა სფეროში. 2018 წლის იანვარ-სექტემბერში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით რუსეთიდან ინდოეთში ექსპორტი $4,4-დან $5,5 მლრდ.-მდე გაიზარდა,იმპორტი ინდოეთიდან კი-$2,1-დან $2,3-მდე გაიზარდა, ორ ქვეყანას შორის **საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა**,შესაბამისად, $6,6-დან $7,8 მლრდ-მდე გაიზარდა .2017წლის ბოლოს წლიურმა ბრუნვამ $ 9,4 მლრდ. შეადგინა,რაც თითქმის 21,5% აღემატება გასული წლის იმავე მაჩვენებელს (Federal customs service of Russia, 2018).მნიშვნელოვანია,რომ მხარეები ორმხრივი წლიური ბრუნვის ზრდას $30 მლრდ-მდე იმედოვნებენ 2025 წლისთვის.2018 წელს ცნობილი გახდა,რომ ოქტომბრის ვიზიტის ფარგლებში ინდოეთის პრემიერ-მინისტრისა რუსეთში,ხელი მოეწერება $5 მლრდ. -იან კონტრაქტს რუსული „ეს-400“ ტიპის სისტემების შესაძენად (businessinsider,2018) , თუმცა ასეთი მსხვილი სამხედრო კონტრაქტი გამონაკლისს არ წარმოადგენს,რადგან რუსეთი ინდოეთის ყველაზე დიდი მიმწოდებელია იარაღისა.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ცდილობს აშშ-ს გავლენის დასაბალანსებლად რეგიონში გამოიყენოს ჩინეთი და ინდოეთი, განსაკუთრებით კი ჩინეთი, რომელთანაც სულ უფრო ავითარებს ეკონომიკურ კავშირებს, ჩინეთ მაინც დიდი **გამოწვევაა** მისთვის, რაც იმაში მდგომარეობს ჩინეთი აგრძელებს ეკონომიკურ ზრდას და აფართოვებს გავლენის სფეროებს(განსაკუთრებით **ცენტრალურ აზიაში,** სადაც რუსეთის თავისი ინტერესები აქვს); შესაბამისად, ძალთა ბალანსიც მის სასარგებლოდ იცვლება. ჩინეთი სულ უფრო აფართოებს თავის ეკონომიკას, რუსეთი კი შეწუხებულია იმით, რომ მას არა აქვს შესაძლებლობა, ეკონომიკურად გაეჯიბროს ჩინეთს და მოსკოვში იკვეთება შიში იმისა, რომ ის შეიძლება თანდათან ჩამოქვეითებული იყოს პეკინის მიერ. მაგრამ აღნიშნული შიშების მიუხედავად, აშკარაა, რომ ჩინეთი მისთვის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პარტიორია და დიდი ალბათობით ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. მზარდი ორმხრივი კავშირები მნიშნელოვან როლს ასრულებს რუსეთ-ინდოეთის ურთიერთობებზეც, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აღმავალი დინამიკა ეკონომიკური მაჩვენებლებისა და მაღალი ინტენსივობა პოლიტიკური კონტაქტებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩინეთ-რუსეთის ეკონომიკური კავშირები.

ინტერნეტი. http://www.chinadaily.com.cn/a/201809/12/WS5b98af72a31033b4f4655a01.html?fbclid=IwAR2PIGnMcdAc282a5nLeCPkY4MFQp60g3DPfPPowgE_xYa8ewy3bE7RO2uU. ბოლო ნახვა.25 ნოემბერი,2018.

2. რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობები.ინტერნეტი. https://thediplomat.com/tag/china-russia-relations/?fbclid=IwAR2D966gp2JubFfiGtF4GKcml7C4piFQYW_WAWSbuGeC0bvhnK4n2qNAdHE . ბოლო ნახვა.25 ნოემბერი,2018.

3. რუსეთი-ვაჭრობა შეიარაღებით. ინტერნეტი. https://www.businessinsider.com/trump-%20may-impose-sanctions-on-india-after-buying-russian-s-400-weapons%20-2018-10 . ბოლო ნახვა.25 ნოემბერი,2018.

REFERENCES:

1. China-Russia economic ties in fast lane. http://www.chinadaily.com.cn/a/201809/12/WS5b98af72a31033b4f4655a01.html?fbclid=IwAR2PIGnMcdAc282a5nLeCPkY4MFQp60g3DPfPPowgE_xY-a8ewy3bE7RO2uU .

2.Russia-China relations. https://thediplomat.com/tag/china-russia-relations/?fbclid=IwAR2D966gp2JubFfiGtF4GKcml7C4piFQYW_WAWSbuGeC0bvhnK4n2qNAdHE .

3. Russia is about to sell a US ally billions of dollars in weapons, and Trump may have to respond. https://www.businessinsider.com/trump-may-impose-sanctions-on-india-after-buying-russian-s-400-weapons-2018-10 .

RUSSIA'S ECONOMIC RELATIONS WITH ASIA: THE PEOPLE'S REPUBLIC OF CHINA AND INDIA

Lika Iluridze, Aleksandre Shakhnazarovi
TSU Students

RESUME

The Asian region, especially the People's Republic of China and India, is more and more interesting for the Russian Federation. Even though Russia and China do not like each other or do not understand each other, they are strongly committed to mutual beneficial relationships. China is the key market for sales to Russia and one of the key partners in trade relations is indicative of growing export-import every year. The relations between Russia and China are more based on common interests rather than common values. Especially after the annexation of Crimea, when the West imposed sanctions on Russia, it has reorganized its economy and emphasized on China. India is a different type of challenge for Russia because it is perceived to be a traditional partner. The growing economic ties, as well as with China, is still visible in India.

Key words: Russia-China; Russia-India; Economic relations; Trade turnover.

იაპონიის საგარეო პოლიტიკური კურსის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე 1945 -1990 წლებში

მარიამ თოფჩიშვილი, ნინო კალაძე
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

შორეულ აღმოსავლეთში ძალთა გადანაწილების საკითხი, ყოველთვის მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო, რაც რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. უპირველესად, ამ რეგიონს უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოსთვის, ამ ტერიტორიაზე გავლენის მოპოვება კი ნიშნავს ეკონომიკური თვალსაზრისით სერიოზული გავლენის მოპოვებას მსოფლიო ეკონომიკის მნიშნელოვან ნაწილზე.

ამ მხრივ, შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია იაპონია. იაპონია არის აპეკის (APEC) დიდი რვიანის, და „ასეანს პლიუს სამი"-ს წევრი და აღმოსავლეთ აზიის სამიტის მონაწილე. იაპონია განსაკუთრებით საინტერესოა მისი საგარეო პოლიტიკური კურსისა და ეკონომიკური განვითარების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის შესწავლისათვის. ომამდელი იზოლაციონიზმის პოლიტიკის შემდგომ მან მოქნილად შესძლო საკუთარი პოზიციის დაფიქსირება აშშ-ის რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკურ კურსში, სანამ იგი თავად იკავებდა თავს დიდი პოლიტიკური ინიციატივების წარმართვისგან. 1947 წლის კონსტიტუციაში განხორციელებული პასიფისტური პრინციპების მიხედვით, რომლებიც "მშვიდობის კონსტიტუციის" სახელით მოიხსენიება, იაპონიამ ზოგადად აიღო პასიური, დაბალი როლი მსოფლიო საქმეებში. სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა კი განსაზღვული იყო იმით, რასაც ხელმძღვანელობა „ომნიდისტრუქტურულ დიპლომატიას" უწოდებდა, რომლის მიხედვითაც იაპონია არსებითად ინარჩუნებდა პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, რომლის პარალელურადაც შესაძლებელი გახდა ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმირდება: რა გავლენას ახდენდა იაპონიის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე 1945-1990 წლებში?

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა მეორეულ და მესამეულ წყაროებს, სხვადასხვა უცხოურ სტატიას, კვლევას და გავლენიან საინფორმაციო გამოცემებს, რაც მეტ სანდოობას შესძენს ნაშრომს. საინტერესოა კვლევის გაგრძელება ამ მხრივ, ვინდაიდან იაპონია კვლავ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო მსოფლიო ეკონომიკისა და უსაფრთხოების შენარჩუნების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: იაპონია, საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური გაძლიერება, საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ურთიერთდამოკიდებულება.

ძირითადი ტექსტი:

საყოველთად მიღებული დეფინიციით, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, ეს არის მოცემული ქვეყნის მთავრობის სტრატეგია სხვა ერებთან ურთიერთბის საქმეში. შესაბამისად ისმის კითხვა, თუ როგორ ყალიბდება საგარეო პოლიტიკური კურსი?

თუ ტერმინის განმარტებას კარგად დავაკვირდებით, საგარეო პოიტიკური კურსის ფორმულირებისას პირველ რიგში აქცენტი კეთდება ეროვნულ ინტერესზე. ეს შეიძლება იყოს მშვიდობა და სტაბილურობა, უსაფრთხოება და მდგრადი კეთილდღეობა, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა თუ მოსახლეობის კეთლდღეობა. ამ შემთხევავში ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ საჯარო მოლოდინიც.

გარდა ამისა არსებობს რეალობა, როგორც განყენებული ცნება. საგარეო პოლიტიკა ხალხის რელობის აღქმას განსხვავებულად წარმართავს. იაპონელების რეალობის აღქმა შეიძლება განსხვავდებოდეს კოსტა რიკის ან ჩრდ. კორეის მოსახლეობის აღქმისგან ერთსა და იმავე ვითარებაში.

1947 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული იაპონიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პასუხისმგებლობა ხორციელდება მინისტრთა კაბინეტის მიერ, ხოლო პრემიერ-მინისტრს მოე-

თხოვება პერიოდული ანგარიშების მიწოდება საგარეო ურთიერთობებთან მიმართებაში. ამასთან, კონსტიტუციურად დომინანტურ ფიგურას პოლიტიკურ სისტემაში, პრემიერ მინისტრს, აქვს საბოლოო სიტყვის უფლება ძირითადი საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებისას. რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრს, კაბინეტის უფროს წევრს, იგი პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველია საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებში.

ომის შემდგომი პერიოდი:

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდის განმავლობაში იაპონიამ ეკონომიკური ზრდა შეინარჩუნა. მან მოქნილად შესძლო საკუთარი პოზიციის დაფიქსირება აშშ-ის რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკურ კურსში, სანამ იგი თავად იკავებდა თავს დიდი პოლიტიკური ინიციატივების წარმართვისგან. 1947 წლის კონსტიტუციაში განხორციელებული პასიფისტური პრინციპების მიხედვით, რომლებიც "მშვიდობის კონსტიტუციის" სახელით მოიხსენიება, იაპონიამ ზოგადად აიღო პასიური, დაბალი როლი მსოფლიო საქმეებში. სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა კი განსაზღვული იყო იმით, რასაც ხელმძღვანელობა „ომნიდისტრუქტურულ დიპლომატიას" უწოდებდა, რომლის მიხედვითაც იაპონია არსებითად ინარჩუნებდა პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, რომლის პარალელურადაც შესაძლებელი გახდა ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება.

როდესაც 1952 წელს იაპონიამ თავისი სუვერენიტეტი დაიბრუნა და საერთაშორისო თანამეგობრობის დამოუკიდებელ ქვეყნად გადააქცია, აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთში ცივი ომია, რომელშიც საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები დაპირისპირებულ ბანაკებს წარმოადგენენ. 1951 წლის 8 სექტემბერს სან-ფრანცისკოში ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით დასრულდა იაპონიასა და მოკავშირე სახელმწიფოთა შორის ომი საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გარდა, პარალელურად კი იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის დაიდო ურთიერთშეთანხმებული დახმარების პაქტი, რომლის მიხედვითაც იაპონია

არსებითად გახდა შეერთებული შტატების დამოუკიდებული მოკავშირე, რომელმაც შეძლო და გააგრძელა ბაზებისა და ჯარების იაპონიის მიწაზე შენარჩუნება.

იაპონიის საგარეო პოლიტიკურ მიზნებს ადრეული ომის შემდგომ პერიოდის განმავლობაში არსებითად დაეფუძნა ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა და სანდოობა, როგორც მსოფლიო საზოგადოების მშვიდობიანი წევრი, ეროვნული უსაფრთხოების დაცვა კი უსაფრთხოების ხელშეკრულების მიხედვით (1952) ამერიკის შეერთებულ შტატებს დაევალა. პაქტმა შეიმუშავა შეერთებული შტატების ძალების გამოყენების ინსტრუქცია მოსალოდნელი სამხედრო საფრთხეების წინააღმდეგ. სპეციალური დიპლომატიური ამოცანას კი წარმოადგენდა ეჭვების შეჯერება და შემსუბუქება აზიის მეზობელი ქვეყნების მხრიდან, რომლებიც წარსულში იაპონიის კოლონიური მმართველობისა და იმპერიალისტური აგრესიის შედეგად დაზარალდნენ. ამის შემდგომ იაპონიის დიპლომატია აზიის მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში უნდა წარმართულიყო შემრიგებლური და არააგრესიული გზით, ხოლო რაც შეეხება მსოფლიოს სხვა ნაწილს, იაპონიამ გადაწყვიტა თავი აერიდებინა პოლიტიკურ საკითხებში ჩართულობისათვის და კონცენტრირდა თავის ეკონომიკურ მიზნებზე. მისი ყოვლისმომცველი დიპლომატიის ფარგლებში, ის ცდილობდა განემტკიცებინა მეგობრული ურთიერთობები ყველა სახელმწიფოსთან, გამოაცხადა "პოლიტიკისა და ეკონომიკის გამოყოფის" პოლიტიკა და გადაწყვიტა დამორჩილებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ზოგიერთ საკითხებს ნეიტრალური პოზიციით.

1950-იან და 1960-იან წლებში, საგარეო პოლიტიკურ ქმედებების განხორციელება სამი ძირითადი პრინციპის მიხედვით ხდებოდა: მჭიდრო თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მიზეზების გამო, იაპონიის ეკონომიკურ საჭიროებებზე თავისუფალი ვაჭრობის სისტემის ხელშეწყობა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მეშვეობით, რომლითაც იგი აღიარებულია 1956 წელს და სხვა მრავალმხრივი ორგანოების მეშვეობით.

ამ პრინციპების დაცვა კარგად მუშაობდა, რამაც ოკუპაციის დასრულებიდან პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში იაპონიაში ფენომენალური ეკონომიკური აღორძინებისა და ზრდის ხელშეწყობა გამოიწვია.

1970-იანი წლები:

1970-იან წლებში ძირითადი ომისშემდგომი პრინციპები უცვლელი დარჩა, მაგრამ გამოჩნდა ახალი პერსპექტივები. მთავრობაზე განუხრელად იზრდებოდა შიდა ზეწოლა აშშ-სგან. ამავე პერიოდში რიჩარდ ნიქსონის ვიზიტი ჩინეთში, რამაც ჩინურ-ამერიკული ურთიერთობების ე.წ. შერიგება გამოიწვია, უფრო მეტად ამტკიცებდა იაპონელი ხალხის მოთხოვნას ამერიკისგან დამოუიკიდებელი პოლიტიკის წარმოების შესახებ.

ერს, ფენომენალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 1970-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკური ძალაუფლება მიანიჭა და სიამაყისა და თავმოყვარეობის განცდა თანდათან იზრდებოდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში.მეორე მხრივ, იაპონიის ეკონომიკური ზრდა და საზღვარგარეთის ბაზრებზე გაფართოება წარმოადგენდა "ეკონომიკური აგრესიის" საგარეო ბრალდებებს და იაპონიისაგან მოითხოვდნენ, რომ უფრო დაბალანსებული სავაჭრო პოლიტიკა მიეღო.

უფრო ავტონომიური საგარეო პოლიტიკისკენ გადადგმული ნაბიჯი დააჩქარა 1970-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინდოჩინეთის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის გადაწყვეტილების დაჩქარებამ.

იაპონელი ხალხის დამოკიდებულება ვიეტნამის ომის დროს აშშ-ის და იაპონიის ომში ჩართულობასთან დაკავშირებით გარკვეულ დისტანციას ინარჩუნებდა. ვიეტნამის ომში განცდილი მარცხის შემდეგ ვითარება განიხილებოდა, როგორც აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და ეკონომიკური დომინირების დასასრული. ძალთა თანასწორობის ეს ცვლილება, რომელიც 1970-იანი წლების დასაწყისში ვითარდებოდა, გამოიწვია იაპონიის ენერგეტიკისა და ნედლეულის სფეროში ხელმისაწვდომობის გაზრდა და გარკვეულწილად დომინირებაც.ამგვარმა ცვლილებამ კი საჭიროა გახადა ყოველმხრივი

დიპლომატიის გადანაწილება. ამგვარად იაპონია ნაკლებად დამოკიდებული გახდა დასავლეთის რესურსებზე. მაგალითად, ნავთობი მოიპოვება დაიწყო პირდაპირ მწარმოებელ ქვეყნებში ახლო აღმოსავლეთში და არა დასავლეთის მიერ კონტროლირებადი ტრანსნაციონალური კომპანიებიდან. სხვა მნიშვნელოვან მასალებს ასევე იღებდნენ შეერთებული შტატებისა და დამოუკიდებელი წყაროებისგან, თუმცა შეერთებულ შტატებთან ვაჭრობა 1970-იანი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა.

1980-იანი წლები:

1980-იანი წლების შუა რიცხვებში აშშ-სა და იაპონიის ვალუტების გადანაწილებამ განუხრელად გაზარდა იაპონიის ვაჭრობა და ინვესტიციები, განსაკუთრებით აზიაში. მან ასევე დააჩქარა ამერიკის შეერთებული შტატების ფისკალური პოზიციის შეცვლა, რომლის მიხედვითაც იგი 1980-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კრედიტორიდან, ათწლეულის ბოლოს მსოფლიოს უდიდეს მოვალედ გარდაიქმნა.იაპონია გახდა მსოფლიოს უმსხვილესი კრედიტორი, აშშ-ში აქტიური ინვესტორი და საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა დაწესებულების ეკონომიკური საყრდენი .

1990-იანი წლები:

უკვე ამ პერიოდისთვის იაპონიის მთავრობისთვის კარგად იყო ცნობილი ამერიკის ეკონომიკური იმედგაცრუებები. შეერთებული შტატების ლიდერები იაპონიის მაღალჩინოსნებს მოუწოდებდნენ მათთან მუშაობა "ახალი კონცეპტუალური ჩარჩოს" ფარგლებში გაეგრძელებინათ, რომელიც ითვალისწინებდა ცვლილებებს სტრატეგიულ, ეკონომიკურ და ორმხრივი ურთიერთობების შესახებ. ზოგიერთი ოპტიმისტურად განწყობილი მკვლევარი იმედოვნებდა, რომ "ახალი გლობალური პარტნიორობის" ფარგლებში, რომელშიც შეერთებული შტატები და იაპონია ერთობლივად იმუშავებენ, ჭეშმარიტად თანაბარი პარტნიორებია გლობალურ პრობლემებთან დაკავშირებით.

აზიაში იაპონიის მზარდი ეკონომიკური დომინანტების გათვალისწინებით, ტოკიო, როგორც ჩანს, დამოუკიდებლად იქცეოდა, თავისი ეკონომიკური ძალაუფლების პოლიტიკურ და შესაძლოა, საბოლოო ჯამში, სამხედრო გავლენის გასაზრდელადაც იყენებდა. მიუხედავად ამისა, იაპონიის იმიჯი, როგორც "სამხედრო ჯუჯა", გაგებით ირონიულია, რადგან იაპონიაში 1980-იან და 1990-იან წლებში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავდაცვის ბიუჯეტი იყო და თავდაცვის დანახარჯები სამხედრო ძალის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მაჩვენებელია. მას ასევე ჰქონდა ძალიან მოწინავე საზღვაო და საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობები. საბჭოთა კავშირის დაშლამ და ყოფილ რესპუბლიკებში ეკონომიკური პრობლემების წარმოქმნამ დაარწმუნა იაპონიის მთავრობა ეკონომიკური სიძლიერის უპირატესობაში სამხედრო პოტენციალთან შედარებით. ამ შემთხვევაში კი აშშ და იაპონია გახდნენ პირველი ეკონომიკური ლობისტები. მიუხედავად იმისა რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძალის შენარჩუნების შესაძლებლობის გაზრდა უპირველესად სამხედრო შესაძლებლობებზე იყო ორიენტირებული, იაპონიამ ამ შემთხვევაში ეკონომიკური კურსის აღება გადაწყვიტა.

დასკვნა

ყოველივე ზემოხსენებული ცხადყოფს საკითხის კომპლექსურობას. შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იაპონიის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. მეორე მსოფლიო ომმა კარგი მაგალითი აჩვენა იაპონიას, რომ ქვეყნის საგარო ორიენტაცია ეკონომიკური გაძლიერებისკენ უნდა აეღო არა სამხედრო სიძლიერეზე. ეს ყოველივე ჩანს იაპონიის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების ყველა ეტაპზე. სწორედ ამიტომაა, რომ იაპონია რეგიონში ერთ-ერთ წამყვან ძალას წარმოადგენს, რომლიც ორიენტაციას, პირველ რიგში, უსაფრთხოებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე აკეთებს და რეგიონში უსაფრთხოების ერთ-ერთ გარანტად გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Diplomatic Bluebook 2017, Ministry of Foreign Affairs, Japan; - Japanese Diplomacy and International Situation in 2016
2. Andrew Gordon - Postwar Japan as History, University of California Press, 1993
3. Kenneth B .Pyle - Japan Rising, Public Affair, New York, 2007
4. Basic Strategies for Japan's Foreign Policy in the 21st Century New Era, New Vision, New Diplomacy, November 28, 2002 http://japan.kantei.go.jp/policy/2002/1128tf_e.html
5. The Politics of War: The World and United States Foreign Policy, 1943-1945
6. Robert A. Scalapino - The Foreign Policy of Modern Japan, University of California Press,1997.
7. Smith Steve, Hadfield Amelia, Dany Team, 2015. "Foreign Policy: Theories, Cases." Chapter IV. Oxford Publishing House.

THE IMPACT OF JAPANESE FOREIGN POLICY ON THE ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY FROM 1945 TO 1990

Mariam Topchishvili, Nino Kaladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor's Degree Students

RESUME

The issue of distribution of powers in the Far East has always been at the attention of the world, which is due to several reasons. First of all, this region has a great economic significance for the whole world, and gaining an influence in this region, means to gain the serious influence on the world economy.

In this regard, Japan is one of the most important representatives of the Far East. Japan is the member of APEC, Group of Eight - G8, "ASEAN Plus Three" and the East Asia Summit. Japan is particularly

interesting for being a country which foreign policy has an important impact on economic development.

In the aftermath of the pre-war isolationism, Japan has been able to state his position in the US-regional and global political course, until it would be able took the initiative of major political actions. According to the Pacifist Principles in the 1947 Constitution, which is referred to as the "Peace Constitution," Japan generally took a passive role in the world affairs. The relations with other countries were defined by what the leadership called "omnidirectional diplomacy", according to which Japan was essentially maintaining a political neutrality, and that gave Japan a chance to expand its economic relations.

Based on the above, the study question is: What kind of impact did Japan's foreign policy have on the economic development of the country in 1945-1990?

The work mainly relies on secondary and tertiary sources, various articles, research and news publications, which makes it more reliable.

It is interesting to continue the research in this regard, as Japan is still one of the most important countries in terms of maintaining the world economy and security.

Key words: Japan, foreign policy, economic development, foreign policy's influence on economic development.

ახალი პარადიგმები ეკონომიკური თეორიისათვის გიორგი მალაშხიას წიგნის - „მცირე ეკონომოლოგია. ეკონომიკური თეორიის ახალი პარადიგმები“ გარშემო

რევაზ შენგელია,
ჟურნალ „ეკონომიკის“ მთ. რედაქტორი,
ემდ, სტუ პროფესორი
გიორგი შუბლაძე
პროფესორი

მართალია, საზოგადოებრივი ცხოვრების ფუძემდებლური მოვლენები, პროცესები მთლიანობაში კანონზომიერ, მდგრად ხასიათის ატარებს, მაგრამ ცვალებადიცაა, პროგრესის გზა კი უეჭველია. მეცნიერება თავადაც უნდა შეივსოს ახალი ცოდნით, რომელიც ეპოქას პასუხობს. წინამორბედთა მიერ მოპოვებული ცოდნა უნდა გაღრმავდეს შემეცნების ახალი, მაღალი დონის შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია

არსებული ცოდნის კრიტიკული ანალიზი და მის საფუძველზე კვლევა- ძიებით უფრო ჭეშმარიტი ცოდნის შემუშავება.

მარქსიზმის ძირითადი თეორიული პოსტულატები, ასევე კლასიკური ეკონომიკური თეორიული დოქტრინები არაერთხელ ყოფილა კრიტიკული ანალიზის და შეფასების, უარყოფის თუ გაღრმავების საგანი. გიორგი მალაშხიას ახალი მონოგრაფია, რომელიც ერთ-ერთმა ცნობილმა ევროპულმა გამომცემლობამ Palmarium academic publishing–მა (იგი მთელ მსოფლიოში ავრცლებს თავის პროდუქციას) ახლახან რუსულ ენაზე დაბეჭდა, ავტორის მიერ ეკონომიკური თეორიის წამყვანი დოქტრინების ალტერნატიულ მოსაზრებათა გადმოცემას წარმოადგენს. ავტორი შესავალშივე გვამცნობს, რომ ეს წიგნი წარმოადგენს მის ადრინდელ მონოგრაფიათა საფუძველზე და მათი გაღრმავებით ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების საკვანძო პრობლემების ახლებურ მოკლე გადმოცემას (მას მიზნად ჰქონია უფრო ვრცელი ნაშრომის შექმნა აქ განხილულ საკითხებზე, მაგრამ ობიქტურ მიზეზთა გამო ამჯერად ამ მოცულობას სჯერდება).

გიორგი მალაშხიას ნაშრომის განხილვას დავიწყებთ იმით, რომ მას საჭიროდ მიაჩნია ეკონომიკური თეორიის ახალი შემადგენელი ნაწილის - ეკონომოლოგიის ჩამოყალიბება და თავის მოსაზრებას იმით ასაბუთებს, რომ ეს უნდა იყოს ეკონომიკის კანონზომიერებებისა და კანონების, მოვლენათა, დოვლათის (სიმდიდრის) კვლავწარმოებისა და ეკონომიკური განვითარების, მისი პერსპექტივის ზოგადი თეორია, რაც დღემდე მწყობრად ჩამოყალიბებული სახით არ არსებობს.

ავტორს უწინარესად შემოაქვს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროთა კვლევის ახალი მეთოდები, რაც აფართოებს შემეცნების შესაძლებლობებს. ესენია: ანთროპიცენტრული მიდგომა - სოცალურ და ეკონომიკურ მოვლენათა ადამიანის ინტერესებისა და დოვლათშემქმნელი პოტენციალის თვალსაზრისით განხილვა, აქსიოლოგიური ხედვა - სინამდვილის მო-

ვლენათა აღქმა ფასეულობითი ასპექტით, საკვლევი მოვლენების ევდემონისტური ანუ ადამიანთა ბედნიერების კუთხით გააზრება, გენეტიკური წვდომა - განვითარების პროცესის ახსნა მემკვიდრეობის ფაქტორის როლის გათვალისწნებით .

გიორგი მალაშხია კრიტიკულად განიხილავს სიმდიდრის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების მარქსისტულ და კლასიკურ თეორიებს და სრულიად ახალი მიდგომითა და ხედვით, ახლებური, ღრმა და ფართო გაგებით ასაბუთებს სიმდიდრის წყაროებს. შემოაქვს წარმოების მუქთი და ნაწიობრივ მუქთი რესურსების ცნებები. ასეთ რესურსებად განიხილავს ბუნების რესურებსა და საზოგადოების ცხოვრების მთელი ისტორიული ეპოქების მანძილზე დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ მიღწევათა (აღმოჩენების, გამოგონებათა) შედეგად წარმოქმნილი დოვლათშემქმნელ პოტენციალს, ადამიანთა, განსაკუთრებით ინელექტუალური ელიტის (გამორჩეულად ნიჭიერთა და გენიოსთა) ბუნებრივ უნარებს. ყოველივე ამაში ხომ არაფერს ვიხდით, მხოლოდ ერთი ნაწილის გამოყენების დანახარჯებს ვეწევით! ავტორს მიაჩნია, რომ ამ რესურსების გამოყენებისა და მისი შედეგების ეკონომიკური შინაარსი და მნიშვნელობა მეცნიერებაში სათანადოდ არაა გაზრებული და შეფასებული. იგი არ იზიარებს კ.მარქსის ზედმეტი ღირებულებისა და ექსპლუატაციის თეორიას, ასევე ეკონომიკური ზრდის, მოგების, რენტის და სხვა თეორიებს. წიგნში საუძვლიანადაა დამტკიცებული, რომ წარმოების რესურსების ერთი ნაწილის აღნიშნული ხასიათის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რაიმე წარმოებას ჰქონოდა აზრი, მიგვეღო მეტი პროდუქტი, ვიდრე ამისთვის ვეწევით დანახარჯებს. ავტორს შემოაქვს ახალი მეცნიერული კატეგორიები: „სოციალური ენერგია“, „დამატებული პროდუქტი“. მათი მეშვეობით ნათელი ხდება წარმოებისა და მისი გაფართოების სიღრმისეული პროცესი, მისი შედეგები, დანახარჯებზე მეტი პროდუქტის წარმოშობა.

ახლებურად წარმოგვიდგება ეკონომიკური ზრდა, პროგრესი. ქრება კ. მარქსის ზედმეტი ღირებულება, ასევე წარმოდგენა ღირებულებასა და სახმარ ღირებულებას (სარგებლიანობას) შორის უშუალო კავშირის არ არსებობაზე, რომ ღირებულება არ შეიცავს სახმარი ღირებულების არც ერთ ატომს. ახალი მიდგომის საფუძველზე ვიგებთ დამატებული (დანახარჯებზე მეტი) პროდუქტის მიღების რეალურ წყაროს - ამ ნაწილში ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ მოცემული თაობის მიერ შექმნილი პროდუქტი - ეს არის, წარმოების პროცესში უშუალოდ ჩართულებთან ერთად, წინა თაობების ფარული მონაწილეობისა და ბუნების ძალების სულ უფრო მეტად გამოყენების შედეგი. ამრიგად, უფრო ღრმა ხედვითა და რეალურადაა წარმოდგენილი საგნის ნამდვილი შინაარსი, ვიდრე ეს მარქსიზმის და სხვა თეორიული მიმარულებების მიერ არის გადმოცემული.

ავტორი ახლებურად განიხილავს დოვლათის (შემოსავლების) განაწილების საკითხსაც. ის აყალიბებს დოვლათის (შემოსავლების) განაწილების ობიექტურ კანონს, რომლის შესაბამისად რეალურმა პროცესმა უნდა მოგვცეს სამართლიანი განაწილებითი ურთიერთობა - კაცობრიობის ცხოვრების ამ უდიდესი თავსატეხის გადაწყვეტა. ეს იმაში მდგომარეობს, რომ შექმნილი დოვლათი და მისი ნაზრდი უნდა განაწილდეს მისი შემქმნელი სუბიექტების წვლილის შესაბამისად და ალტრუისტული პრინციპით (იმათთვის, ვისაც არ შეუძლია წარმოებაში მონაწილეობა). კაცობრიობის ისტორია წარმოდგენილია ეკონომიკის სფეროში ამ პრინციპის დარღვევით და სამართლიანობის დამკვიდრების მიმართულებით სვლად, რაც ჯერ კიდევ არაა სათანადო მიჯნამდე მისული. ნაჩვენებია საბაზრო ეკონომიკის პირობებში დოვლათის განაწილების ხასიათი და ხარვეზები: უსამართლობა, ზედმეტი უთანაწორობა. ამასთან, ავტორი საჭიროდ მიიჩნევს არ მივსდიოთ მარქსისტულ თვალსაზრისს, თითქოს ეკონომიკური ძალა-

უფლების მფლობელ სუბიექტთა მთელი მითვისებული დოვლათი ხნარდება მათ კეთილდღეობას, ფუფუნებით მოხმარებას. მათი შემოსავლების დიდ ნაწილი წარმოების პროცესის განმეორებაში, წარმოების განვითარებაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში ინვესტირების, გადასახადების, ქველმოქმედების და სხვა სახით უნრუნდება საზოგადოებას, ემსახურება მის მოთხოვნილებათა დაკმაკოფილებას. მაშასადამე, გამოყენებისა და მისი შედეგების თვალსაზრისით კაპიტალისტთა შემოსავალი სრულად კერძო ხასიათის არაა, საზოგადოებრივ ფუნქციებს იძენს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია კაპიტალისტური ეკონომიკის ხასიათის გაგებისათვის, რომლის უგულებლყოფა არასწორი იქნებოდა. ამასთან განაწილების სისტემა საბაზრო (კაპიტალისტურ) ეკონომიკაში უსამართლო რჩება, რადგან ეკონომიკური ძალაუფლების მქონეთ - რესურსების მესაკუთრებსა და წარმოების ორგანიზატორებს (მეწარმეებს) აქვთ უპირატესი შესაძლებლობა დოვლათის განაწილების პროცესში მიიღონ მეტი, ვიდრე განაწილების ობიექტური კანონით მათ ეკუთვნით, ე.ი ვიდრე მათ შეაქვთ პირადი წვლილი დოვლათის შექმნაში. ეს შესაძლებელი ხდება მუქთი ფაქტორების გამოყენებით შექმნილი დოვლათის ხარჯზე.

ავტორი უარყოფს ეკონომიკურ თეორიაში არსებული გაცვლის კონცეფციას. მის კანონად მიიჩნევს ეკვივალენტურობას, რაც პრაქტიკაში ხშირად ირღვევა. ამასთან, აღნიშნული კანონი, რის ირგვლივ ყალიბდება გაცვლის არსებული წესი, ფასები წარმოადგენს ამ სფეროში სუბიექტების ჩარევის ორიენტირსაც. კერძოდ, ეს კანონი გულისხმობს, რომ გაცვლის შედეგად მისი არც ერთი მხარე არ უნდა იყოს დაზარალებული. ეს ხშირად არ ხდება, ადგილი აქვს ფასების ტირანიას, მაგრამ მთლიანობაში გაცვლა ამ კანონს ექვემდებარება, რის გარეშე ამ სფეროში არ ექნებოდა ადგილი არავითარ წესრიგს, ე. ი. იბატონებდა სრული ქაოსი. ამ კანონის

მოქმედების ხასიათის, მისგან რეალურად მიმდინარე გაცვლის გადახრის გამო აუცილებელია ფასებზე ზემოქმედების სახელმწიფო პოლიტიკა.

გიორგი მალაშხიას მეცნიერული სიახლეები შემოაქვს მოხმარების თეორიაში. იგი აყალიბებს ირაციონალური და ზედმეტი მოხმარების კონცეფციას, მიდის უქმი ეკონომიკის არსებობის შესახებ დასკვნამდე. ასეთ ეკონომიკად ის განიხილავს იმ დოვლათის წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას, რომელიც სცილდება რაციონალურობას, გონივრულობას, საზოგადოების ფასეულობებს, არღვევს ცხოვრების ჰომეოსტატიურობას. მას ეს მიაჩნია მომხმარებელთა არარაციონალური ქცევის, საერთოდ საზოგადების მოხმარების დაბალი კულტურის, უთანასწორობის არსებობის რეზულტატად. იგი საჭიროდ მიიჩნევს მოხმარების ეფექტიანობის კატეგორიის შემოტანას ეკონომიკის თეორიაში, აყალიბებს ეკონომიური ქცევის ზომიერების პრინციპის შინაარსს, გვიჩვენებს მის მნიშვნელობას საზოგადოების კეთილდღეობისა და ცივილიზებულობისათვის.

კვლავწარმოების კვლევისას ფაზების მიხედვით ავტორს მრავალი საგულისხმო სიახლე შემოაქვს, რომლებიც , ჩვენი აზრით, ამდიდრებს ეკონომიკურ თეორიას.

ასევე გიორგი მალაშხიას კვლევის საგანია ეკონომიკის ტიპები - საბაზრო და არასაბაზრო ეკონომიკა. იგი მათ თანაფარდობას განიხილავს ისტორიულ ჭრილში. მის მიერ ნაჩვენებია არასაბაზრო ეკონომიკის ადგილი საზოგადოების ცხოვრებაში, არასაბაზრო ურთიერთობათა სახეები და ეკონომიკის სფეროში მათი წილის ზრდის, საბოლოოდ საზოგადოების ცხოვრებაში მათი ადგილის გაფართოების ტენდენცია და მნიშვნელობა ცხოვრების ჰუმანიზაციისათვის.

ავტორი ლოგიკურად მიდის ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების პერსპექტივის საკითხის დასმამდე. იგი ორიგინალურად წარმოგვიდგენს ახალ, მაღალ, პოსტაბაზრო

საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის ობიექტურ აუცილებლობას, წყაროებსა და მექანიზმს, გზებს, ადასტურებს ამ პროცესის ევოლუციურ ხასიათის აუცილებლობას, ისტორიულ მეტამორფოზებზე ძალადობის დაუშვებლობის თვალსაზრისს, საზოგადოების ინსტიტუტების როლს, მოვლენათა ახალი ნაკადების წარმოშობის, ცხოვრების ღრმა პლასტებში მიმდინარე მუტაციების გზით ძირეული ცვლილებებისა და ახალი ადამიანური საზოგადოებისა და ეკონომიკის ჩამოყალიბების პერსპექტივის არსებობას.

ამ მჯელობათა საუძველზე მოცემულია ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის არქიტექტურის ძირითადი შტრიხები, რომლებიც ემყარება ავტორის წარმოდგენას განვითარების ლოგიკისა და კანონზომიერბათა მიხედვით მიმდინარე ცვლილებების გააზრებას. ამაში იგი ხედავს სუბიექტური ფატორის, როგორც ფილოსოფოსი ე. კანტი წარმოიდგენდა, მნიშვნელოვან როლს. გიორგი მალაშხია საჭიროდ მიიჩნევს დაზუსტდეს არსებული შეხედულება განვითარების წყაროების შესახებ. კერძოდ, მას სადაოდ მიაჩნია მარქსისტული და სხვა თვალსაზრისები ამ საკითსის ირგვლივ. იგი თვლის, რომ ძირეული ფაქტორის ძიება უნდა დაუკავშირდეს არა შუალედურ, არამედ საფუძველშემქმნელ წანამძღვრებს. ამ კუთხით იგი თვლის, რომ განვითარებისა და ცვლილებების მიზეზების ძიება უნდა დავიწყოთ არა ეკონომიკური ფაქტორებიდან - საწარმოო ძალებიდან, ეკონომიკიდან მლიანად, არამედ ადამიანებიდან, მათი განვითარებიდან, ცნობიერებისა და შემეცნების დონიდან, რის საფუძველზე ვითარდება საზოგადოების ყველი ინსტიტუტი და სფერო. იგი ახლებურად წარმოგვიდგენს ე. წ. ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთდამოკიდებულებას, მიაჩნია, რომ ეკონომიკის როლის ზედმეტად გაზვიადება არ იძლევა ჭეშმარიტების დადგენის გარანტიას. წინ უნდა იქნეს წამოწეული ადამიანთა ინტელექტის, ცნობიერების, იდეოლოგიის, პოლიტიკის როლი, რაზეც არის

დამოკიდებული ეკონომიკური სისტემის ხასიათი და თავისებურებები.

როგორც ვხედავთ, პროფესორ გიორგი მალაშხიას მიერ წამოწეული და ორიგინალურადაა გადაწყვეტილი ეკონომიკური თეორიის რიგი საკვანძო პრობლემა, რაც მისი ნაშრომის ფუნდამენტური ხასიათის შესახებ დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა. განხლული მონოგრაფია უთუოდ წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს ეკონომიკურ მეცნიერებაში. ამგვარი საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის ეს წიგნი უთეჭველად საინტერესო იქნება. იგი მას მიცემს კარდინალურ ეკონომიკურ პრობლემებზე დაფიქრების ბიძგს, შემეცნების გაფართოების სტიმულს.

სასარგებლო სახელმძღვანელო

რევაზ შენგელია
ჟურნალ „ეკონომიკის“ მთ. რედაქტორი,
ემდ, სტუ პროფესორი

ეკონომიკური მეცნიერების შესწავლა - დაუფლებისათვის განკუთვნილი, ჩვენთან დღესდღეობით არსებული არც თუ მდიდარი ორიგინალური ლიტერატურის რიცხვს მიემატა ვ.ბასარიას და რ.ბასარიას მიერ მომზადებული სახელმძღვანელო ეკონომიკურ თეორიაში[1]. ამთავითვე მსურს ხაზი გავუსვა ნაშრომის ორიგინალურ ხასიათს: ავტორები, როგორც თავადვე აღნიშნავენ, წიგნის დაწერისას ეყრდნობოდნენ „ეკონომიკური მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლების (კლასიკოსების) იდეურ მემკვიდრეობას“, პ. სამუელსონის, გ.მენქიუს და სხვების სახელმძღვანელოებს, მაგრამ სასწავლო ლიტერატურისათვის აუცილებელი ამ მოსაზრებების გადმოცემაში მათ ისეთი განსხვავებული მიდგომა - მეთოდები გამოიყენეს, ხშირ შემთხვევაში ისე ორიგინალურად უკავშირებენ ამას საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის დღევანდელ მძიმე მდგომარეობას და გამოწვევებს, რომ ნებისმიერი მკითხველისათვის თვალშისაცემი ხდება, თუ რა რუდუნებით და პროფესიულობით ცდილობენ ისინი განაწყონ მოსწავლე ახალგაზრდობა, რომ თეორიული საკითხების ათვისებასთან ერთად გამოიმუშაონ ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ ეკონომიკურ პრობლემებთან გამკლავების უნარი და წარმატებით ჩაერთონ შემდგომში ამ პროცესში.

მოვიყვან ასეთი მიდგომის, ჩემი აზრით, ერთ თვალსაჩინო მაგალითს სახელმძღვანელოდან.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განათლებულობას, კადრების პროფესიონალიზმს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, ეს თითქოსდა ყველასათვის ცნობილია.

1 ვ.ბასარია, რ.ბასარია. ეკონომიკის პრინციპები. – „საქართველოს აკადემიური გამომცემლობა“, თბილისი, 2017

ამიტომ ჩვენთან ასე ბევრი იწერება იმის თაობაზე, რომ საჭიროა გაიზარდოს ეროვნულ შემოსავალში (და სახელმწიფო ბიუჯეტში) განათლებაზე გაწეული ხარჯების კუთრი წონა. გასაგებია, რომ სახელმძღვანელოს ავტორებიც იზიარებენ ამ მოსაზრებას და დაწვრილებით, მაღალპროფესიულ დონეზე ასაბუთებენ იმის აუცილებლობას, თუ რა სერიოზული ეკონომიკური შედეგი შეიძლება მოჰყვეს ხშირად, ჩვეულებრივ საწარმოო შესაძლებლობებთან შედარებით, ინვესტიციების ადამიანში ჩადებას (სახელმძღვანელოს მე-2 ნაწილი, თემა 2, თავი 5 – „ცოდნა - განათლება და ეკონომიკური ზრდა“).

ამასთან ისინი სიღრმისეულად აანალიზებენ საქართველოში ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მოსახლეობის განათლებულობის დაცემის მიზეზებს და უკავშირებენ მას საზოგადოებრივ მენტალიტეტში მომხდარ ცვლილებას, როდესაც ქართული ეთნოსისა და საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ცოდნის მიღებისადმი ლტოლვა - მოწადინება ჩაანაცვლა „ცოდნის დამადასტურებელი“ საბუთის (დიპლომის) დაუფლების წადილმა (ე.წ. „დიპლომომანიამ“). ამ პირობებში კი (თუ ეს მენტალიტეტი არ გადაილახა), ამტკიცებენ ავტორები (და ძნელია მათ ამაში არ დაეთანხმო), განათლებაზე გაღებული სახსრების უბრალო ზრდა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ავტორები მხოლოდ პრობლემას კი არ აყენებენ, არამედ მისი გადაწყვეტის თავისებურ წინადადებებსაც გვთავაზობენ (ეს, შეიძლება ითქვას, რადიკალური, მაგრამ უდავოდ საინტერესო მოსაზრებები გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესში“ – N3, 2016. ვ. ბასარია. ცოდნა და ეკონომიკური ზრდა).

სახელმძღვანელო ორი ნაწილისაგან შედგება: მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა. თითოეულ ნაწილში შვიდ-შვიდი თემაა, თემები დაყოფილია თავებად. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის პრინციპების საგანი გადმოცემულია სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში აპრობირებული სასწავლო პროგრამების ავტორების მიერ თავისებურად შეზავებული ვა-

რიანტის შესაბამისად. შესაძლოა, ვინმეს ეს ნაშრომის ნაკლად მოეჩვენოს, თუმცა პირადად ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ: საგნის ძირითადი საკითხები ნაშრომში გადმოცემულია საკმაოდ სრულყოფილად და ლოგიკური თანმიმდევრობით, ხოლო იმას, თუ რომელ თემაში რამდენი ადგილი უნდა დაეთმოს ამა თუ იმ საკითხის განხილვას, ეს ავტორის გადასაწყვეტია და სულაც არაა დოგმა.

ამასთან დაკავშირებით ერთ საკითხს შევეხები. სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა სერიოზული პრობლემაა ეროვნული შემოსავლის მის შემქმნელ სუბიექტებს (წარმოების ფაქტორების მესაკუთრეებს) შორის და საერთოდ საზოგადოებაში განაწილება. ამ საკითხს გარკვეული ადგილი დაუთმეს ავტორებმა წიგნის ორივე ნაწილში: მიკროეკონომიკაში „როგორც საკითხის ათვისების პირველი მცდელობა“, და მაკროეკონომიკაში „როგორც რთულ საკითხში ცოდნის გაღრმავება“. თემის გადმოცემისადმი ამგვარი მიდგომა, ვფიქრობ, საინტერესო მიგნებაა: სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის ათვისებისას სტუდენტს ჯერ არ გააჩნია ცოდნის ის დონე, რომელიც საშუალებას მისცემს სიღრმისეულად ჩაწვდეს პრობლემას, გაერკვეს ეროვნული შემოსავლის წარმოების ფაქტორებზე განაწილების ეკონომიკურ და მორალურ სამართლიანობაში; ამასთან, ეროვნული შემოსავლის განაწილება - გადანაწილება როგორც მიკროეკონომიკის, ისე მაკროეკონომიკის პრობლემებია.

სახელმძღვანელოში საგნობრივად, აზროვნების დამაჯერებელი ლოგიკით და ფაქტობრივი მასალის გამოყენებით განხილულია ეკონომიკური თეორიის არსის, ეკონომიკური რესურსების შეზღუდულობისა და მათი გამოყენების, წარმოების ფაქტორების ბაზრების, მოთხოვნა - მიწოდებისა და მათი წონაწორობის, საბაზრო ეკონომიკისა და სახელმწიფოს, უმუშევრობისა და ინფლაციის, ფულის, საბანკო საქმის, საგარეო - ეკონომიკური ურთიერთობების და სხვა თეორიულ - პრაქტიკული საკითხები.

ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული საკითხის შესწა-

ვლის გაღრმავება - შემოწმების ხერხები: ყოველი თემის ბოლოს მოცემულია ვრცელი სასწავლო დავალებები (კითხვები) და საგარჯიშო ტესტები (მათზე პასუხები მოცემულია წიგნის დანართში). თემების უმეტესობას დართული აქვს სასარგებლო და საინტერესო დამატებითი კითხვის მასალა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დანართი „ლექსიკონის მაგიერ“ (გლოსარიუმი), სადაც ალფაბეტის მიხედვით ჩამოთვლილია ხუთასამდე ტერმინი - კატეგორია და მინიშნებულია წიგნის გვერდები, სადაც ისინი გვხვდება. ავტორების მიერ გაკეთებული ამ შრომატევადი სამუშაოს შედეგი უეჭველად გაუადვილებს სტუდენტებს დისციპლინის სიღრმისეულად და საგნობრივად ათვისებას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სახელმძღვანელოს გადმოცემის დონე. გარდა იმისა, რომ ის დაწერილია გამართული ქართულით (რასაც, სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, იშვიათად თუ წავაწყდებით ეროვნულ სახელმძღვანელოებში), ძალზე საყურადღებოა მასალის გადმოცემის სტილი და ლოგიკა; საკითხზე საუბრისას ავტორები ხშირად მიმართავენ ფოლკლორს, მხატვრულ ლიტერატურას.

დაბოლოს, წიგნი არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. მაგალითად, ზოგიერთ გრაფიკში (რომლებიც მთლიანობაში ორგანულად არის ჩართული ტექსტში და უეჭველად დაეხმარება მკითხველს მასალის ათვისებაში) დაშვებულია შეცდომები (გვ.:33, 64, 231, 271); ტექნიკური შეცდომები გვხვდება ტექსტშიც (გვ. 22, 44, 82, 103, 135, 167, 187, 269, 335). დარწმუნებული ვარ, მათი გასწორება და მთლიანობაში სახელმძღვანელოს კიდევ უფრო სრულყოფა მოხდება მის შემდგომ გამოცემებში.

შინაარსი N1

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ანა წულაია - საგადასახადო და სხვა შემოსავლების პოლიტიკის გავლენა მუნიციპალური ბიუჯეტების დეცენტრალიზაციის პროცესებზე----------6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

იულია თედეევი - შრომის სტიმულირების სისტემა---------- 15
შოთა გურული - სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში---------- 23

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

გიორგი ცაავა , რატი ბურდიაშვილი - ფინანსური ლევერიჯი (ბერკეტი) როგორც საწარმოს საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობის რეგულირების მნიშვნელოვანი მექანიზმი --------- 32
ნიკოლოზ ტატიშვილი - ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად---------- 42
ოთარი გავაშელი - მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა ახალ ეკონომიკურ პირობებში და ფინანსურ ტრანზაქციებზე ახალი გადასახადის დადგენის აუცილებლობა---- 48

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

მამუკა სარჩიმელია - საგადასახადო სამართალდარღვევები და მისი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე---------- 58

დარგობრივი ეკონომიკა

თორნიკე თევდორაძე, უჩა ჩიტიძე - საქართველო როგორც ღვინის „ახალი“ ექსპორტიორი ქვეყანა: პერსპექტივები და მოლოდინები-- 62

ნიკოლოზ ტატიშვილი - მცირე საწარმოების
ბუნება და დაკრედიტების პრობლემები ---------- 70

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ეკატერინე კოპლატაძე - ხარისხის შიდა აუდიტი
როგორც აუდიტის ერთ-ერთი სახე ---------- 76
თეონა ბაგრატიონი - პერსონალის შიდაორგანიზაციული
ქცევის შეფასება კომპანია „თი-ელ-ჯი"-ში ---------- 86
ოთარი გავაშელი - რისკზე დაფუძნებული
საგადასახადო აუდიტის ზოგადი პრინციპები ---------- 98

მსოფლიო ეკონომიკა

ლალი თითილოკაშვილი, თამარი გელაშვილი -
ქართული ღვინის ექსპორტი საერთაშორისო
ბაზარზე და საქართველოს ღვინის ტურიზმი ---------- 105
მარიამ თოფჩიშვილი, ნინო კალაძე - ისლამური სახელმწიფო:
ეკონომიკური ძლიერების განმაპირობებლი ფაქტორები ---------- 114

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი -- 122

შინაარსი N2-3

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ნიკოლოზ ბაკაშვილი - სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკა-ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ერთ-ერთი რეალური განმსაზღვრელი ---------- 6
გიორგი გაფრინდაშვილი, შორენა ფარჯიანი - საერთაშორისო რეიტინგებში ასახული საქართველო და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ---------- 17
მაია გიორგაძე, ნათია ფერაძე - სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“: არსი და მნიშვნელობა საქართველოსთვის ------- 38
ინგა გიგაური, მირანდა ფაცაცია, მაია ბიწაძე - სოციალურ-ეკონომიკური ფონი საქართველოში და მიმდინარე გამოწვევები --- 47
სალომე გოშაძე, ნანა ნაჭყებია - ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ---------- 55

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

რუსუდან პაპასკირი - ინფლაციის გავლენა ფულის რეალურ ღირებულებაზე ---------- 62
ნატა ქირია, მარიამ მუქერია - მაროკოს ეკონომიკის განვითარების ზოგიერთი ასპექტი ---------- 68

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ნატო ქათამაძე, მაია გრძელიძე - საბიუჯეტო სახსრების მართვა მუნიციპალიტეტებში ---------- 75

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

ალექსანდრე თოდუა, გიორგი ბეროშვილი - სპარსეთის ყურის ომი: მისი სამართლებრივი და ეკონომიკური მნიშვნელობა --------- 85

დარგობრივი ეკონომიკა

ზაზა გოიშვილი - სოფლის მეურნეობის აღწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური მექანიზმი ---------- 94
თინა ლუხუტაშვილი, ელისო ფურელიანი - ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემა (TSA) და მისი როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ---------- 104

ციალა ლომაია, ნინო ომანაძე - ადამიანური რესურსების სტიმულირების ფუნქციონალური სისტემა კომპანია „ფრესკოს“ მაგალითზე ---------- 110

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

Nato Samnidze - Purchasing Market Study **(შესყიდვების ბაზრის კვლევა)** ---------- 120
ლია ჯორჯიაშვილი - კორპორაციული მართვის ქცევითი ასპექტები ---------- 127
მიხეილ ბაღდავაძე - ელექტრონული შესყიდვების ადგილი საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში ---------- 135
ინგა გიგაური - რისკების მართვის თავისებურებები ბიზნეს-გარემოში ---------- 148
ლია ჯორჯიაშვილი - სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე ინტერპრეტაციები ---------- 157
ნინო სებისკვერაძე - ხარისხის მენეჯმენტის კვლევის მეთოდოლოგია ---------- 168
ციალა ლომაია, ნიკოლოზ გოგოლაძე - მართვის თეორია ადამიანის როლის შესახებ და პერსონალის შერჩევის ზოგიერთი საკითხი ---------- 183

მსოფლიო ეკონომიკა

ლიკა ილურიძე - საერთაშორისო სისტემის ცვლილების გავლენა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებზე: გეოეკონომიკა გეოპოლიტიკის წინააღმდეგ ---------- 191
მარი ბაბაკიშვილი, ანნა ცქიტიშვილი - მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი - ისტორია და მომავალი გამოწვევები ---------- 198
ნინო ცხოვრებაშვილი - ლიდერის როლი ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებისას და ინოვაციური პოლიტიკა ფრანგულ საწარმოებში ---------- 207
მიმოზა ტიელიძე , სალომე ღაჭავა - უკრაინის კრიზისის გავლენა რუსეთ-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებზე ---------- 216
ნანა ღარიბაშვილი, შალვა თურქაძე - რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები „ევრომაიდნის“ შემდეგ ---------- 229

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი ---------- 238

შინაარსი N4-5

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ზაზა გოიშვილი - სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების განვითარების საქმეში ---------- 6
ზურაბ ჩინჩალაძე - მოგების გადასახადის ახალი მოდელი--------- 14
ანზორ აბრალავა, ლევანი კერესელიძე - სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებების განაწილების სისტემების სრულყოფის მიმართულებები ---------- 31

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ალექსანდრე ვაჭარაძე - პირდაპრი უცხოური ინვესტიციების განხორციელების თეორიული ასპექტები---------- 40
ეკატერინა ზაქარაძე, თამარ რევაზიშვილი - ქვეყნის სატრანზიტო თავისებურებანი - პრობლემები და პერსპექტივები-- 55
ლელა ბიჭიაშვილი - ადამიანური კაპიტალის მართვის ორგანიზაცია და კადრების დენადობის განსაზღვრა ---------- 61

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ნატო ქათამაძე - მუნიციპალური საბიუჯეტო პოლიტიკის პრობლემები საქართველოში ---------- 71

რეგიონული ეკონომიკა

ზაზა ბარბაქაძე - სოფლად განვითარებული უარყოფითი მოვლენების გამომწვევი მიზეზები შიდა ქართლის რეგიონში ------ 79
ევგენი ბარათაშვილი, თამარ მაჭარაშვილი - სამხრეთ კავკასიის რეგიონში ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების შეფასება კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით---------- 86

დარგობრივი ეკონომიკა

დავით გოგიაშვილი - სასურსათო უსაფრთხოება და შრომითი რესურსების დასაქმება აგრარულ სექტორში---------- 93
პაატა კოლუაშვილი, ზაზა ბარბაქაძე - ინტენსიურ მებაღეობაზე გადასვლის მოტივაციები(შიდა ქართლის მაგალითზე) ---------- 104
ზვიად ვეკუა - ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირება ქართულ ჯანდაცვაში ---------- 111
თეონა ზოიძე, მარინა მეტრეველი - ინოვაციები საექსკურსიო საქმიანობაში და მათი დანერგვა საქართველოში ---------- 120
დავით გოგიაშვილი - მიწის როლი აგრობიზნესში---------- 128
ზაზა ბარბაქაძე - სოფლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მცდელობები ---------- 140

ია ფირანიშვილი-გიგიბერია - ეკონომიკური სარგებელი
პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესში ---------- 147
თამარ როსტიაშვილი, ფიქრია კირკიტაძე - პერსონალის
მართვის ეფექტიანობის კრიტერიუმები მცირე ბიზნესში ---------- 161

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

Nato Samnidze - Supplier Selection Methods
in Purchasing Management ---------- 167
გიორგი ხაბურზანია - მარკეტინგული კონტროლის
როლი საბაჟო მართვის სისტემაში ---------- 174
თამარი დევიძე, გიორგი შოშიტაშვილი - გლობალიზაციის
პირობებში სტრატეგიული მენეჯმენტის, ტექნოლოგიებისა
და ცოდნის მენეჯმენტის ზეგავლენა ბიზნესზე ---------- 184
ლევანი კერესელიძე - მუნიციპალური მართვის
ხარისხის შეფასების მეთოდიკის შემუშავების საკითხები ---------- 191
ლალი ხარბედია, ბადრი დავითაია, მზისადარ ბჟალავა -
ხელმძღვანელობისა და ლიდერობის კონცეპტუალური
ასპექტები მართვაში ---------- 200
ლევანი კერესელიძე - მეთოდური რეკომენდაციები
მუნიციპალური მართვის ეფექტიანი
მექანიზმების ფორმირებისათვის ---------- 209
მარიამ ყიფშიძე - ვირტუალური კომუნიკაციის საქმიან
ურთიერთობებზე ზეგავლენის დადებითი ფაქტორები ---------- 218
ლია ჯორჯიაშვილი - სტრატეგიული
გადაწყვეტილებების ფორმირების მექანიზმი ---------- 226
მარიამ ყიფშიძე - მოლაპარაკების პროცესის სწორი ფორმირება
კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით ---------- 235
პაატა კოღუაშვილი, მარიამ ხიზანიშვილი -
პრობლემურ გადაწყვეტილებათა მიღებისას
სიტუაციების განვითარების მოდელირება ---------- 246
სალომე ტოგონიძე - ბრენდის პერცეფცია და
დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის საშუალებით
ორგანული პროდუქტის ხარისხის ფენომენი ---------- 260

მსოფლიო ეკონომიკა

ზაზა გოიშვილი - საქართველოს სოფლის
მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა
და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ---------- 275
სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 290

შინაარსი N6-8

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ლია გიგაური - რეფორმების არსი
და ეფექტური მართვის სტრატეგიები ---------- 6
მალხაზ გვიჩია - სავალუტო სტრატეგია და ქვეყნის
სავალუტო პოლიტიკის ოპტიმიზაციის საკითხები ---------- 26
ხათუნა შალამბერიძე - სახელმწიფო ვალის
აღების პროცესის მართვის საკითხები საქართველოში ---------- 39

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

მალხაზ გვიჩია - სავალუტო კრიზისების არსი,
მისი წარმოშობის მიზეზები და შედეგები ---------- 49
მაია გიორბელიძე - საქართველოში მოქმედი სოციალური
საწარმოების კონკრეტული შემთხვევების ანალიზი ---------- 65
მარიამ იაშაღაშვილი - ვენჩურული კაპიტალი - ფულზე მეტი ----- 82
ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი - საბაზრო ეკონომიკისა და
მეწარმეობის განვითარება საქართველოში ---------- 89
რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია,
ნათია შენგელია - უწყვეტი განათლება -
ადამიანი კაპიტალის კვლავწარმოების უმთავრესი ფაქტორი ------ 99

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

მალხაზ გვიჩია - ვალუტისა და სავალუტო
პოლიტიკის საკითხისათვის ---------- 109
მალხაზ ოქრომელიძე - საბანკო საინვესტიციო
საქმიანობის არსი და თვისებები ---------- 126
ნინო ქავთარაძე - მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი
საბანკო სექტორში და მისი მომავლის გამოწვევები---------- 133
თინათინ გუგეშაშვილი, ნანა ბენიძე, ჯამბულ ბიწაძე -
საერთაშორისო ფინანსური კრიზისების მიზეზების შესახებ ------ 138
ხათუნა შალამბერიძე - საქართველოს საბანკო
სექტორის განვითარების ტენდენციები ---------- 149
ჯამბულ ბიწაძე, ნანა ბენიძე - სახელმწიფო ხაზინის
ნაკლოვანებები და შესაძლო პერსპექტივები საქართველოში --- 160

რეგიონული ეკონომიკა

მაია ახვლედიანი - ქალაქის კონკურენტუნარიანობა - ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის რთული ფენომენი -------- 170

დარგობრივი ეკონომიკა

ნანა ბენიძე, ჯამბულ ბიწაძე, თინათინ გუგეშაშვილი - საყოველთაო დაზღვევა საქართველოში---------- 181

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ანზორ აბრალავა, ვასილ ბატიაშვილი - ცვლილებების პროცესი და ძირითადი სირთულეები ---------- 192
ბადრი დავითაია, ლალი ხარბედია, მზისადარ ბჟალავა - მენეჯმენტის თანამედროვე მოდელები განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ---------- 199
ვასილ ბატიაშვილი - ადამიანური რესურსის მნიშვნელობა ცვლილებების განხორციელების პროცესში---------- 210
მაია ახვლედიანი - მარკეტინგი კულტურის სფეროში ---------- 221
ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი - კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვა---------- 230
სოფიკო ღვინიანიძე - მმართველობითი სისტემის განვითარების მეთოდოლოგიური ასპექტები---------- 238
დეზდემონა მაღლაკელიძე, დიანა უგლავა - მმართველობითი აღრიცხვა და დანახარჯთა კონტროლის სისტემა---------- 247
ლალა ჯიქია - გადაწყვეტილებების პროდუქტიულობა და ეფექტურობა ცვლილებების მენეჯმენტის პირობებში---------- 258
დეზდემონა მაღლაკელიძე, ნათელა ვაშაკიძე - მმართველობის ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ზოგიერთი საკითხი ---- 273
თინათინ როდონაია, თამარ როსტიაშვილი - დისტანციური სწავლების მენეჯმენტი უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში -- 286

მსოფლიო ეკონომიკა

გიორგი ბეროშვილი, ალექსანდრე თოდუა - ბერლინის კრიზისი და ეკონომიკური ფაქტორები ---------- 295
ლია ბაღდოშვილი, მარიამ კოზოლაშვილი - ტერორიზმის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ---------- 302
ნანა ღარიბაშვილი, ანნა ცქიტიშვილი - მთავრობის როლი ვენესუელას ეკონომიკურ კრიზისში---------- 308
სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 318

ჟურნალი ეკონომიკა N9

„საქართველოს ეკონომისტი“, ქართული ეკონომიკური ჟურნალის 100 წელი. 1918-2018 წ.წ (სპეციალური გამოშვება)

შინაარსი N10-11

ეკონომიკა-100

რევაზ შენგელია - ჟურნალი „ეკონომიკა“ 100 წლისაა----------6

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ნინო ჯიბუტი - კონკურენციის რეგულირების ეკონომიზაციის საფუძვლები ----------8

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ნოდარ ჭითანავა - ლეო ჩიქავას თეორიული მემკვიდრეობის პრაგმატული მნიშვნელობა---------- 21

კობა სოხაძე - საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ზოგიერთი საკითხი ---------- 30

ნინო ჯიბუტი - კონკურენციის რეგულირების თანამედროვე გამოწვევები---------- 40

შორენა ხალვაში - მეწარმეობრივი და საკუთრებითი ურთიერთობების განვითარების ინსტიტუციური ანალიზი--------- 53

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ზურაბ ლიპარტია - ეკონომიკური ორგანიზაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები------ 61

სალომე სულაბერიძე - გაცვლითი კურსზე მოქმედი ფაქტორები - 73

მარინა ლუარსაბიშვილი, თენგიზ ლაჭყეპიანი - საქართველოს კაპიტალის ბაზრის ფორმირების სრულყოფის მიმართულებები --- 85

დარგობრივი ეკონომიკა

სალომე ოდიშარია - საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება: კრიტერიუმები და შეფასების მათოდები ---------- 92

მაია ჩეჩელაშვილი, ლია ბერიკაშვილი -
სამეცნიერო ჟურნალის იმპაქტ ფაქტორისა და
მისი ფორმირების მეთოდების საკითხისათვის---------- 106
რეზო სახეიშვილი - თერმული წყლები - ენერგეტიკული
უსაფრთხოების ერთ-ერთი კომპონენტი ---------- 116

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

მაია ჩეჩელაშვილი, ლია ბერიკაშვილი -
მარკეტინგი VS მენეჯმენტი ---------- 124
როდენ მემარნიშვილი - მყარი მინერალური
რესურსების მართვის საერთაშორისო
პრაქტიკის მნიშვნელობა საქართველოსთვის ---------- 132
სოფიკო ღვინიანიძე - თანამედროვე ბიზნესში
ინოვაციურ ფაქტორებზე მოქმედი გარემოს ანალიზი ---------- 143
თამარ დევიძე, დავით შოშიტაშვილი - მცირე და საშუალო
მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში ---------- 150

მსოფლიო ეკონომიკა

Agnieszka Rzepka - Public Debt in Poland in the Context
of Accession to the European Union - Evaluation Attempt---------- 159
მარია ღლონტი - ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების
პროექტების მართვა საზღვარგარეთის ქვეყნებში:
პრობლემები, გადაჭრის გზები, ტენდენციები ---------- 182
სალომე სულაბერიძე - ინფლაციის საზღვარგარეთული
გამოცდილება საქართველოსათვის---------- 193
მარიამ დარჩია, მარიამ განუგრავა - ევროკავშირის
ინსტიტუციური არქიტექტურა: სუპრანაციონალური,
ინტერგოვერნმენტალისტური თუ ჰიბრიდული სისტემა? --------- 208
როდენ მემარნიშვილი - საერთაშორისო საფონდო
ბირჟები და სამთო კომპანიების მონაწილეობის საკითხი ---------- 219

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 230

სამეცნიერო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 14.11.2018 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.11.2018 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,625